

# ქართული ბიზნესის სამართლის მიმოხილვა



# სოლიდარული ვალდებულების არსი და სახეები

(თეორია და სასამართლო პრაქტიკა)

## 1. სოლიდარული ვალდებულების არსი

### ა. ერთი მოთხოვნა რამდენიმე მოვალის მიმართ

მოვალეთა სიმრავლის პირობებში სოლიდარული ვალდებულება სამართალურთიერთობის ყველაზე გავრცელებული ფორმაა. სოლიდარული ვალდებულების არსი ისაა, რომ **ერთზე მეტ (რამდენიმე) მოვალეს კრედიტორის წინაშე საერთო (ერთი) ვალდებულება აქვს. კრედიტორის უფლებაა, ვალდებულების შესრულება, თავისი შეხედულებისამებრ, ნებისმიერ მოვალეს მთლიანად ან ნაწილობრივ მოსთხოვოს, თუმცა, საერთო ჯამში, ვალდებულება მხოლოდ ერთხელ უნდა შესრულდეს.**<sup>1</sup>

თუ რამდენიმე პირს ევალება ვალდებულების შესრულება ისე, რომ თითოეულმა უნდა მიიღოს მონაწილეობა მთლიანი ვალდებულების შესრულებაში (სოლიდარული ვალდებულება), ხოლო კრედიტორს აქვს შესრულების მხოლოდ ერთჯერადი მოთხოვნის უფლება, მაშინ ისინი სოლიდარული მოვალეები არიან.

სოლიდარული ვალდებულება კრედიტორისათვის, მოვალეთა სიმრავლის პირობებში, **სამართალურთიერთობის ერთ-ერთი ყველაზე უზრუნველყოფილი ფორმაა.**<sup>2</sup> ამ დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა სოლიდარული ვალდებულებისათვის დამახასიათებელი ისეთი შესაძლებლობები, როგორცაა, მაგალითად, კრედიტორის უფლება, სოლიდარულ მოვალეთაგან თავად აირჩიოს მოვალე, რომლისგანაც შესრულებას მოითხოვს. რა თქმა უნდა, ეს უფლება უზრუნველყოფს კრედიტორს, შესრულება ყველაზე ლიკვიდური მოვალისაგან მოითხოვოს. შესაბამისად, კრედიტორი შესრულებას მაშინაც იღებს, როდესაც მის წინაშე სოლიდარულად ვალდებული ერთი ან, თუნდაც, რამდენიმე მოვალე გადახდისუნარიანია. თუ ერთი სოლიდარულად ვალდებული მოვალეთაგანი გადახდისუნარიანია, კრედიტორის მოთხოვნის შესაბამისად, კრედიტორის წინაშე ვალდებულების სრულად შესრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტი იგი ხდება. სოლიდარული მოვალე, რომელსაც კრედიტორი აირჩევს, თავისი ვალდებულების გამორიცხვის ან შემცირების მიზნით დანარჩენი სოლიდარულად ვალდებული სუბიექტების გადახდისუნარიობაზე აპელირებას ვერ მოახდენს. იგი კრედიტორის წინაშე სრულად არის პასუხისმგებელი მაშინაც, როდესაც სხვა სოლიდარულ მოვალეებთან „შიდა ურთიერთობაში“, ამ უკანასკნელთა ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, გათანაბრებას ვერ შეძლებს, ანუ, სხვაგვარად თუ ვიტყვით, კრედიტორისათვის გადახდილ თანხას, თავისი წილის გამოკლებით, დანარჩენი სოლიდარული მოვალეებისაგან ვერ აინაზღაურებს.

1 Brox/Walker, Allgemeines Schuldrecht, 34.Auflage, Verlag C.H.Beck, S.430.

2 იქვე.

ქართულ კერძო სამართალში სოლიდარული ვალდებულების არსი საკანონმდებლო დონეზე განმარტებული, რაც **საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 463-ე მუხლშია ასახული**. ნორმა დეფინიციურ ხასიათს ატარებს და სოლიდარული ვალდებულებისათვის დამახასიათებელ ყველა ნიშანს შეიცავს. ნორმის მიხედვით, თუ რამდენიმე პირს ევალება ვალდებულების შესრულება ისე, რომ თითოეულმა უნდა მიიღოს მონაწილეობა მთლიანი ვალდებულების შესრულებაში (სოლიდარული ვალდებულება), ხოლო კრედიტორს აქვს შესრულების მხოლოდ ერთჯერადი მოთხოვნის უფლება, მაშინ ისინი არიან სოლიდარული მოვალეები (463). ამდენად, არსებობს სოლიდარული ვალდებულებისათვის კანონით დადგენილი და სასამართლო პრაქტიკით განმარტებული სახასიათო ნიშნები, რომელთა არსებობის პირობებში თანამედროვე კერძო სამართლის თეორია და სასამართლო პრაქტიკა სოლიდარულ ვალდებულებას ადგენს.<sup>3</sup>

## ბ. სოლიდარული ვალდებულებისათვის დამახასიათებელი ნიშნები

კანონის სიტყვასიტყვითი განმარტების მიხედვით, სოლიდარული ვალდებულების არსებობისათვის აუცილებელია: ა) ერთ კრედიტორს რამდენიმე მოვალე ჰყავდეს; ბ) ყველა მოვალე კრედიტორის წინაშე „ერთ შესრულებაზე“ ვალდებული სუბიექტი იყოს; გ) თითოეული მოვალე ვალდებულების მთლიან შესრულებაზე იყოს პასუხისმგებელი; დ) კრედიტორს ვალდებულების შესრულების ერთჯერადი მოთხოვნის უფლება ჰქონდეს;<sup>4</sup> ამასთან, აუცილებელი არ არის, შესრულების საგანი იდენტური იყოს, საკმარისია, შესრულება კრედიტორის ერთ ინტერესს ემსახურებოდეს (მაგალითად, ვალდებულების ნატურით შესრულებასა და მის ფულად კომპენსაციას)<sup>5</sup>. ასევე, აუცილებელი არ არის, მოვალეების ვალდებულება ერთსა და იმავე სამართლებრივ საფუძველს ეფუძნებოდეს.<sup>6</sup>

კანონი არაფერს ამბობს, თუმცა, კერძო სამართალში გავრცელებული შეხედულების მიხედვით, სოლიდარული ვალდებულების არსებობისათვის აუცილებელია, რომ მოვალის მიმართ **ვალდებულება თანაბარსაფეხუროვანი იყოს**.<sup>7</sup> ვალდებულება თანაბარსაფეხუროვანია, როდესაც კრედიტორი უფლებამოსილია, კანონით ან მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული რაიმე რანგირებისა თუ პრივილეგიების გარეშე, ვალდებულების შესრულება, თავისი არჩევით, ერთ, რამდენიმე ან ყველა სოლიდარულ მოვალეს მოსთხოვოს. მაგალითად, თანაბარსაფეხუროვან სოლიდარულ ვალდებულებად მიიჩნევა, როდესაც: ა) მართლსაწინააღმდეგო ბრალეულ ქმედებას რამდენიმე პირი ჩადის. ეს პირები დელიქტის ფარგლებში სოლიდარულად არიან პასუხისმგებელნი (998); ბ) ერთი ნასყიდობის საგნის გადაცემის ვალდებულებას რამდენიმე პირი კისრულობს. ამ შემთხვევაში, ნასყიდობის საგნის გადაცემაზე რამდენიმე გამყიდველი ხელშეკრულების საფუძველზე სოლიდარულად ვალდებული (477,462); გ) იგივე წესი ვრცელდება, როდესაც სესხს რამდენიმე პირი ერთობლივად იღებს (623,462). სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის დაბრუნებაზე მსესხებლები სოლიდარულად არიან პასუხისმგებელნი; დ) დაქირავებულ ბინაში მესამე პირი ხანძარს აჩენს. ამ შემთხვევაში მესამე პირის მხრიდან გაჩენილი ხანძრით მიყენებულ ზიანზე პასუხისმგებელი დამქირავებელი და ხანძრის გამჩენი მესამე პირია, ანუ აქ სამართლებრივი საფუძველი განსხვავებულია, რადგან დამქირავებელი ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზეა პასუხისმგებელი, ხოლო მესამე პირი დელიქტის (992), თუმცა მოთხოვნა ერთია, კრედიტორის ინტერესი ორივე მოვალის მიმართ იდენტური და, შესაბამისად,

3 Medicus/Lorenz, SR I, Rn. 8, 14 f., 26 nach Brox/Walker, Allgemeines Schuldrecht, 34. Auflage, Verlag C.H.Beck, S.431.

4 Brox/Walker, Allgemeines Schuldrecht, 34. Auflage, Verlag C.H.Beck, S.432.

5 BGHZ 43, 227 nach Brox/Walker, Allgemeines Schuldrecht, 34. Auflage, Verlag C.H.Beck, S.430.

6 H.Ehmann, Bürgerliches Gesetzbuch, 12., Auflage, Verlag Dr.Otto Schmidt, Köln, S.1754, Rn.11.

7 BGH; BGHZ 106, 313, 319, 137, 76, 82; BGH NJW 2004, 2892, 2893, nach Brox/Walker, Allgemeines Schuldrecht, 34. Auflage, Verlag C.H.Beck, S.432.

ვალდებულებაც სოლიდარულია (992). იგივე უნდა ითქვას ავტოსაგზაო შემთხვევის გამომწვევ მძღოლსა (992) და ამავე ავტოსატრანსპორტო საშუალების განმკარგავზე (999,4), რომელთა პასუხისმგებლობა დაზიანებული ავტომობილის მეპატრონოს მიმართ განსხვავებულ სამართლებრივ საფუძველს ემყარება, თუმცა ამ შემთხვევაშიც მოთხოვნა ერთია, ერთ ინტერესს ემსახურება და, შესაბამისად, აღნიშნული მოთხოვნის მოვალეებიც სოლიდარულად არიან პასუხისმგებელნი.

### გ. სოლიდარული ვალდებულების გამომრიცხავი გარემოებები

სოლიდარული ვალდებულების არსებობის დადგენის მიზნებისათვის, გარდა კანონით გათვალისწინებული კრიტერიუმებისა, უნდა შეფასდეს, სახეზე ხომ არ არის სოლიდარული ვალდებულების გამომრიცხავი წინაპირობები. სოლიდარული ვალდებულების გამომრიცხავად ერთ-ერთ გარემოებად კი, როგორც ზემოთ აღინიშნა, მოთხოვნათა არათანაბარსაფეხუროვანება სახელდება.<sup>8</sup>

**მოთხოვნათა თანაბარსაფეხუროვანება შეიძლება გამორიცხული იყოს როგორც კანონით, ასევე ხელშეკრულებით.** მაგალითად, კანონით არის განსაზღვრული, რომ მოთხოვნა თანაბარსაფეხუროვანი არ არის, როდესაც იგი მოვალესა და თავდებს მიემართება.<sup>9</sup> ამგვარი დასკვნის საფუძველია სამოქალაქო კოდექსის დანაწესი, რომლის მიხედვითაც, თავდებს შეუძლია, უარი თქვას კრედიტორის დაკმაყოფილებაზე, ვიდრე კრედიტორი არ შეეცდება ძირითადი მოვალის მიმართ იძულებით აღსრულებას (894). თუმცა სამოქალაქო კოდექსი იძლევა ასევე სოლიდარული თავდების ცნებას, რომლის მიხედვითაც, როცა თავდები კისრულობს პასუხისმგებლობას სოლიდარულად ან სხვა თანაბარმნიშვნელოვანი სახით, მას შეიძლება, წაეყენოს მოთხოვნა იძულებითი აღსრულების მცდელობის გარეშე, თუ ძირითადმა მოვალემ გადააცილა გადახდის ვადას და უშედეგოდ იქნა გაფრთხილებული, ანდა მისი გადახდისუუნარობა აშკარაა (895). ამდენად, თავდებობის ინსტიტუტის მარეგულირებელი ნორმები განმარტავს თავდებისა და სოლიდარული თავდების ფუნქციურ დანიშნულებასა და მის მიმართებას კრედიტორსა და ძირითად მოვალესთან. თავდების პასუხისმგებლობა სუბსიდიურია, რაც ვალდებულებათა თანაბარსაფეხუროვანებასა და, შესაბამისად, სოლიდარულობას გამორიცხავს. **თავდებობის სუბსიდიური ხასიათი იმით ვლინდება, რომ თავდებს შეუძლია, უარი თქვას კრედიტორის დაკმაყოფილებაზე, ვიდრე კრედიტორი არ შეეცდება ძირითადი მოვალის მიმართ იძულებით აღსრულებას.** კრედიტორი უფლებამოსილია, მოვალის მიმართ იძულებითი აღსრულების მცდელობის გარეშე, მოთხოვნა მხოლოდ სოლიდარულ თავდებს წარუდგინოს. ამდენად, მოვალე და თავდები კრედიტორის წინაშე მხოლოდ იმ შემთხვევაში აგებენ სოლიდარულად პასუხს, თუ სახეზეა სოლიდარული და არა „ჩვეულებრივი“, „სუბსიდიური“ თავდებობა. თუ ხელშეკრულებაში არ არსებობს პირდაპირი მითითება თავდებობის სოლიდარულ ბუნებაზე, მიიჩნევა, რომ თავდებობა ჩვეულებრივი ანუ სუბსიდიურია.

ვალდებულებათა თანაბარსაფეხუროვანება სახეზე არ არის ასევე მშობლისა და ზიანის მიმყენებლის მხრიდან სარჩოს გადახდის მოვალეობის წარმოშობის შემთხვევაში, როდესაც ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაზარალებული შრომის უნარს დაკარგავს. მართალია, შრომისუუნარო შვილის რჩენის ვალდებულება მშობელს კანონით აქვს დაკისრებული, თუმცა ეს ვალდებულება, დელიქტით ზიანის მიმყენებელი პირის ვალდებულებასთან ერთად, სარჩო უხადოს დაზარალებულს, თანაბარსაფეხუროვან და, შესაბამისად, სოლიდარულ ვალდებულებად არ მიიჩნევა.<sup>10</sup> მაგალითად, პირისათვის ზიანის მიყენების შემთხვევაში, ამ ზიანის შედეგად გაზრდილი საჭიროებებისათვის ზიანის მიმყენებელია

8 MüKo, Bydliniski12.Auflage, Verlag C.H.München, 2012, &421, Rn.70.

9 Brox/Walker, Allgemeines Schuldrecht, 34.Auflage, Verlag C.H.Beck, S.433, Rn.10.

10 BGH NJW 2204, 2892, 2893, nach Brox/Walker, Allgemeines Schuldrecht, 34.Auflage, Verlag C.H.Beck, S.430.

პასუხისმგებელი (992). ამ მიმართებით, მშობლის მოვალეობა, არჩინოს თავისი შრომისუუნარო შვილი, მხოლოდ სუბსიდიურ ვალდებულებად უნდა იქნეს განხილული (1213).<sup>11</sup>

ყველა სხვა შემთხვევაში, როდესაც სახეზე ერთი ვალდებულებაა და ამ ვალდებულების შესრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტი რამდენიმეა, კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით უნდა შეფასდეს **მოთხოვნათა თანაბარსაფეხუროვნება და, შესაბამისად, მათი სოლიდარულ ვალდებულებად მიჩნევის კანონისმიერი შესაძლებლობა**. კანონისმიერ შესაძლებლობებში, პირველ რიგში, იგულისხმება კანონმდებლის ნება, რომელსაც ვალდებულების სოლიდარულობის კონტექსტში შეფასების მიზნით, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. მაგალითად, საგულისხმოა, რომ კანონმდებელი მოთხოვნის კანონისმიერი დათმობის შემთხვევებს (Cessio legis) სოლიდარული ვალდებულების საფუძვლად არ განიხილავს.<sup>12</sup> ეს დასკვნა ეფუძნება კანონისმიერ დანაწესს, რომლის მიხედვით, „ვალდებულების შესრულების შემდეგ მოთხოვნა გადადის“. შესაბამისად, იქ, სადაც კანონმდებელი მოთხოვნის გადასვლის შესაძლებლობას აწესებს, ამ დანაწესით მოთხოვნის სოლიდარულობას გამორიცხავს.<sup>13</sup> მაგალითად, დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეს ზიანის ანაზღაურების უფლება მზღვეველისაგან აქვს, ხოლო მისი შესრულების პირობებში მზღვეველზე გადადის ყველა უფლება, რომლებიც დამზღვევს ზიანის მიმყენებელი მესამე პირის მიმართ აქვს (832).

სამართლის დოქტრინა ვალდებულების სოლიდარულად მიჩნევის გამომრიცხველ გარემოებად შესრულების არაერთგვაროვნებასაც მიიჩნევს,<sup>14</sup> რასაც სასამართლო პრაქტიკა არ იზიარებს.<sup>15, 16</sup>

## 2. საპროცესო თანამონაწილეობა სოლიდარული ვალდებულების არარსებობის პირობებში

როგორც ზემოთ აღინიშნა, კრედიტორს მოვალეთა მიმართ ერთი მოთხოვნა და ამ მოთხოვნის შესრულების ერთი ინტერესი შეიძლება ჰქონდეს, თუმცა სოლიდარული ვალდებულება შეიძლება გამორიცხული იყოს, მაგალითად, მოვალისა და თავდების შემთხვევაში, ზიანის მიმყენებლისა და სადაზღვევო კომპანიის შემთხვევაში და ა.შ. ასეთ ვითარებაში მოვალეთა ვალდებულება, მართალია, სოლიდარულად არ განიხილება, თუმცა ამ კრედიტორის მიერ წარდგენილი სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში თანამონაწილეობას არ გამორიცხავს, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ადგენს, რომ სარჩელი შეიძლება წარდგენილ იქნეს ერთად რამდენიმე მოსარჩელის მიერ ან რამდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ, თუ სასარჩელო მოთხოვნები ერთგვაროვანია, მიუხედავად იმისა, ერთგვაროვანია თუ არა მათი საფუძველი და საგანი (86.1, „გ“). მაგალითად, კრედიტორის სასარჩელო მოთხოვნა ზიანის მიმყენებლისა და სადაზღვევო კომპანიის მიმართ ზიანის ანაზღაურების თაობაზე სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი არ უნდა გახდეს, იმ მოტივით, რომ მოსარჩელემ მის წინაშე პასუხისმგებელი პირი უნდა აირჩიოს და მოპასუხედ ერთ-ერთი, ზიანის მიმყენებელი ან სადაზღვევო კომპანია, უნდა დაასახელოს. ამით სასამართლო მოსარჩელეს უფლებას ართმევს, ამ მოსარჩელის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების თაობაზე გამონერილ სააღსრულებო ფურცელში მის წინაშე პასუხისმგებელი ყველა მოვალის მითითება უზრუნველყოს.

11 Brox/Walker, Allgemeines Schuldrecht, 34.Auflage, Verlag C.H.Beck, S.433, Rn.10.

12 იქვე.

13 იქვე, Rn.11.

14 MüKo, Bydlinski12.Auflage, Verlag C.H.München, 2012, &421, Rn.71.

15 BGHZ 43, 227, nach MüKo, Bydlinski12.Auflage, Verlag C.H.München, 2012, &421, Rn.70.

16 Brox/Walker, Allgemeines Schuldrecht, 34.Auflage, Verlag C.H.Beck, S.432.



ამდენად, შესაძლებელია, სახეზე არ იყოს სოლიდარული ვალდებულება, თუმცა ეს გარემოება ზეგავლენას არ ახდენს მოპასუხეთა საპროცესო თანამონაწილეობის შესაძლებლობაზე. მაგალითად, როგორც ზემოთ აღინიშნა, მოთხოვნის არაერთგვაროვნების პირობებში სოლიდარული ვალდებულება გამორიცხებულია.

თუ სასამართლო ერთ-ერთის მიმართ სარჩელს წარადგენს და გადაწყვეტილებას მის მიერ არჩეული პასუხისმგებელი პირის არალიკვიდურობის გამო ვერ აღასრულებს, იგი უფლებას კარგავს, იგივე სასარჩელო მოთხოვნა სხვა პასუხისმგებელი მოვალის მიმართ წარადგინოს, ვინაიდან ერთ ვალდებულებაზე, სასამართლო პრაქტიკით, მხოლოდ ერთი აღსასრულებელი გადაწყვეტილება უნდა არსებობდეს.<sup>17</sup>

### 3. სოლიდარული ვალდებულების სამკუთხედი

ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს სოლიდარულ მოვალეთა ურთიერთობა კრედიტორთან, **ე.წ. „გარე ურთიერთობა“ და სოლიდარულ მოვალეთა ურთიერთობა ერთმანეთს შორის, ე.წ. „შიდა ურთიერთობა“**. კრედიტორის მოთხოვნა სოლიდარული მოვალეების მიმართ და, შესაბამისად, „გარე ურთიერთობა“ არსებობს იქამდე, სანამ კრედიტორის მოთხოვნა მოვალეების მიმართ **სრულად არ დაკმაყოფილდება**. შესაბამისად, კრედიტორის მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებამდე მოვალეებს ვალდებულება კრედიტორის წინაშე აქვთ (ე.წ. „გარე ურთიერთობა“). ეს ვალდებულება სოლიდარულია, რაც იმას ნიშნავს, რომ კრედიტორს აქვს ერთი (საერთო) მოთხოვნა რამდენიმე მოვალის მიმართ. კრედიტორი უფლებამოსილია, მოთხოვნა წარუდგინოს ერთ, რამდენიმე ან ყველა სოლიდარულ მოვალეს, თავისი არჩევით. კრედიტორის მოთხოვნა სოლიდარულ მოვალეთა მიმართ **სრული და ჯეროვანი შესრულებით წყდება**, მიუხედავად იმისა, თუ რომელი მოვალე ასრულებს ვალდებულებას. ვალდებულება სრულად შეიძლება ერთმა სოლიდარულმა მოვალემ შეასრულოს, ან რამდენიმე სოლიდარულმა მოვალემ ნაწილ-ნაწილ, რაც, საერთო ჯამში, ერთ სრულ შესრულებას იძლევა. კრედიტორი კი უფლებამოსილია, მხოლოდ ერთი სრული შესრულება მიიღოს. მას შემდეგ, რაც კრედიტორის წინაშე ვალდებულება სრულად შესრულდება, მოვალეები ერთმანეთის მიმართ **გათანაბრების მოთხოვნას იძენენ (ე.წ. „შიდა ურთიერთობა“)**. მაგალითად, თუ კრედიტორს ოთხი სოლიდარული მოვალის (A, B, C, D) მიმართ 100 000 ლარის მოთხოვნის უფლება აქვს, ხოლო სოლიდარულ ვალდებულებას სრულად მხოლოდ ერთი (A) შეასრულებს, სოლიდარული ვალდებულების სრულად შემსრულებელი მოვალე (A) დანარჩენი მოვალეებისაგან გათანაბრების უფლებას იძენს, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი (A) მათგან (B, C, D), „შიდა ურთიერთობის ფარგლებში“, 75 000 ლარის ანაზღაურებას მოითხოვს, თუ, რა თქმა უნდა, მოვალეები კრედიტორის წინაშე თანაბარწილად არიან პასუხისმგებელი. კრედიტორის წინაშე კი კანონი მოვალეთა თანაბარი წილის შესაბამისად პასუხისმგებლობას ადგენს, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

17 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის პირველი ივლისის № ას-1607-1509-2012 გადაწყვეტილება, სადაც საკასაციო პალატამ განმარტა, რომ, ვინაიდან დაზარალებულმა განაჩენით დადგენილი ზიანის საკომპენსაციოდ 1 017 000 აშშ-ის დოლარის მოთხოვნის უფლება მოიპოვა, იგი ამავე ზიანის ნატურით რესტიტუციასა და ქონების დაბრუნებას ვერ მოითხოვს, ვინაიდან ზიანის ანაზღაურების მიზნით ნატურით რესტიტუცია და ფულადი კომპენსაცია ალტერნატიული და არა კუმულაციური მოთხოვნებია. სააპელაციო სასამართლომ კი განაჩენით დადგენილი ფულადი კომპენსაციის პარალელურად ნატურით რესტიტუცია იმ საფუძველზე დაადგინა, რომ განაჩენით დადგენილი საკომპენსაციო თანხის აღსრულება ვერ მოხდა ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის არალიკვიდურობის გამო. შდრ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 27 მარტის 2ბ/1393-12 გადაწყვეტილება.

**საპროცესოსამართლებრივი თვალსაზრისით**, სხვადასხვა სამართლებრივ საფუძველზე დაყრდნობით წარმოშობილი ერთი ვალდებულებისათვის პასუხისმგებელი რამდენიმე მოვალე მოსარჩელის წინაშე პროცესუალური თანამონაწილეები არიან. ამ შემთხვევაში, რადგან სარჩელის საგანი საერთო უფლება არ არის, **სახეზეა ფაქულტატიური და არა სავალდებულო თანამონაწილეობა**. შესაბამისად, თუ მოსარჩელე მის წინაშე პასუხისმგებელ პირად სხვადასხვა სამართლებრივ საფუძველზე დაყრდნობით რამდენიმე მოპასუხეს დაასახელებს, ეს მოსარჩელის უფლებაა და სასამართლომ მოსარჩელეს მოვალის არჩევის ვალდებულება არ უნდა დააკისროს. სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში ერთი თანხა ეკისრება რამდენიმე მოვალეს. გადანყვეტილება აღსრულდება მხოლოდ ერთი თანხის ფარგლებში. თუმცა მნიშვნელოვანია, რომ სასამართლომ გადანყვეტილების სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილშიც აღნიშნოს, მოვალეთა პასუხისმგებლობა სოლიდარულია თუ არა. მაგალითად, დამზღვევის (A) ავტომანქანას ზიანი მიაყენა ორმა ახალგაზრდამ, (B)-მ და (C)-მ. დამზღვევს ეს ავტომანქანა დაზღვეული ჰყავდა სადაზღვევო კომპანიაში (D). A-მ სარჩელი აღძრა B-ს, C-ს და D-ს მიმართ. ამ შემთხვევაში მოთხოვნა ერთია, მოთხოვნაზე პასუხისმგებელი სუბიექტი – რამდენიმე, პასუხისმგებლობის სამართლებრივი საფუძველი – სხვადასხვა: B და C პასუხისმგებელნი არიან სოლიდარულად, დელიქტის საფუძველზე (998), სადაზღვევო კომპანია კი სახელშეკრულებო ურთიერთობაზე დაყრდნობით (799). თუმცა, ვინაიდან კანონმდებელი მოთხოვნის კანონისმიერი დათმობის შემთხვევებს (832) (Cessio legis) სოლიდარული ვალდებულების საფუძველად არ განიხილავს,<sup>18</sup> ამიტომ A-ს წინაშე სოლიდარულად პასუხისმგებლები B და C არიან, ხოლო D-ს რაც შეეხება, იგი, მართალია, A-ს წინაშე პასუხისმგებელია, მაგრამ B-სა და C-სთან ერთად სოლიდარულ პასუხისმგებლობას არ იზიარებს.<sup>19</sup> შესაბამისად, თუ A სარჩელს სამივე მოპასუხის წინაშე აღძრავს (B, C და D), სარჩელის საფუძვლიანობის პირობებში, ზიანის ანაზღაურების სახით, თანხა სამივეს დაეკისრება, თუმცა განიმარტება, რომ B და C სოლიდარულად პასუხისმგებელი სუბიექტები არიან. ეს განმარტება მნიშვნელოვანია არა კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნებისათვის, არამედ მოვალეთა ერთმანეთს შორის, ე.წ. „შიდა ურთიერთობის“, შემდგომი რეგულირების უზრუნველსაყოფად. ამ დოქტრინული მსჯელობის პარალელურად უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკაში დამზღვევი იშვიათ შემთხვევაში სთხოვს ზიანის მიმყენებელს ზიანის ანაზღაურებას, ვინაიდან მან იცის, რომ მის ზიანს ხელშეკრულების საფუძველზე მყარი ფინანსური ინსტიტუცია – სადაზღვევო კომპანია აანაზღაურებს, ხოლო მას შემდეგ, რაც სადაზღვევო კომპანია დამზღვევს ზიანს აუნაზღაურებს, დამზღვევს შეუძლია, ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნა მესამე პირს წაუყენოს (832).

## 4. მოვალეთა ე.წ. „გარე ურთიერთობა“ კრედიტორის მიმართ

### ა. სოლიდარული მოვალის მიერ ვალდებულების შესრულება

კრედიტორის წინაშე ყველა სოლიდარულად ვალდებული მოვალე თანაბარმნიშვნელოვნად პასუხისმგებელია, რაც იმას ნიშნავს, რომ თითოეული მოვალე კრედიტორის წინაშე არსებული დავალიანებისათვის სრულად არის პასუხისმგებელი. კრედიტორს შეუძლია, თავისი სურვილისამებრ შესრულება მოსთხოვოს ნებისმიერ მოვალეს, როგორც მთლიანად, ასევე ნაწილობრივ. ვალდებულების მთლიანად შესრულებამდე დანარჩენი მოვალეების ვალდებულება ძალაში რჩება, რაც იმას ნიშნავს, რომ სოლიდარული მოვალეების ვალდებულება არსებობს იქამდე, სანამ სოლიდარული ვალდებულება სრულად არ შესრულდება.

18 Brox/Walker, Allgemeines Schuldrecht, 34.Auflage, Verlag C.H.Beck, S.433, Rn.10.

19 იქვე.

## ბ. სოლიდარულ მოვალეთა ე.წ. „საერთო ეფექტის“ მქონე ქმედებები (გარემოებები)

ერთი სოლიდარულად ვალდებული პირის მიერ ვალდებულების შესრულება კრედიტორის წინაშე ვალდებულებისაგან დანარჩენ სოლიდარულ მოვალეებსაც ათავისუფლებს. იგივე წესი მოქმედებს, თუ მოვალე, შედეგობრივი თვალსაზრისით, შესრულების ეფექტის მქონე მოქმედებას შეასრულებს, მაგალითად, ვალდებულებას გაქვითავს (442), ან თანხას დეპოზიტზე განათავსებს (434).

ამდენად, ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიერ ვალდებულების შესრულებას ან შესრულების მსგავსი სამართლებრივი შედეგის მქონე ქმედებას ე.წ. „საერთო ეფექტი“ აქვს, ანუ ყველა დანარჩენი სოლიდარული მოვალის მიმართ ვრცელდება და მათ კრედიტორის წინაშე ვალდებულებისაგან ათავისუფლებს.

ე.წ. „საერთო ეფექტი“ აქვს ასევე კრედიტორის მიერ ვალდებულების შესრულების დაყოვნებას (470), მაგალითად, თუ გამსესხებელმა თანხა ორ მსესხებელს ასესხა ერთ თვის ვადით, ხოლო ერთი თვის თავზე, ზუსტად ვალდებულების შესრულების დღეს, გამსესხებელს ერთ-ერთმა სოლიდარულმა მოვალემ სესხად მიღებული თანხა მიუტანა, ხოლო კრედიტორმა თანხის მიღებაზე უარი იმ მოტივით თქვა, რომ მას თანხის მიღება მეორე მსესხებლისგან სურდა, მეორე მსესხებელი (თავისთავად პირველ მსესხებელთან ერთად) ვალდებულების შესრულებისაგან გათავისუფლდება, თუ პირველ მსესხებელს უკანა გზაზე თავს დაესხნენ და კრედიტორისათვის გადასაცემი ფული მოჰპარეს<sup>20</sup> (392).

ე.წ. „საერთო ეფექტის“ მქონეა ასევე ზიანის მიმცენებლებთან ერთად დაზარალებულის თანაბრალებულობა ზიანის დადგომაში.<sup>21</sup> მაგალითად, თუ ავტომანქანის შეჯახების შედეგად K-ს ავტომანქანა დაზიანდა, ხოლო K-ს ავტომანქანას A-ს კუთვნილი ავტომანქანა დაეჯახა, რომელსაც B მართავდა, ასეთ შემთხვევაში, A და B სოლიდარულად არიან პასუხისმგებელი K-ს წინაშე. A-ს და B-ს პასუხისმგებლობა K-ს წინაშე შემცირდება, თუ ზიანის დადგომაში მისი (K-ს) თანამონაწილეობა დადგინდება. ვალდებულების ოდენობა, K-ს თანაბრალებულობის ხარისხის გათვალისწინებით, ორივე სოლიდარულ მოვალეს შეუმცირდება.

## გ. სოლიდარულ მოვალეთა ე.წ. „ინდივიდუალური ეფექტის“ მქონე ქმედებები (გარემოებები)

ერთ-ერთ სოლიდარულ მოვალესთან დაკავშირებული ფაქტები შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ამ პირის მიმართ, თუ ვალდებულებითი ურთიერთობიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს (468). კანონი **მოვალეთა ე.წ. „ინდივიდუალური ეფექტის“ მქონე ქმედებებზე ასახელებს ერთ-ერთი მოვალის მიერ ვადის გადაცილებას (470.2), ან ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიმართ ხანდაზმულობის ვადის შეჩერებას ან შეწყვეტას (476). თეორიაში სოლიდარულ მოვალეთა ე.წ. „ინდივიდუალური ეფექტის“ მქონე გარემოებებზე სახელდება, ასევე, ერთ-ერთი მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების გართულება, ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება.**<sup>22</sup>

20 იქვე, S.434, Rn.13.

21 BGHZ 90, 86, 90 f. nach Brox/Walker, Allgemeines Schuldrecht, 34.Auflage, Verlag C.H.Beck, S.434, Rn.13.

22 Brox/Walker, Allgemeines Schuldrecht, 34.Auflage, Verlag C.H.Beck, S.434, Rn.15.



## დ. სოლიდარულ მოვალეთა ე.წ. „საერთო და ინდივიდუალური ეფექტის“ მქონე ქმედებების (გარემოებების) მნიშვნელობა საპროცესოსამართლებრივი თვალსაზრისით

სოლიდარული მოვალეების მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში საერთო წესების დაცვით შედის. საპროცესოსამართლებრივი თვალსაზრისით, პრობლემას წარმოშობს გარემოება, როდესაც სოლიდარული მოვალეების მიმართ გამოტანილ გადაწყვეტილებას ერთი ან რამდენიმე (ყველა არა) ასაჩივრებს. ასეთ დროს დგება ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის პრობლემა. სასამართლო პრაქტიკით, სოლიდარული მოვალეები პროცესში სავალდებულო თანამონაწილეები არ არიან. შესაბამისად, პროცესში თითოეული მათგანი ინდივიდუალურ სუბიექტად გამოდის, რაც იმას ნიშნავს, რომ თითოეულის საპროცესოსამართლებრივ ქმედებას მის მიმართ ინდივიდუალური ეფექტი აქვს. მაგალითად, თუ სოლიდარულ მოვალეთაგან შესაგებელს ერთი შემოიტანს, მეორე კი არა, მეორე სოლიდარული მოვალის მიმართ დაუსწრებელი გადაწყვეტილება მიიღება.<sup>23</sup> ამ მიმართებით სასამართლო განმარტავს, რომ „სოლიდარული მოვალეები სავალდებულო თანამოპასუხეები არ არიან, რადგან, მატერიალურსამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, შესაძლებელია საქმის განხილვა ამ ურთიერთობის ყველა სუბიექტის მონაწილეობის გარეშე. ასეთ დროს მოპასუხე მხარეს პირთა სიმრავლე მათი სუბიექტური გაერთიანებით შეიძლება აიხსნას, ანუ სახეზეა მხარეთა ფაკულტატიური და არა სავალდებულო თანამონაწილეობა, რადგან თითოეული სოლიდარული მოვალე კრედიტორის ერთი და იმავე შესრულების ინტერესის მთლიან დაკმაყოფილებაზეა ვალდებული. მოვალეთა ეს ცალკეული ვალდებულებები სწორედ ერთი საერთო მიზნით არიან დაკავშირებულნი და ერთ მთლიანობას, ერთ სოლიდარულ ვალდებულებას ქმნიან. ეს დასკვნა გამომდინარეობს სოლიდარული ვალდებულების მარეგულირებელი ნორმებიდან, კერძოდ, ზემოაღნიშნულ საპროცესო წესებთან ერთად, სარჩელის მატერიალური უფლების მარეგულირებელი ნორმებია სამოქალაქო კოდექსის 465-ე და 469-ე მუხლები. მითითებული ნორმების თანახმად კი, კრედიტორს შეუძლია, თავისი სურვილისამებრ, შესრულება მოსთხოვოს ნებისმიერ მოვალეს, როგორც მთლიანად, ასევე ნაწილობრივ. ვალდებულების მთლიანად შესრულებამდე დანარჩენი მოვალეების ვალდებულება ძალაში რჩება. სარჩელის შეტანა ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიმართ კრედიტორს არ ართმევს უფლებას, შეიტანოს სარჩელი დანარჩენ მოვალეთა მიმართაც. მითითებულ ნორმათა ანალიზიდან გამომდინარე, პალატა მიდის დასკვნამდე, რომ ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიმართ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დასაშვებია, თუ სახეზე არ არის სავალდებულო თანამონაწილეობის წინაპირობები.<sup>24</sup> სააპელაციო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 86-ე მუხლით გათვალისწინებული საპროცესო თანამონაწილეობის მიზანია საქმის განხილვისა და გადაწყვეტის დაჩქარება, ხარჯების შემცირება, ერთმანეთის შეუსაბამო ან საწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღების თავიდან აცილება; აქვე საგულისხმოა, რომ, 86-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თითოეული მოსარჩელე ან მოპასუხე მეორე მხარის მიმართ პროცესში გამოდის დამოუკიდებლად. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა ასევე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 87-ე მუხლის პირველი ნაწილის დებულება, რომ თანამონაწილენი სარგებლობენ ყველა იმ საპროცესო უფლებით, რომლებიც, ამ კოდექსის თანახმად, მინიჭებული აქვთ მხარეებს, ანუ თანამონაწილეები როგორც ერთად, ისე დამოუკიდებლად ახორციელებენ მათი საპროცესო უფლებების დაცვას საკუთარი შეხედულებით. ამდენად, ერთი სოლიდარული მოვალის მიერ შესაგებლის წარდგენა საკმარისი არ არის იმისათვის, რომ ეს საპროცესო მოქმედებები შესრულებულად იქნეს მიჩნეული დანარჩენი სოლიდარულად ვალდებული პირების მიმართაც, რის გამოც არ არსებობს დანარჩენი მოვალეების

23 იხ. თბილისის სააპელაციო პალატის 25.02.2017 წ. განჩინება, საქმე №2ბ/6816-16. სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 12.09.2017 წ. განჩინებით, საქმე №ა5-948-884-2017.

24 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 23.10.2015 წლის განჩინება, საქმე №ა5-555-526-2015.

მიმართ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის კანონით გათვალისწინებული დამაბრკოლებელი გარემოებები.<sup>25</sup> იგივე წესი ვრცელდება იმ სოლიდარული მოვალის მიმართ, რომელიც მის მიმართ გამოტანილ გადაწყვეტილებას არ გაასაჩივრებს,<sup>26</sup> თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართებით თეორია და სასამართლო პრაქტიკა ერთგვაროვანი არ არის, რადგან არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც, თუ სოლიდარული მოვალეების მიმართ მოთხოვნის საფუძველი საერთოა, ერთი სოლიდარული მოვალის მიერ შესაგებლის წარდგენა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას დანარჩენების მიმართაც გამორიცხავს. იმავე ლოგიკით, ერთი სოლიდარული მოვალის მიერ გადაწყვეტილების გასაჩივრება დანარჩენი სოლიდარული მოვალეების მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლისათვის შემაფერხებელი გარემოებაა.

## ე. კრედიტორის მიერ სოლიდარული მოვალისათვის ვალის პატიება

ზოგადი წესის მიხედვით, ვალის პატიება ხელშეკრულების შეწყვეტის წინაპირობაა, თუმცა სოლიდარული მოვალისათვის ვალის პატიება, შედეგობრივი თვალსაზრისით, გარკვეული თავისებურებით ხასიათდება. ვალის პატიება ერთ-ერთი სოლიდარული მოვალისათვის სხვა სოლიდარულ მოვალეებსაც ათავისუფლებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა კრედიტორი მათ მიმართ მოთხოვნას იტოვებს (449). კრედიტორის მიერ სოლიდარული მოვალისათვის ვალის პატიება, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, განმარტებას საჭიროებს. განმარტების მიზნებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა კრედიტორის ნებას ენიჭება, კერძოდ, ნების განმარტების გზით დგინდება კრედიტორის მიერ სოლიდარული მოვალისათვის ვალის პატიება, შედეგობრივი თვალსაზრისით, მხოლოდ ერთ სოლიდარულ მოვალეს ათავისუფლებს ვალდებულებისაგან, თუ ყველა სოლიდარული მოვალისათვის ვალდებულების შეწყვეტის წინაპირობად განიხილება. კრედიტორის ნება ვალის პატიების ნების გამოვლენის დროისათვის დგინდება. ამ მიმართებით მნიშვნელოვანია, თუ რა სახის ნება იქნა კრედიტორის მხრიდან მოვალის მიმართ გამოხატული. სწორედ გამოხატული ნების განმარტების გზით უნდა დადგინდეს, კრედიტორი ვალდებულებისაგან მხოლოდ ერთ სოლიდარულ მოვალეს ათავისუფლებს, თუ მისი ნება ვალდებულებისაგან გათავისუფლების თაობაზე ყველა სოლიდარული მოვალისაკენ მიემართება.<sup>27</sup>

თუ კრედიტორი ვალდებულებას ყველა სოლიდარულ მოვალეს პატიობს, ვალის პატიების სამართლებრივი შედეგი ყველა სოლიდარული მოვალისათვის ვალდებულების შეწყვეტაა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორი ვალდებულებას მხოლოდ ერთ სოლიდარულ მოვალეს პატიობს, მაშინ კრედიტორს დარჩენილი სოლიდარული მოვალეების მიმართ მხოლოდ ერთი მოთხოვნის გამოყენების უფლება აქვს, თუმცა მხოლოდ განთავისუფლებული მოვალის წილის გამოკლებით<sup>28</sup> (449). მაგალითად, თუ კრედიტორს ოთხი სოლიდარული მოვალის (A, B, C, D) მიმართ 100 000 ლარის მოთხოვნის უფლება აქვს, ხოლო სოლიდარული ვალდებულების შესრულებას მხოლოდ B-ს, C-ს და D-ს სთხოვს, ასეთ შემთხვევაში უნდა გაირკვეს, კრედიტორი A-ს ვალს პატიობს, თუ, უბრალოდ, მთლიანი ვალდებულების შესრულებას მხოლოდ B-ს, C-ს და D-ს სთხოვს. თუ კრედიტორი A-სგან ვალდებულების შესრულებას იმ საფუძველზე არ ითხოვს, რომ მას ვალს პატიობს, მაშინ, 449-ე მუხლის კონტექსტში უნდა დადგინდეს, A-ს მთლიან ვალს პატიობს, თუ მის წილს, ვინაიდან, 449-ე მუხლის მიხედვით, ვალის პატიება ერთ-ერთი სოლიდარული მოვალისათვის ათავისუფლებს სხვა სოლიდარულ მოვალეებსაც, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა კრედიტორი მათ მიმართ მოთხოვნას იტოვებს. თუ

25 იხ. თბილისის სააპელაციო პალატის 25.02.2017 წლის განჩინება, საქმე №2ბ/6816-16. სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 12.09.2017 წლის განჩინებით, საქმე №ა5-948-884-2017.

26 Brox/Walker, Allgemeines Schuldrecht, 34.Auflage, Verlag C.H.Beck, S.434, Rn.15.

27 იქვე, Rn.13.

28 იქვე.

კრედიტორი A-ს თავის წილ ვალს პატიობს, მაშინ კრედიტორს შეუძლია, დარჩენილი სოლიდარული მოვალეების მიმართ, განთავისუფლებული მოვალის წილის გამოკლებით, მხოლოდ ერთი მოთხოვნა გამოიყენოს, კერძოდ, ამ შემთხვევაში, კრედიტორის მიერ A-სთვის მისი წილი ვალდებულების პატიების შედეგად სხვა სოლიდარულად ვალდებული პირების მიმართ 75 000 ლარის მოთხოვნის უფლება აქვს. A-ს წილ ვალდებულებად მხოლოდ 25 000 ლარის მიჩნევა ეფუძნება სოლიდარული ვალდებულების პრინციპს, რომლის მიხედვითაც, როდესაც შეუძლებელია მოვალეთა პასუხისმგებლობის ოდენობის განსაზღვრა, ისინი ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ თანაბარი წილით (473).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, „ვალის პატიება, რასაც შედეგად შეიძლება ვალდებულების შეწყვეტა მოჰყვეს, თავის მხრივ, წარმოადგენს ორმხრივ გარიგებას, სადაც გარკვევით უნდა აისახოს მხარეთა ნება, მიმართული ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტისაკენ. იგი ორმხრივი შეთანხმებაა და მიზნად უნდა ისახავდეს მატერიალური სამართლით რეგულირებული შედეგის მიღწევას – მიუღებელი შესრულებისაგან მოვალის გათავისუფლებას“. ამდენად, კრედიტორის ნების შეფასება ვალის პატიებად ნათელი და არაორაზროვანი უნდა იყოს. ამასთან, უნდა დგინდებოდეს, კრედიტორმა ვალი მოვალეს აპატია, თუ თავდებს; თუ ვალი თავდებს აპატია, კრედიტორმა მოთხოვნა სხვა თავდებების მიმართ დაიტოვა, თუ – არა. საკასაციო პალატის განმარტებით, „როდესაც მხარე უარს აცხადებს სოლიდარული თავდების მიმართ წარდგენილ მოთხოვნაზე, თუ მხარეთა ნება არ იქნება მიმართული სამოქალაქო კოდექსის 450-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული შედეგის მიღწევაზე, არ შეიძლება ვალის პატიების სამართლებრივი შედეგი მხოლოდ ვარაუდზე დაყრდნობით დადგინდეს... მოსარჩელის მიერ ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიმართ წარდგენილ მოთხოვნაზე უარის თქმის შემთხვევაშიც კი, ეს გარემოება არც მატერიალურსამართლებრივი თვალსაზრისით არის ვალის პატიება, რადგანაც სამოქალაქო კოდექსის 449-ე მუხლით კანონმდებელმა დაადგინა, რომ სხვა სოლიდარული მოვალეებისათვის ვალის პატიება ერთ-ერთი სოლიდარული მოვალისათვის ათავისუფლებს სხვა სოლიდარულ მოვალეებსაც, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა კრედიტორი მათ მიმართ მოთხოვნას იტოვებს. ამ შემთხვევაში კრედიტორს შეუძლია, დარჩენილი სოლიდარული მოვალეების მიმართ მხოლოდ ერთი მოთხოვნა გამოიყენოს განთავისუფლებული მოვალის წილის გამოკლებით.<sup>29</sup> ამდენად, როგორც საპროცესო, ასევე მატერიალურსამართლებრივი თვალსაზრისით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა დადგინდეს, მოთხოვნის წარდგენა მხოლოდ ერთი სოლიდარული თავდებისათვის გულისხმობს თუ არა დანარჩენი სოლიდარულად მოვალე სუბიექტების ვალდებულებისაგან გათავისუფლებას<sup>30</sup>. როგორც წესი, მხარე იყენებს უფლებას, მოთხოვნა მხოლოდ იმ სოლიდარული მოვალის მიმართ წარადგინოს, რომელსაც ქონება აქვს. ეს გარემოება, როგორც წესი, არ ნიშნავს იმას, რომ კრედიტორი სხვა სოლიდარულ მოვალეებს ვალს პატიობს. კრედიტორი მხოლოდ შესაძლებლობას იყენებს, სამართლებრივი დავა ლიკვიდური მოვალის მიმართ აწარმოოს. ამიტომ სასამართლოს დასკვნა, რომ ერთი სოლიდარული მოვალის მიმართ სარჩელის აღძვრა, ან, თუნდაც, მორიგება, სხვა სოლიდარულ მოვალეებს ვალდებულებისაგან ათავისუფლებს, მცდარია. ამგვარი დასკვნა მხოლოდ კრედიტორის ნების განხილვის შედეგად უნდა დადგინდეს. საპროცესოსამართლებრივი თვალსაზრისით, ყოველთვის მიზანშეწონილია, რომ ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიმართ სარჩელის აღძვრის შემთხვევაში სხვა სოლიდარული მოვალეები მესამე პირად ჩაერთონ სამართალწარმოების პროცესში, რადგან ეს სამართალწარმოება მათ უფლებებსა და მოვალეობებზე პირდაპირ ზეგავლენას ახდენს და ამ წარმოების მოვალეს მათ მიმართ, რეგრესის წესით, მოთხოვნის უფლება უჩნდება, თუ, რაღა თქმა უნდა, კრედიტორმა მათ მიმართ მოთხოვნაზე უარი არ განაცხადა, ხოლო თუ კრედიტორმა მათ (მესამე პირად ჩართულ დანარჩენი სოლიდარული მოვალეების) მიმართ მოთხოვნაზე უარი თქვა (ვალი აპატია), ასეთ შემთხვევაში მოპასუხედ დასახელებული სოლიდარული მოვალე მოსარჩელის წინაშე მხოლოდ მისი წილი ვალდებულების ფარგლებშია პასუხისმგებელი.

29 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის პირველი ნოემბრის №ას-1087-1018-2012 გადაწყვეტილება.

30 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 19 ოქტომბრის №ას-379-352-2010 განჩინება.

## 5. მოვალეთა ე.წ. „შიდა ურთიერთობა“

### ა. გათანაბრების მოთხოვნა

როგორც ზემოთ აღინიშნა, სოლიდარული ვალდებულებისათვის დამახასიათებელია, რომ კრედიტორი უფლებამოსილია, ვალდებულების სრულად შესრულება, თავისი არჩევით, ერთ ან რამდენიმე სოლიდარულ მოვალეს მოსთხოვოს. ეს კრედიტორის უფლებაა, რითაც იგი ყველაზე ლიკვიდური მოვალისაგან შესრულების სწრაფად და დაუბრკოლებლად მიღების შესაძლებლობითაა უზრუნველყოფილი. თუმცა კრედიტორის ეს უფლება სამომავლოდ ე.წ. „გათანაბრების“ საჭიროებას წარმოშობს, ვინაიდან ივარაუდება, რომ ერთმა სოლიდარულმა მოვალემ კრედიტორის წინაშე სხვა პირთა (მოვალეთა) ვალდებულებაც შეასრულა, რითაც ვალდებულების შემსრულებელმა მოვალემ ქონებრივი დანაკლისი განიცადა, ხოლო დანარჩენ მოვალეებს ნამეტი დანაზოგი შეექმნათ. შესაბამისად, ამგვარი ვითარება ე.წ. „გათანაბრებას“ საჭიროებს, რასაც კანონი მოვალეთა შიდა ურთიერთობებში რეგრესის წესით უზრუნველყოფს. ამ წესს შეიცავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, რომლის მიხედვითაც, მოვალეს, რომელმაც სოლიდარული ვალდებულება შეასრულა, აქვს უკუმოთხოვნის უფლება დანარჩენ მოვალეთა მიმართ წილთა თანაბრობის კვალობაზე, ოღონდ თავისი წილის გამოკლებით, თუკი ხელშეკრულებით ან კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული (373). ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ ეს უფლება მოვალეზე სუბროგაციის გზით კი არ გადადის, არამედ დამოუკიდებელ მოთხოვნას წარმოშობს, რომელსაც ხანდაზმულობის ათვლის დამოუკიდებელი ვადა აქვს.<sup>31</sup> ამგვარი სამართლებრივი შედეგი დაკავშირებულია ფაქტთან, რომლის მიხედვით, სოლიდარული მოვალე სოლიდარული ვალდებულების შესრულებით კრედიტორის წინაშე მოვალეთა ვალდებულებას წყვეტს. შესაბამისად, მას სხვა სოლიდარულ მოვალეთა წილი ვალდებულების შესრულების მომენტიდან ამ შესრულების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება წარმოეშობა, თავისი წილი ვალდებულების გამოკლებით.

სოლიდარული ვალდებულება არსებობს იქამდე, სანამ ვალდებულება სრულად არ შესრულდება. მართალია, კრედიტორი უფლებამოსილია, მის წინაშე პასუხისმგებელი სოლიდარულად ვალდებული პირი თავად აირჩიოს, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ კრედიტორის წინაშე პასუხისმგებლობა მხოლოდ კრედიტორის მიერ არჩეულ სოლიდარულ მოვალეს აქვს. ეს უფლება კრედიტორის უფლებაა და ასევე ის სარგებელი (პრივილეგია), რაც სოლიდარულ ვალდებულებაში კრედიტორს უფრო დაცულს ხდის. სოლიდარული ვალდებულების შესრულების მოვალეთა კი, თავისი წილის პროპორციულად, ყველა სოლიდარული მოვალის ვალდებულებაა. თუ თითოეულმა მოვალემ სოლიდარული კრედიტორის წინაშე თავისი წილი ვალდებულება არ შეასრულა, იგი სხვა სოლიდარული მოვალის შესასრულებელი შეიძლება გახდეს. სწორედ ამის გამო მიიჩნევა, რომ სოლიდარულ მოვალეს კრედიტორის წინაშე თავისი წილი ვალდებულების შესრულების თაობაზე სხვა სოლიდარული მოვალეების მიმართაც აქვს ვალდებულება,<sup>32</sup> რისი დარღვევაც სხვა სოლიდარულ მოვალეებს, საერთო წესის მიხედვით (394, 408), ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას წარმოეშობს.<sup>33</sup>

### ბ. წილთა პროპორცია გათანაბრებაში

სოლიდარული მოვალე, რომელიც სოლიდარულ ვალდებულებას სრულად შეასრულებს, დანარჩენი სოლიდარული მოვალეებისაგან უკუმოთხოვნის (რეგრესის) უფლებას იძენს. რეგრესზე პასუხისმგებელი სოლიდარული მოვალეები რეგრესზე უფლებამოსილი მოვალის წინაშე თავიანთი წილის შესაბამისად

31 Brox/Walker, Allgemeines Schuldrecht, 34.Auflage, Verlag C.H.Beck, S.435, Rn.15.

32 BGH NJW 1994, 2231,2232 nach Muko, Bydliński, /426 Rn.12.

33 BGH NJW 1974, 693, 694 nach Brox/Walker, Allgemeines Schuldrecht, 34.Auflage, Verlag C.H.Beck, S.435, Rn.15.



არიან პასუხისმგებელნი. შესაბამისად, ისინი ერთმანეთის მიმართ წილობრივ და არა სოლიდარულ მოვალეობად განიხილებიან.<sup>34</sup> მაგალითად, კრედიტორს ოთხი სოლიდარული მოვალის (A, B, C, D) მიმართ 1 200 ლარის მოთხოვნის უფლება აქვს, ხოლო სოლიდარულ ვალდებულებას სრულად მხოლოდ ერთი (A) შეასრულებს; სოლიდარული ვალდებულების სრულად შემსრულებელი მოვალე (A) დანარჩენი მოვალეებისაგან გათანაბრების უფლებას იძენს, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი (A) მათგან (B, C, D) „შიდა ურთიერთობის ფარგლებში“ თითოეულისაგან 300 ლარს, საერთო ჯამში, 900 ლარ ანაზღაურებას მოითხოვს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი მოვალე ვალაუვალა, მაშინ მისთვის განსაზღვრული წილი ყველა სხვა გადახდისუნარიან მოვალეს შორის თანაბომიერად ნაწილდება, ანუ განსახილველ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი მოვალე, მაგალითად, B ვალაუვალა აღმოჩნდა, მისი წილი ვალდებულება თავის თავზე დანარჩენმა სოლიდარულად ვალდებულმა პირებმა უნდა აიღონ, შესაბამისად, C და D სოლიდარული ვალდებულების სრულად შემსრულებელი მოვალის მიმართ (A) ვალაუვალა მოვალის (B) წილ პასუხისმგებლობას თანაბრად იღებენ, თითოეული – 100 ლარის ფარგლებში (300:3).

მოვალეთა ე.წ. „შიდა ურთიერთობაში“ პასუხისმგებლობა წილობრივია. კანონი ამბობს, რომ მოვალეები ერთმანეთს შორის შიდა ურთიერთობებში თანაბარი წილით აგებენ პასუხს, თუ მოვალეთა პასუხისმგებლობის ოდენობის სხვაგვარად განსაზღვრა შეუძლებელია (473.2). მოვალეთა ე.წ. „შიდა ურთიერთობაში“ თითოეული მოვალის პასუხისმგებლობის წილის განსაზღვრა სხვადასხვა გზით ხდება, კერძოდ, ხშირად მოვალეები ამ საკითხს ერთმანეთთან დადებული ხელშეკრულებით აწესრიგებენ; ზოგ შემთხვევაში, პასუხისმგებლობაში წილობრივი მონაწილეობა საქმის გარემოებებიდან დგინდება. მაგალითად, თუ მოვალეთა სოლიდარული პასუხისმგებლობა კრედიტორის მიმართ ბრალეულმა ქმედებამ წარმოშვა, „შიდა ურთიერთობაში“ ისინი ერთმანეთის მიმართ თავიანთი ბრალის ხარისხის შესაბამისად აგებენ პასუხს.<sup>35</sup>

### გ. გათანაბრების დამაბრკოლებელი გარემოება

გათანაბრების დამაბრკოლებელ გარემოებად განიხილება შემთხვევები, როდესაც სოლიდარული კრედიტორი სოლიდარულ მოვალეს მის წილ ვალდებულებას მთლიანად ან ნაწილობრივ აპატიებს.

კრედიტორის მიერ მხოლოდ ერთი სოლიდარული მოვალისათვის ვალის პატიება მას უფლებას ართმევს, სხვა დანარჩენ სოლიდარულ მოვალეებს მთლიანი ვალდებულების შესრულება მოსთხოვოს. სანაწილდევოს დაშვების პირობებში, ანუ, თუ კრედიტორი ერთ სოლიდარულ მოვალეს მისი წილი ვალდებულების შესრულებისაგან გაათავისუფლებს, თუმცა მის წილ შესრულებას სხვა სოლიდარულ მოვალეებს მოსთხოვს, ასეთ შემთხვევაში, ვალდებულებისაგან გაათავისუფლებული სოლიდარული მოვალე, საბოლოო ჯამში, ამ ვალდებულებისათვის მაინც პასუხისმგებელი აღმოჩნდება, ვინაიდან, თუ მის წილ ვალდებულებას დანარჩენი სოლიდარული მოვალეები შეასრულებენ, მათ გაათავისუფლებული მოვალის მიმართ რეგრესის უფლება გაუჩნდებათ. ვალდებულებისაგან გაათავისუფლება კი კრედიტორისა და გაათავისუფლებული მოვალის სამართალურთიერთობაში მოქმედებს. გაათავისუფლებული მოვალე დანარჩენი სოლიდარული მოვალეების წინაშე რეგრესისაგან ვერ გაათავისუფლდება იმ არგუმენტზე დაყრდნობით, რომ კრედიტორმა მას მისი წილი ვალდებულება აპატია. სწორედ ასეთი უსამართლო შედეგის თავიდან აცილებას ისახავს მიზნად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 449-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც, სხვა სოლიდარული მოვალეებისათვის ვალის პატიება ერთ-ერთი სოლიდარული მოვალისათვის ათავისუფლებს სხვა სოლიდარულ მოვალეებსაც, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა კრედიტორი მათ მიმართ მოთხოვნას იტოვებს. ამ შემთხვევაში კრედიტორს შეუძლია, დარჩენილი

34 Brox/Walker, Allgemeines Schuldrecht, 34.Auflage, Verlag C.H.Beck, S.435, Rn.17.

35 BGH NJW 1983, 623 nach Brox/Walker, Allgemeines Schuldrecht, 34.Auflage, Verlag C.H.Beck, S.435, Rn.19.



სოლიდარული მოვალეების მიმართ მხოლოდ ერთი მოთხოვნა გამოიყენოს განთავისუფლებული მოვალის წილის გამოკლებით.

მაგალითად, A და G, რომლებიც A-ს მანქანით მგზავრობენ, შეთანხმდებიან, რომ საგზაო შემთხვევის დადგომის შემთხვევაში, A G-ს წინაშე პასუხისმგებლობისაგან თავისუფალი იქნება. A-სა და B-ს გაუფრთხილებელი მოქმედებით ავტოსაგზაო შემთხვევა დადგა, რითაც G-ს 2 000 ლარის ზიანი მიადგა. განსახილველ შემთხვევაში, პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების თაობაზე შეთანხმება A-ს G-ს წინაშე სრულად ათავისუფლებს ზიანის ანაზღაურების მოვალეობისაგან, რაც იმას ნიშნავს, რომ G ზიანის ანაზღაურებას სრულად ვერც B-სგან ვერ მოითხოვს. G ზიანის ანაზღაურებას მოითხოვს B-სგან იმდენად, რამდენადაც იგი A-სთან შიდა ურთიერთობაში პასუხისმგებელი იქნებოდა. თუ ავტოსაგზაო შემთხვევა A-სა და B-ს თანაბარი ბრალეულობით (50%/50%) დადგა, მაშინ G უფლებამოსილია, B-ს ზიანის ანაზღაურება 1 000 ლარის ოდენობით მოსთხოვოს.

ამდენად, იგულისხმება, რომ სოლიდარულ ვალდებულებაში ერთ-ერთი მოვალის მიმართ ვალის პატიება ან პასუხისმგებლობის შეზღუდვა სხვა სოლიდარულ მოვალეს ტვირთად არ უნდა დააწვეს. ვალის პატიების დროს ქონებრივი დანაკლისის რისკის მატარებელი ვალის მპატიებელი კრედიტორია და არა ის სოლიდარული მოვალე, რომელსაც კრედიტორმა ვალი არ აპატია.<sup>36</sup>

## დ. შესრულების სამართლებრივი შედეგები

ერთ-ერთი მოვალის მიერ ვალდებულების მთლიანად შესრულება ათავისუფლებს შესრულებისაგან დანარჩენ მოვალეებს. იგივე წესი მოქმედებს კრედიტორთან მოვალის მიერ განხორციელებული გაქვითვის მიმართ (467). ვალდებულება შესრულებით წყდება. იგივე წესი ვრცელდება სოლიდარულ ვალდებულებაზეც. სოლიდარული ვალდებულების შეწყვეტის მიზნებისათვის მნიშვნელობა არ აქვს, თუ რომელი მოვალე ასრულებს ვალდებულებას. **სოლიდარული ვალდებულება წყდება, თუ ერთ-ერთი მოვალე სრულად, ან ყველა (ან ერთზე მეტი) მოვალე ნაწილ-ნაწილ, თუმცა, საერთო ჯამში, სრულად შეასრულებს ვალდებულებას.** შესაბამისად, სოლიდარული ვალდებულების შეწყვეტის საფუძველი ვალდებულების სრულად შესრულებაა. ამ მიმართებით მნიშვნელობა არ აქვს, თუ რომელი და რამდენი სოლიდარული მოვალე ასრულებს ვალდებულებას. ვალდებულების შეწყვეტის მიზნებისათვის მთავარია, რომ **ვალდებულება სრულად შესრულდეს.** ამდენად, სოლიდარული ვალდებულების სრულად შესრულებით სოლიდარული ვალდებულება წყდება (427), რაც იმას ნიშნავს, რომ ერთი მოვალის მიერ ვალდებულების სრულად შესრულებით კრედიტორის წინაშე ვალდებულების შესრულების მოვალეობისაგან ყველა მოვალე თავისუფლდება.

შესრულების მიმართ ვალდებულების შემწყვეტი შესრულების ზოგადი წესები მოქმედებს. შესაბამისად, **ყოველი მოქმედება** არ იწვევს ვალდებულების შესრულებას და ვალდებულების შესრულების სამართლებრივი შედეგის დადგომას (427). ვალდებულების შესრულება ნიშნავს **იმ მოქმედების შესრულებას** (ან მოქმედებისაგან თავის შეკავებას), რომლის მოთხოვნის უფლებაც კრედიტორს აქვს (კრედიტორის მოთხოვნის რელატიური ბუნება).<sup>37</sup> **სწორედ ასეთი მოქმედება (ან მოქმედებისაგან თავის შეკავება) ნარმოადგენს ვალდებულების ობიექტს.**<sup>38</sup>

ამდენად, ვალდებულების შემწყვეტი შესრულება ჯეროვანი შესრულებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიერ ვალდებულების შესრულება მხოლოდ მაშინ ჩაითვლება ყველა სოლიდარული მოვალისათვის კრედიტორის წინაშე ვალდებულების შემწყვეტ შესრულებად, თუ შესრულება ჯეროვანია. ვალდებულების ჯეროვანი შესრულება გულისხმობს ვალდებულების შესრულებას კანონითა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, იმ გონიერი

36 MüKo, Bydliniski12.Auflage, Verlag C.H.München, 2012, &426, Rn. 57.

37 ჭეჭელაშვილი, სახელშეკრულებო სამართალი, თბ., 2008, 22.

38 ახვლედიანი, ვალდებულებითი სამართალი, თბ., 2006, 37.

მოლოდინის ფარგლებში, რაც შესრულების მიმდებარე ამ ვალდებულების შესრულების მიმართ ჰქონდა. ვალდებულების შესრულების ჯეროვანება ვალდებულების შესრულების მხოლოდ ერთი ან რამდენიმე კანონისმიერი ან ხელშეკრულებისმიერი მოთხოვნის დაცვას არ ნიშნავს, მაგალითად, ვალდებულების უნაკლო (ნივთობრივი, უფლებრივი), ხარისხიან, შეთანხმებული ოდენობით, დათქმულ დროს ან დათქმულ ადგილას შესრულებას. შესრულების ჯეროვანება ყველა შემთხვევაში დასახელებული ობიექტური ფაქტორის ერთობლიობაა და ვალდებულების ყოველგვარი დარღვევის გარეშე შესრულებას ნიშნავს.

## 6. მოთხოვნის გადასვლა

სოლიდარული მოვალე, რომელიც კრედიტორის მოთხოვნას სრულად დააკმაყოფილებს, დანარჩენი სოლიდარული მოვალეებისაგან უკუმოთხოვნის (რეგრესის) უფლებას იძენს, ანუ სხვაგვარად თუ ვიტყვით, ვალდებულების შემსრულებელ სოლიდარულ მოვალეზე კრედიტორის მოთხოვნის უფლება გადადის (სუბროგაცია), რომლის რეალიზების შედეგად ქონებრივი მდგომარეობის გათანაბრება ხდება (რეგრესი). მართალია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 473-ე მუხლი მოთხოვნის გადასვლაზე არაფერს ამბობს,<sup>39</sup> თუმცა ნორმის შინაარსიდან ცალსახაა, რომ კრედიტორის მოთხოვნა დანარჩენი მოვალეების მიმართ ვალდებულების შემსრულებელ მოვალეზე გადადის (473.1).

## 7. სუბროგაცია, რეგრესი, ცესია

### ა. სუბროგაციისა და რეგრესის ურთიერთმიმართება

სუბროგაციისა და რეგრესის არსსა და ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით არაერთი მოსაზრება არსებობს, თუმცა, დღეს გავრცელებული გაბატონებული მოსაზრების შესაბამისად, სუბროგაცია მოთხოვნის გადასვლას ასახავს, რომლის რელატიური შედეგი რეგრესი, ანუ უფლებებში გათანაბრებაა.<sup>40</sup> მაგალითად, ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიერ ვალდებულების შესრულებით, დანარჩენ სოლიდარულ მოვალეთა ვალდებულება ყოველმხრივ (სრულად) კი არ წყდება, არამედ მხოლოდ კრედიტორის მიმართ, რომლის ადგილს ვალდებულების შემსრულებელი მოვალე იკავებს (473). იგივე წესი ვრცელდება მზღვეველზე, რომელიც მას შემდეგ, რაც დამზღვევს მიყენებულ ზიანს აუნაზღაურებს, ზიანის მიმყენებლისაგან გადახდილი თანხის (განუვლი შესრულების) ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას იძენს (832). მოთხოვნის უფლება კი ახალ კრედიტორზე ისეთსავე მდგომარეობაში გადადის (სუბროგაცია), როგორშიც იგი ძველი მფლობელის ხელში იყო (198.1). მოთხოვნის გადასვლით ახალ კრედიტორზე მისი უზრუნველყოფის საშუალებებიცა და მოთხოვნასთან დაკავშირებული სხვა უფლებებიც გადადის (201). დამატებით უფლებებთან ერთად მოთხოვნის გადასვლის საპირწონედ მოვალე ახალი კრედიტორის მიმართ ყველა იმ შესაგებელს ინარჩუნებს, რაც მას ძველი კრედიტორის მიმართ ჰქონდა. მაგალითად, მოვალემ შეიძლება ახალი კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების გამომრიცხველი ისეთი შესაგებელი წარადგინოს, როგორც ხანდაზმულობაა. შესაბამისად, მოთხოვნის გადასვლის გზით კრედიტორმა შეიძლება ნატურალური, აღუსრულებელი მოთხოვნა მიიღოს.<sup>41</sup>

39 განსხვავებით იდენტური შინაარსის მატარებელი გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 426-ე მუხლისა, რომლის მე-2 ნაწილი ადგენს, რომ, რა ფარგლებშიც სოლიდარული მოვალე კრედიტორს დააკმაყოფილებს, იმ ფარგლებში გადადის კრედიტორის მოთხოვნა დანარჩენი მოვალეების მიმართ მასზე.

40 Hasse, Der Regress im Sozial- und Privatversicherungsrecht als Regelungsgegenstand er Gesamtschuld, Duncker&Humblot, Berlin, 1992, S.80.

41 იქვე, 81.

სუბროგაციის გზით არარსებული უფლება არ „ცოცხლდება“, ახლად „არ წარმოიშობა“, იგი ახალ კრედიტორზე ისეთსავე მდგომარეობაში გადადის, როგორშიც ძველი კრედიტორის ხელში იყო. თუ პირი სუბროგაციის გზით მოპოვებული უფლების რეალიზაციის შედეგად მოვალისაგან შესრულებას ვერ მიიღებს, მას თავდაპირველი კრედიტორის მიმართ მოთხოვნის უფლება არ უნდება.

## ბ. ცესია

ვინაიდან სუბროგაციის ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელი **მოთხოვნის ე.წ. „ტრანსპორტირების“ ფუნქციაა**, ამიტომ, სამართლებრივი შედეგების თვალსაზრისით, ლიტერატურაში ხშირად სუბროგაციასა და ცესიას იდენტური შინაარსის სამართლებრივ ტერმინებად მიიჩნევენ.<sup>42</sup> თუმცა ცესია და სუბროგაცია განსხვავებული სამართლებრივი ინსტიტუტებია, ამიტომ მათი ერთმანეთისაგან გამიჯვნა, როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ კონტექსტში, მნიშვნელოვანია. ამ მიმართებით, პირველ რიგში, ნიშანდობლივია ალინიშნოს, რომ **ცესია სახელშეკრულებო სამართლის პირშობა, რაც იმას ნიშნავს**, რომ ცესია, ანუ მოთხოვნის დათმობა **მხოლოდ ხელშეკრულების საფუძველზეა შესაძლებელი**. სწორედ ამ შესაძლებლობის საკანონმდებლო რეგლამენტაციას ითვალისწინებს სამოქალაქო კოდექსი, რომლის მიხედვითაც, მოთხოვნა ან უფლება, რომელთა დათმობა და დაგირავებაც შესაძლებელია, მათმა მფლობელმა შეიძლება საკუთრებად გადასცეს სხვა პირს. მოთხოვნები და უფლებები ახალ პირზე ისეთსავე მდგომარეობაში გადადის, როგორშიც ისინი ძველი მფლობელის ხელში იყვნენ (198.1). ამდენად, ამ ნორმის კონტექსტში ცედენტსა და ცესიონერს შორის მოთხოვნის დათმობის გარიგება იდება, რომლის ძალითაც მოთხოვნის მფლობელი (ცედენტი) მოთხოვნის მიმღებს (ცესიონერს) მის კუთვნილ უფლებას ისეთსავე მდგომარეობაში გადასცემს (198.2), როგორშიც ძველი მფლობელის ხელში იყო, ყველა იმ დამატებითი უფლებით, რაც მოთხოვნის პირვანდელ მფლობელს ჰქონდა, მათ შორის: იპოთეკა, გირავნობა (201.1).

მოთხოვნის სახელშეკრულებო დათმობის ინსტიტუტისაგან განსხვავდება **მოთხოვნის კანონისმიერი დათმობა, ე.წ. საკანონმდებლო ცესია (Cessio Legis)**. ლიტერატურაში **სუბროგაცია სწორედ მოთხოვნის კანონისმიერი დათმობის ინსტიტუტთან იგივედება**.<sup>43</sup> შესაბამისად, სუბროგაცია (Cessio Legis) სახეზეა მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულების შესრულების შედეგად მოთხოვნის გადასვლის შესაძლებლობას **კანონი პირდაპირ ადგენს**. კანონის ძალით მოთხოვნის გადასვლის მაგალითებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 269.3<sup>44</sup>, 292.1.2<sup>45</sup>, 372<sup>46</sup>; 905<sup>47</sup>; 890<sup>48</sup>, 832<sup>49</sup> მუხლები, ხოლო ხელშეკრულების ძალით მოთხოვნის გადასვლა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის

42 იქვე.

43 Ferid, aaO., 2 E 116; Weill/Terre, aaO., 1046 nach A.Hasse, Der Regress im Sozial- und Privatversicherungsrecht als Regelungsgegenstand der Gesamtschuld, Duncker&Humblot, Berlin, 1992, S.81.

44 სსკ 269.3 – 3. ყოველი მესამე პირი, რომლის უფლებრივი მდგომარეობაც გირავნობის საგნის რეალიზაციის შედეგად შეიძლება გაუარესდეს, უფლებამოსილია, დააკმაყოფილოს მოგირავნის მოთხოვნა და ამ გზით შეიძინოს თავისი უფლებები დამგირავებლისა და შესაძლო მოვალე მესამე პირის მიმართ.

45 სსკ 292.1.2 – 1. უძრავი ნივთის მესაკუთრე უფლებამოსილია, დააკმაყოფილოს კრედიტორი, როცა მოთხოვნის შესრულების ვადა უკვე დადგა, ან როცა პირადი მოვალე უფლებამოსილია, შეასრულოს შესაბამისი მოქმედება.

2. თუ მესაკუთრე არ არის პირადი მოვალე, მოთხოვნა გადადის მასზე მაშინ, როცა მესაკუთრე კრედიტორს დააკმაყოფილებს.

46 372 – თუ კრედიტორი მიმართავს იძულებით აღსრულებას მოვალის კუთვნილ ნივთზე, მაშინ ყოველი პირი, რომელსაც ექმნება საფრთხე, რომ იძულებითი აღსრულებით შეიძლება დაკარგოს უფლება ამ ნივთზე, უფლებამოსილია, დააკმაყოფილოს კრედიტორი. როცა მესამე პირი დააკმაყოფილებს კრედიტორს, მაშინ მოთხოვნის უფლება გადადის ამ პირზე.

47 905 – თუ თავდები დააკმაყოფილებს კრედიტორს, მასზე გადადის კრედიტორის მოთხოვნა ძირითადი მოვალის მიმართ. ძირითადი მოვალის შესაგებლები, რომლებიც გამოდინარეობს მასა და თავდებს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობიდან, ხელუხლებელი რჩება.

48 890 – გარანტის უფლება, მოითხოვოს პრინციპალისაგან რეგრესის წესით იმ თანხის გადახდა, რომელიც აუნაზღაურდა ბენეფიციარს საბანკო გარანტიით, განისაზღვრება პრინციპალთან გარანტის იმ შეთანხმებით, რომლის შესასრულებლადაც გაიცა გარანტია.

49 832 – თუ დამზღვევეს შეუძლია, ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნა წაუყენოს მესამე პირს, მაშინ ეს მოთხოვნა გადადის მზღვეველზე, თუკი ის უნაზღაურებს დამზღვევეს ზიანს.

199-ე მუხლის მიხედვით ხდება.<sup>50</sup> სუბიექტი, რომელიც სუბროგაციის ძალით მოთხოვნას იძენს, მას რეგრესის, ანუ გათანაბრების, მოთხოვნის უფლება წარმოეშობა. ნიშანდობლივია ასევე, აღინიშნოს, რომ მოთხოვნის სახელშეკრულებო გადასვლის მარეგულირებელი ნორმები (ცესია) მოთხოვნის კანონისმიერ გადასვლაზე მოქმედებს (სუბროგაცია) (207).

სახელშეკრულებო ცესიისაგან განსხვავებით, კანონისმიერი ცესიისათვის დამახასიათებელია მოთხოვნის გადასვლა **არა სრულად, არამედ მხოლოდ იმ ნაწილში (იმ მოცულობით), რა ნაწილშიც (რა მოცულობითაც) პირი კრედიტორის წინაშე ვალდებულებას ასრულებს.** შესაბამისად, იგი კრედიტორის ადგილს იმ მდგომარეობაში იკავებს, რა მდგომარეობაშიც კრედიტორი შესრულების მიღების დროს იყო. თუ პირი მოთხოვნას ნაწილობრივ შეასრულებს, იგი კრედიტორის ადგილს მხოლოდ ამ შესრულების ნაწილში იკავებს. მოვალის გადახდისუუნარობის პირობებში ახალი კრედიტორის უფლების რეალიზაციით თავდაპირველი კრედიტორის უფლება არ უნდა შეიზღუდოს. თავდაპირველ კრედიტორს თავისი მოთხოვნის ნაწილში მოვალისაგან დაკმაყოფილების უპირატესი უფლება აქვს.<sup>51</sup>

სუბროგაციის ფართო ინტერპრეტაცია დაუშვებელია, ვინაიდან მისი არსი სწორედ ისაა, რომ მოთხოვნის გადასვლას კანონი ადგენს.<sup>52</sup> შესაბამისად, სუბროგაცია, ანუ მოთხოვნის კანონისმიერი გადასვლა არ ხდება იქ, სადაც კანონი ამგვარ შესაძლებლობას არ ადგენს. ამ პრინციპს ითვალისწინებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სიცოცხლის დაზღვევის შემთხვევაში სუბროგაცია დაუშვებელია, ვინაიდან სიცოცხლის დაზღვევის დროს კანონი სუბროგაციას არ ითვალისწინებს.<sup>53</sup>

50 199.1 – მოთხოვნის მფლობელს (კრედიტორს) შეუძლია, მოვალის თანხმობის გარეშე მოთხოვნა მესამე პირს დაუთმოს, თუკი ეს არ ეწინააღმდეგება ვალდებულების არსს, მოვალესთან მის შეთანხმებას ან კანონს (მოთხოვნის დათმობა). მოვალესთან შეთანხმება დათმობის დაუშვებლობის შესახებ შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს მოვალის პატივსაცემი ინტერესი.

51 Grundsatz: „Nemo contra se subrogasse censetur“; Ferid, aaO., 2 E 154; Weill/Terre, aaO., 1046 nach A.Hasse, Der Regress im Sozial- und Privatversicherungsrecht als Regelungsgegenstand er Gesamtschuld, Duncker&Humblot, Berlin, 1992, S.83.

52 Zweigert/Kötz, aaO., Bd.2 S.150, Rn. ff nach A.Hasse, Der Regress im Sozial- und Privatversicherungsrecht als Regelungsgegenstand er Gesamtschuld, Duncker&Humblot, Berlin, 1992, S.82.

53 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 17.02.2012 წლის განჩინება, საქმე №ას-663-624-2011.



# საწარმოს წარმომადგენლობის ფარგლების საკითხის შესახებ

საქართველოს უზენაესი სასამართლოს  
№ას-1219-1139-2017 გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით

წინამდებარე მოკლე კომენტარი ეხება საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას საქმეზე №ას-1219-1139-2017 და, ძირითადად, სამეწარმეო წარმომადგენლობისა და „მეწარმეთა შესახებ კანონის“ (მშკ) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის განმარტებას ეთმობა. ვფიქრობთ, ეს გადაწყვეტილება მნიშვნელოვანია სამეწარმეო წარმომადგენლობისა და, უფრო ზოგადად, იურიდიული პირის წარმომადგენლობის ფარგლების განსაზღვრის თვალსაზრისით.

სტატიის პირველი ნაწილი დავის ფაქტობრივ გარემოებებს ეთმობა; მეორე ნაწილში საწარმოს წარმომადგენლის (დირექტორის) მიერ დადებული გარიგების საცილობა/ბათილობის საკითხს მიმოვიხილავთ, რომელსაც, შესაძლოა, საკითხის ირგვლივ ქართული სასამართლო პრაქტიკის განვითარების მოკლე ისტორია მოსდევს; მეოთხე ნაწილს ევროკავშირის სამართალში საწარმოს ხელმძღვანელის წარმომადგენლობითი უფლების საკითხის არაამომწურავ განხილვას ვუთმობთ; მეხუთე ნაწილში კი მკითხველს შემაჯამებელ მსჯელობას შევთავაზებთ.

## I. ფაქტობრივი გარემოებები

კომპანიის დამფუძნებელი პარტნიორი ქართული კომპანიის (შპს) 100%-იანი წილის მესაკუთრეა. კომპანია სამეწარმეო, საინვესტიციო საქმიანობას ისახავს მიზნად.

კომპანიის რეგისტრაციის მიზნით, მინდობილობით დამფუძნებელმა პარტნიორმა მომავალ დირექტორს ზოგადი მინდობილობით მიანიჭა უფლებამოსილება, მისი სახელით დაეფუძნებინა კომპანია და ხელი მოეწერა სადამფუძნებლო დოკუმენტაციაზე. ამ მინდობილობით დირექტორს პარტნიორისგან ენიჭებოდა კომპანიის დაფუძნების, სადამფუძნებლო დოკუმენტაციაზე ხელმოწერისა და სხვა ზოგადი ხასიათის უფლებამოსილებები. კომპანია დარეგისტრირდა 2013 წლის 22 თებერვალს.

2013 წლის 23 მაისს დირექტორმა საჯარო რეესტრში წარადგინა კომპანიის წესდება ახალი რედაქციით, რომელშიც შეტანილი იყო ერთადერთი ცვლილება, კერძოდ, წესდების ერთ-ერთ მუხლს დაემატა შემდეგი შინაარსის პუნქტი:

„პარტნიორის წინასწარი თანხმობის გარეშე დირექტორი უფლებამოსილია: დადოს ნებისმიერ პირთან ნებისმიერი გარიგება, მათ შორის: იპოთეკის, გირავნობის, ოვერდრაფტის, საბანკო კრედიტის, საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების შესახებ, საკრედიტო ხაზის, აკრედიტივის, გარანტიის, იპოთეკა-ნასყიდობის, თავდებობისა და სხვა ხელშეკრულებები; გახსნას, დახუროს, მართოს და განკარგოს ს.ი.-ის კუთვნილი საბანკო ანგარიშები საქართველოს ნებისმიერ ბანკში, მათ შორის, სს „თ.ბ-ში“



და აწარმოოს ნებისმიერი საბანკო ოპერაცია; იყოს წარმომადგენელი ნებისმიერ პირთან, აგრეთვე, აწარმოოს ნებისმიერი სახის სამართლებრივი ურთიერთობა ნებისმიერ პირთან, ორგანიზაციასთან, დაწესებულებასთან, მათ შორის: სახელმწიფო ორგანოებთან, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან, ადგილობრივ თვითმმართველობებთან, ასევე, მათ სამსახურებთან; მიიღოს, გამოითხოვოს, ნებისმიერი ნებართვა (მათ შორის: სამშენებლო, საპროექტო საქმიანობასთან დაკავშირებით) ლიცენზია, ცნობა, თანხმობა და ა.შ.“

2013 წლის 28 ივნისს კომპანიის დირექტორმა მოსარჩელის სახელით დადო გირავნობის ხელშეკრულება, მოსარჩელის ბანკში არსებულ ანაბარზე არსებული თანხის, 3 500 000 ევროს, მეორე კომპანიის (რომელშიც კომპანიის დირექტორის მეუღლეს 30 %-იანი წილი ეკუთვნოდა) საკრედიტო ვალდებულების უზრუნველსაყოფად დაგირავების თაობაზე.

2013 წლის 20 სექტემბერს კომპანიის დირექტორმა კომპანიის სახელით დადო მეორე გირავნობის ხელშეკრულება მოსარჩელის ანაბარზე არსებული თანხის, 2 000 000 ევროს, მეორე კომპანიის საკრედიტო ვალდებულების უზრუნველსაყოფად დაგირავების თაობაზე.

2014 წლის 20 ივნისს კომპანიის დირექტორმა მოსარჩელის სახელით დადო მესამე გირავნობის ხელშეკრულება 500 000 ევროს მეორე კომპანიის საკრედიტო ვალდებულების უზრუნველსაყოფად დაგირავების თაობაზე.

2014 წლის 16 ივლისს კომპანიის დირექტორმა მოსარჩელის სახელით დადო მე-4 გირავნობის ხელშეკრულება მოსარჩელის ანაბარზე არსებული თანხის, 1 000 000 ევროს, მეორე კომპანიის საკრედიტო ვალდებულების უზრუნველსაყოფად დაგირავების თაობაზე.

კომპანიის დამფუძნებელმა პარტნიორმა ანაბარებზე განთავსებული თანხების დაგირავების შესახებ 2014 წლის ბოლოს შეიტყო, რის შემდეგაც მან კომპანიის დირექტორის თანამდებობიდან გადაყენების გადაწყვეტილება მიიღო.

სასარჩელო მოთხოვნა: გირავნობის ხელშეკრულებების ბათილად ცნობა.

## II. წარმომადგენლის მიერ დადებული გარიგების შეცილების/ ბათილობის შესაძლო სამართლებრივი საფუძვლები

წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების (სამოქალაქო კოდექსის 103-ე, 115-ე მუხლები) პირობებში სამართლებრივი შედეგის (გარიგების ბათილობის) თვალსაზრისით, რელევანტურია სამოქალაქო კოდექსის 111-ე მუხლი, რომელიც განსაზღვრავს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების არარსებობის პირობებში გარიგების განხორციელების შედეგებს. კერძოდ, ამგვარი გარიგების ნამდვილობა დამოკიდებულია წარმომადგენელი პირის თანხმობაზე. ამდენად, გარიგება მერყევად ბათილია.

შესაბამისად, ქართულ სამართლებრივ წყაროებში აღიარებულია, რომ 111-ე მუხლის შედეგი (ბათილობა) დგება მაშინაც, როცა წარმომადგენელი არ ამეტებს წარმომადგენლობის ფარგლებს (მაგ., საწარმოს რეგისტრირებული დირექტორი), თუმცა ბოროტად იყენებს ამ უფლებამოსილებას. გარიგება მხოლოდ მაშინ იქნება ნამდვილი, თუკი გარიგების მეორე მხარე ამ ფაქტის მიმართ კეთილსინდისიერია.<sup>1</sup>

1 ჯორბენაძე/გაწერელია, ლადო ჭანტურია (მთ. რედ.), სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, 2017, 111-ე მუხლი, 22-ე, 23-ე ველები.

თუმცა სამეწარმეო წარმომადგენლობის კონტექსტში, ხელმძღვანელობის უფლებამოსილების შეზღუდვის შედეგებს გარიგების ნამდვილობის კუთხით, საგანგებოდ აწესრიგებს კანონი „მეწარმეთა შესახებ“ (მშკ). კანონის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტით:

„თუ ხელშეკრულების დადებისას კონტრაგენტისათვის ცნობილი იყო მეწარმე სუბიექტის ხელმძღვანელობის უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ, წარმოდგენილ მეწარმე სუბიექტს შეუძლია განაცხადოს გარიგების ბათილობის თაობაზე. იგივე წესი გამოიყენება, თუ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი და კონტრაგენტი განზრახ მოქმედებენ ერთად, რათა ზიანი მიადგეს იმ მეწარმე სუბიექტს, რომელიც წარმოდგენილია წარმომადგენლით.“

„მშკ“-ის ეს სამართლებრივი მოდელი განსხვავებულია 111-ე მუხლის დებულებების კონსტრუქციისგან და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე დადებული გარიგების მერყევე ბათილობას ადგენს. თუმცა ნიშანდობლივია, რომ 111-ე მუხლის სათაურის მიუხედავად, მის შემადგენლობაში მოიაზრებენ როგორც უფლებამოსილების გადაჭარბებით, ასევე ბოროტად გამოყენებით დადებულ გარიგებასაც.

სამეწარმეო სამართლის ფარგლებში, ე.ი., დირექტორის მიერ საწარმოს წარმომადგენლობის განხილვისას, როგორც *lex specialis*, უპირატესობა უნდა მიენიჭოს მშკ-ის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტს.

### III. სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა მეწარმეთა შესახებ კანონის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტთან დაკავშირებით – წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, „უჩვეულო გარიგება“

2010 წლის 27 აპრილის ცვლილებებამდე (№2979-ის) მეწარმეთა შესახებ კანონის მიხედვით (მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის ბოლო წინადადება), დაუშვებელი იყო რეგისტრირებული წარმომადგენლის (დირექტორის) წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეზღუდვა მესამე პირების მიმართ.

ამ დანაწესის გაუქმების მიუხედავად, ვფიქრობთ, მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის საგამონაკლისო ხასიათის (დირექტორის მიერ დადებული ხელშეკრულება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებშია საცილო) საერთო სურათი არ შეცვლილა. ქართული სამართალი კვლავ დირექტორის შეუზღუდავი წარმომადგენლობის პრინციპს ეყრდნობა. ამის ნათელსაყოფად, დამატებით, შეგვიძლია, კანონის მე-10 მუხლის მე-3 ნაწილის მე-4 წინადადებაც მოვიშველიოთ, რომლის მიხედვითაც: პროკურის მოცულობის შეზღუდვა ბათილია მესამე პირისათვის. ე.წ. *Argumentum a fortiori* (მითუმეტეს, არგუმენტი) (*argumentum a minore ad maius*) არგუმენტის მოშველიებით ცხადი ხდება, რომ, თუკი პროკურისტი შეუზღუდავი წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით სარგებლობს მესამე პირთა მიმართ, შეუძლებელია, ეს „პრივილეგია“ დირექტორს ჩამოვართვათ.

მიუხედავად ამისა, ქართულ სასამართლოში მშკ-ის მითითებული მუხლის დანაწესთან – „კონტრაგენტისათვის ცნობილი იყო მეწარმე სუბიექტის ხელმძღვანელობის უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ“ – დაკავშირებულ პრაქტიკას არაერთგვაროვნება ახასიათებს.

თვალსაჩინოებისთვის მოვიხმობთ რამდენიმე ამონარიდს გადაწყვეტილებებიდან:

#### სუს-ს გადაწყვეტილება, საქმე №ას-495-471-2013, 25 მარტი, 2014 წელი:

„საზოგადოების წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს დირექტორის მიერ საზოგადოების ერთპიროვნულად მართვის უფლებამოსილებას, მაგრამ საზოგადოების ხელმძღვანელობის უფლებამოსილება შესაძლოა, შეიზღუდოს სამეთვალყურეო ორგანოს აუცილებელი თანხმობის

დანესებით. ხელმძღვანელობის ეს წესი შეიძლება განისაზღვროს აგრეთვე საზოგადოების შინაგანანხით. ასეთ შემთხვევაში კონტრაგენტი ხელშეკრულების დადებისას უნდა დაინტერესდეს, დირექტორს აქვს თუ არა ამ ხელშეკრულების დადების უფლება და თუ დარწმუნდება, რომ ასეთი ხელშეკრულების დადების უფლება არა აქვს, მოსთხოვოს შესაბამისი თანხმობა.“

### **სუს-ს გადაწყვეტილება, საქმე №ას -252-240-2016, 10 ივნისი, 2016 წელი:**

„რაც შეეხება კასატორის პოზიციას იმის თაობაზე, რომ დადგენილი პრაქტიკით შპს-ის დირექტორის უფლებამოსილების შეზღუდვა გავლენას ვერ მოახდენს დირექტორის მიერ დადებული გარიგებების ნამდვილობაზე მესამე პირთა მიმართ, ვერ იქნება გაზიარებული იმ თვალსაზრისით და იმ ასპექტში, სამეწარმეო სუბიექტის წესდებით დანესებული შეზღუდვა გავლენას ახდენს გარიგების ნამდვილობაზე იმ შემთხვევაში თუ, იგი რეგისტრირებულია სამეწარმეო რეესტრში ან თუ ამგვარი შეზღუდვის არსებობა ცნობილი იყო სადავო გარიგების ხელშეკრველი მხარისათვის.“

მხოლოდ ტექსტუალურ განმარტებას ეფუძნება საკონსტიტუციო სასამართლოს მოსაზრება იმავე საკითხზე საქმესთან – შპს „მეტალინვესტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (გადაწყვეტილება №1/1/543, 2014 წლის 29 იანვარი) – დაკავშირებით:

„გარიგება, რომელიც დადებულია საწარმოს ხელმძღვანელის/წარმომადგენლის მონაწილეობით, როგორც წესი, უნდა გათანაბრდეს წარმომადგენლის უფლებამოსილების ფარგლებში დადებულ გარიგებასთან ...

კეთილსინდისიერ კონტრაგენტს არ შეიძლება დაეკისროს ვალდებულება, გაერკვეს, მართლაც აქვს თუ არა წარმომადგენელს კონკრეტული გარიგების დადების უფლებამოსილება. ამგვარად, სამოქალაქო ბრუნვის ინტერესებიდან გამომდინარე, კეთილსინდისიერი კონტრაგენტის ინტერესების დაცვის მიზნით, სანამ საპირისპირო დადასტურდება, უნდა არსებობდეს პრეზუმფცია, რომ კონტრაგენტმა არ იცოდა შეზღუდული უფლებამოსილების შესახებ ...

სამეწარმეო რეესტრის ამონაწერში ან საწარმოს წესდებაში მოცემული ინფორმაცია წარმომადგენლის უფლებამოსილების შეზღუდვის თაობაზე და ის ფაქტი, რომ წესდება ... საჯაროდ არის ხელმისაწვდომი, დამოუკიდებლად არ გულისხმობს, რომ კონტრაგენტმა „იცოდა“ უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ. მართალია, კანონმდებლობა შესაძლებლობას აძლევს მენარმეს, ხელმძღვანელი/წარმომადგენელი პირის უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება გახადოს საჯარო ... მაგრამ წარმომადგენლის შეზღუდული უფლებამოსილების შესახებ „ცოდნა“, რომელიც შემდგომ შესაძლოა, გარიგების ბათილობის საფუძველი გახდეს, გულისხმობს არა ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, არამედ კონტრაგენტის მიერ ინფორმაციის ფაქტობრივ ფლობას, გარიგების დადების მომენტისთვის კონტრაგენტის ხელთ არსებულ ინფორმაციას. ნორმა არ გულისხმობს შემთხვევებს, როდესაც კონტრაგენტს „შეეძლო სცოდნოდა“ უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ...“

საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ სადავო ნორმაში სიტყვა „იცოდა“ მიემართება ისეთ შემთხვევებს, როდესაც კონტრაგენტი ინფორმირებული იყო უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ. მაგალითად, ... კონტრაგენტს უშუალოდ მენარმისგან (მისი პარტნიორებისგან) აქვს მიღებული შეტყობინება/ინფორმაცია ხელმძღვანელის/წარმომადგენლის უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ.“

შესაბამისად, ქართული სამოსამართლო პრაქტიკა მესამე პირების მიმართ საწარმოს წარმომადგენლის (დირექტორის) უფლებამოსილების შიდა შეზღუდვის ვალიდურობას ზოგჯერ „შეეძლო სცოდნოდას“, ხოლო სხვა შემთხვევაში „უნდა სცოდნოდას“ ან „იცოდას“ სტანდარტებს უკავშირებს, რითაც, სამართლებრივი სტაბილურობის თვალსაზრისით, არასაიმედო გარემო იქმნება.

მით უფრო საყურადღებოა აქ განხილული უახლესი ქართული სამართლებრივი პრაქტიკა, რომელიც უზენაესი სასამართლოს მიერ სუს-ს მიერ საქმეზე – №ას-1219-1139-2017 (12 იანვარი, 2018 წელი) – დაადგინა:

„იმ პირობებში, როდესაც იკვეთება კომპანიისთვის უჩვეულო ტრანსაქციების განხორციელება, ... და მოსარჩელის მიერ მთელი ქონების დაგირავება, წარმომადგენდა საკმარის საფუძველს იმისთვის, რათა კეთილსინდისიერ საკრედიტო დანესებულებას ევარაუდა, რომ მისი კლიენტის წარმომადგენელი ბოროტად სარგებლობდა უფლებამოსილებით, ამიტომ მას უნდა გამოეჩინა სათანადო გულისხმიერება და ამ გარიგებების დადებასთან დაკავშირებით გადაემოწმებინა 100%-იანი წილის მქონე პარტნიორის ნების არსებობა“ (სააპელაციო სასამართლო).

ამავე საქმეზე საკასაციო სასამართლო მართებულად მიიჩნევს, რომ „უჩვეულო“ და კომპანიის აშკარად ზიანის მომტანი გარიგების დადება საწარმოს დირექტორის მიერ იძლევა იმ დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ კომპანიის დირექტორი:

„...ყოფილი დირექტორის მიერ ოთხი ერთმანეთის მიყოლებით დადებული დეპოზიტის გირავნობის ხელშეკრულებები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ მესამე პირის (ბანკის ძირითადი მოვალის) მიერ ვალდებულების შესრულებას, წარმომადგენდნენ „უჩვეულო“ და კომპანიისათვის ზიანის მომტან გარიგებებს, რადგანაც შპს „ს.ი-ს“ მიერ ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობა ავტომატურად გამოიწვევდა კომპანიისათვის [შპს S.I.] ამ თანხის დაკარგვას და მისთვის ქონებრივი ზიანის მიყენებას, რაც იმ დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლეოდა, რომ კომპანიის ყოფილი დირექტორი გარიგებების დადებისას არ მოქმედებდა კომპანიის ინტერესებში და ადგილი ჰქონდა მისი მხრიდან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას (სსკ-ის 115-ე მუხლი).“

#### **IV. საწარმოთა ორგანოების მოქმედებათა შეზღუდვა და კეთილსინდისიერი მესამე პირის დაცვა ევროკავშირის საკორპორაციო სამართალსა და პრაქტიკაში**

საკითხის სრულყოფილი გააზრებისთვის მართებულია, გავითვალისწინოთ ევროპული საკორპორაციო სამართლის დამოკიდებულება საკითხის მიმართ. კერძოდ, როგორ აყალიბებს იგი მესამე პირის (კონტრაგენტის) უფლებას, დაეყრდნოს დირექტორის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეუზღუდაობას, როგორც პრინციპს და რა ფარგლებში აძლევს უფლებას წევრ სახელმწიფოებს, ამ პრინციპიდან გამონაკლისი გააკეთონ და რა არის ის საერთოევროპული სამართლებრივი ტესტი, რომელიც გამონაკლისის დასადგენად გამოიყენება.

ჰარმონიზებული ევროპული საკორპორაციო სამართლის დონეზე ორივე მიმართულებით დებულებებს შეიცავს 2017 წლის 14 ივნისის ევროპის კავშირის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივა სამეწარმეო სამართლის გარკვეული ასპექტების თაობაზე (2017/1132/EU), რომელიც მანამდე არსებული ექვსი დირექტივის კონსოლიდირებულ ვარიანტს გვთავაზობს.

თავიდანვე მართებულად მიგვაჩნია, ორიოდ სიტყვით შევხვით დირექტივის, როგორც ევროკავშირის ერთ-ერთი სამართლებრივი ინსტრუმენტის, ბუნებას. ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 288-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ „კავშირის კომპეტენციების განსახორციელებლად მისი ინსტიტუციები იღებენ რეგულაციებს, დირექტივებს, გადაწყვეტილებებს, რეკომენდაციებს და მოსაზრებებს“. ამავე მუხლის მე-3 წინადადების მიხედვით, „დირექტივა, დასახული მიზნის თვალსაზრისით, სავალდებულოა ყველა წევრი სახელმწიფოსთვის, რომელსაც იგი ეხება, თუმცა, ეროვნულ კომპეტენტურ ორგანოებს შეუძლიათ აირჩიონ მიზნის მიღწევის ფორმა და მეთოდები“



2017/1132/EU დირექტივის ერთ-ერთ მიზანს განსაზღვრავს მისი პირველი მუხლი (საგანი)

„დირექტივა ადგენს ღონისძიებებს შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

დამცავი გარანტიების კოორდინაცია პარტნიორთა და მესამე პირთა ინტერესების დასაცავადაა მოთხოვნილი წევრ სახელმწიფოთა მიერ საწარმოთათვის, ხელშეკრულების 54-ე მუხლის მეორე ნაწილის გაგებით, და ეხება შემზღვეული პასუხისმგებლობის საწარმოთა ინფორმაციის გამჟღავნებას, აღებულ ვალდებულებათა ნამდვილობასა და საწარმოთა ბათილობას მათი ეკვივალენტობის უზრუნველსაყოფად.“

წინამდებარე სტატიაში განხილულ საკითხს დირექტივის მე-9 მუხლი აწესრიგებს, რომელიც კომპანიის ორგანოთა მოქმედებებს და მის წარმომადგენლობას ეხება:

„1. საწარმოს ორგანოების მიერ განხორციელებული ქმედება მბოჭავია საწარმოსთვის, მიუხედავად იმისა, შედიოდა თუ არა ამგვარი ქმედება საწარმოს საქმიანობის საგანში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს ქმედება აღემატება ორგანოს უფლებამოსილებას, რომელიც მას მინიჭებული აქვს, ან დასაშვებია, რომ მიენიჭოს კანონმდებლობით.

თუმცა წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება გაითვალისწინონ, რომ ეს ქმედებები არ იქნება კომპანიისათვის მბოჭავი, თუ ამგვარი ქმედება არ ჯდებოდა კომპანიის საქმიანობის სფეროში და თუ კომპანია დაამტკიცებს, რომ მესამე პირს ჰქონდა ინფორმაცია, რომ ამგვარი ქმედება არ ჯდებოდა კომპანიის საქმიანობის სფეროში ან შექმნილი გარემოებებიდან გამომდინარე შეუძლებელი იყო არ სცოდნოდა ამის შესახებ; წესდების გასაჯაროება არ არის საკმარისი მტკიცებულება.

2. კომპანიის ორგანოების უფლებამოსილების შეზღუდვა, რომელიც გამომდინარებს წესდებიდან ან კომპეტენტური ორგანოების გადაწყვეტილებიდან, არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მესამე პირების წინააღმდეგ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი გასაჯაროებულია.

3. თუ ეროვნული კანონმდებლობა ადგენს, რომ, საკითხის მომწესრიგებელი სამართლებრივი წესებისაგან განსხვავებით, წესდებით შესაძლებელია, ერთ ან რამდენიმე პირს ჰქონდეს კომპანიის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, ამ კანონმდებლობით შეიძლება გათვალისწინებული იყოს, რომ წესდების ასეთი დებულება შეიძლება მესამე პირების წინააღმდეგ იყოს გამოყენებული იმ პირობით, რომ ის მიემართება წარმომადგენლობის ზოგად უფლებამოსილებას; საკითხი იმის თაობაზე, წესდების ასეთი დებულება შეიძლება თუ არა მესამე პირების წინააღმდეგ იყოს გამოყენებული, მე-16 მუხლით უნდა გადაწყდეს.“

იმავე სტანდარტს ეყრდნობა ე.წ. მე-5 დირექტივის პროექტი საჯარო შემზღვეული პასუხისმგებლობის საწარმოს სტრუქტურისა და მისი ორგანოების უფლება-მოვალეობების შესახებ (1972-1988) (the proposal for a Fifth Directive founded on Article 54 of the EEC Treaty concerning the structure of public limited companies and the powers and obligations of their organs). კერძოდ, პროექტის მე-10 მუხლით, რომელიც ეხება სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობის გაცემას გარიგებაზე, რომლის მიმართაც დირექტორს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრს ინტერესთა კონფლიქტი აქვს:

„4. სამეთვალყურეო ორგანოს თანხმობის აუცილებლობა ან თანხმობის გაცემის გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული დარღვევები არ უნდა იქნეს გამოყენებული მესამე მხარის წინააღმდეგ, გარდა იმ შემთხვევისა როცა საწარმო დაამტკიცებს, რომ მესამე მხარემ იცოდა თანხმობის აუცილებლობის ან შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისას დარღვევების შესახებ, ან, შექმნილი გარემოებებიდან გამომდინარე, შეუძლებელი იყო, არ სცოდნოდა ამის შესახებ.“<sup>2</sup>

2 იხ. როგორც პირველი დირექტივის (68/151), ასევე მე-5 დირექტივის პროექტის მოხმობილი მუხლების ინტერპრეტაცია ევროპული სასამართლოს მიერ საქმეზე C-104/96, Coöperatieve Rabobank „Vecht en Plassengebied“ BA v Erik Aarnoud Minderhoud.



## V. ახალი ქართული პრაქტიკის შედარება ევროპულ სამართალთან

ვფიქრობთ, სწორედ 2017/1132 მე-9 მუხლის პირველი ნაწილის მეორე აბზაცით შემოთავაზებულ სტანდარტის მეორე ელემენტს – „შექმნილი გარემოებებიდან გამომდინარე, შეუძლებელი იყო, არ სცოდნოდა“ – ეხმიანება სუს-ს №ას-1219-1139-2017 გადაწყვეტილებით შემოთავაზებული ტესტი იმაზე, თუ რა შემთხვევაში ახდენს შიდაკორპორაციული აკრძალვა (შეზღუდვა) საწარმოს წარმომადგენლის (დირექტორის) მოქმედებასთან დაკავშირებით, გავლენას მესამე პირებთან დადებულ გარიგების ნამდვილობაზე.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ მოხმობილი მუხლიდან, ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკიდან გამომდინარე, საწარმოს დირექტორის უფლებამოსილების შეზღუდვა გავლენას ვერ მოახდენს დირექტორის მიერ დადებული გარიგებების ნამდვილობაზე.<sup>3</sup> შესაბამისად, დირექტორის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, სამართლებრივი ბუნებისა და მოცულობის თვალსაზრისით, კანონისმიერი და შეუზღუდავია, მაშინაც კი, როცა შიდა ურთიერთობებში (ე.ი. წარმოდგენილსა და წარმომადგენელს შორის) წარმომადგენელს არ აქვს დამოუკიდებლად გარკვეული მოქმედებების განხორციელების უფლება (ან აქვს მხოლოდ გარკვეული მოქმედებების განხორციელების უფლება). ე.ი., შეიძლება ვთქვათ, რომ ქართული (როგორც ევროპული) სამართალით, მესამე პირების მიმართ დირექტორის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება შეუზღუდავია.

ამავე დროს, წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, სხვა უფლებათა მსგავსად (იხ. სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტი და 115-ე მუხლი), ბოროტად შეიძლება იქნეს გამოყენებული. შესაბამისად, 9.4. მუხლი გამოიყენება არა მარტო იმ შემთხვევებში, როცა ხელმძღვანელის უფლებამოსილება, წარმოადგინოს საზოგადოება, არის შიდა ურთიერთობაში შეზღუდული, – ამას ვერ გავუთანაბრებთ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეზღუდვას, – არამედ, თუკი ხელმძღვანელი შეუზღუდავ წარმომადგენლობით უფლებამოსილებას ბოროტად იყენებს, არღვევს კანონს.

დირექტორის უფლებამოსილება, წარმოადგინოს საზოგადოება, შესაძლებელია, შიდა ურთიერთობაში შეიზღუდოს წესდებით ან სხვა კორპორაციული დოკუმენტებით (პარტნიორთა კრების ან სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილება). თუმცა ზოგადი შეზღუდვები დადგენილია მშკ-ითაც. მშკ-ის მიხედვით, ასეთი კანონისმიერი და უზოგადესი შეზღუდვა კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტით არის მოცემული, რომელიც კეთილსინდისიერი დირექტორის ქმედების ზოგად ჩარჩოს აწესებს:

„[დირექტორები] ... საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღვნენ კეთილსინდისიერად; კერძოდ, ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი, და მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის.“

შესაბამისად, ფიდეციური მოვალეობების დარღვევა წარმომადგენლობის განხორციელებისას, მაგ., საწარმოს სახელით ხელშეკრულების დადებისას, თავისთავად მიუთითებს – თუნდაც შიდა ურთიერთობაში შეუზღუდავი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაზე. ბოროტად გამოყენების ყველზე თვალში საცემი მაგალითი თავად მშკ-ის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შემადგენლობის მეორე ალტერნატივაა, კერძოდ: „თუ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი და კონტრაგენტი განზრახ მოქმედებენ ერთად, რათა ზიანი მიადგეს იმ მესამე სუბიექტს, რომელიც წარმოდგენილია წარმომადგენლით“.

ბუნებრივია, მესამე პირისთვის (კონტრაგენტისთვის) ზედმეტი ტვირთი იქნება, თავად იკვლიოს შიდა ურთიერთობიდან გამომდინარე კომპეტენციური შეზღუდვები, მათ შორის ისიც, ეწინააღმდეგება თუ არა დირექტორის მოქმედება მე-9 მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილ ქცევის ზოგად სტანდარტს.

3 იხ. მაგ., სუს-ს გადაწყვეტილება საქმეზე № ას -252-240-2016, 10 ივნისი, 2016 წელი.

თუმცა, თუკი მესამე პირისთვის ცნობილია შიდა ურთიერთობაში უფლებამოსილების შეზღუდვის არსებობა – მათ შორის, კანონით დადგენილი – და ამასთან, ცნობილია ან ცხადია (ე.ი. გარემოებებიდან გამომდინარე, შეუძლებელია, ცნობილი არ ყოფილიყო), დირექტორის მხრიდან საწარმოს მართვის მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, უნდა მივიჩნიოთ, რომ, მშკ-ის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის გაგებით, კონტრაგენტისთვის „ცნობილი იყო უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ“.

შესაბამისად, უახლესი ქართული სასამართლო პრაქტიკით დადგენილი ტესტი 2 აუცილებელ ელემენტად შეიძლება წარმოვიდგინოთ:

- დირექტორი ბოროტად იყენებს თავის უფლებამოსილებას, უხელმძღვანელოს და წარმოადგინოს საწარმო. ბოროტად გამოყენების ცნებაში მოიაზრება ასევე შემთხვევები, როცა იგი წარმოდგენილი პირის სათანადო ორგანოს თანხმობის გარეშე საწარმოს ინტერესების საზიანოდ (მშკ-ის 9.6 მუხლით დაკისრებული ვალდებულებების უკუღებულყოფით) დებს ხელშეკრულებას. ამგვარ ხელშეკრულებას სასამართლო „უჩვეულო“ გარიგებას უწოდებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უჩვეულობას ამ შემთხვევაში მისი კონკრეტული შინაარსით 9.6. მუხლის ამკარა უკუღებულყოფა განაპირობებს და არა თავად მისი აბსტრაქციული სახეობა (ანაბრის დაგირავება მესამე პირის სესხის უზრუნველსაყოფად).
- ბოროტად გამოყენება ცნობილია, ან, გარემოებებიდან გამომდინარე, ცხადია კონტრაგენტისთვის.

მსგავს შემთხვევებში, ვფიქრობთ, სახეზეა არა მხოლოდ წარმომადგენლის მიერ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება (იმიტომ, რომ შიდა ურთიერთობისთვის კანონით დადგენილი აკრძალვა დაირღვა შეუზღუდავი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გამოყენებით), არამედ უფლების ბოროტად გამოყენება ხდება კონტრაგენტის მხრიდანაც. კერძოდ, მის მიერ ხდება ბოროტად გამოყენება უფლებისა, დაეყრდნოს დირექტორის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეუზღუდაობას.<sup>4</sup>

შესაბამისად, შეზღუდვის სუბიექტური ცოდნა (შეზღუდვის შესახებ ინფორმაციის დადასტურებული სუბიექტური ცოდნა) არ ამონურავს შემთხვევებს, რომლებშიც კონტრაგენტი არ იმსახურებს სამართლებრივ დაცვას. სამართლებრივი დაცვის გარეშე უნდა დარჩეს მესამე პირიც, რომლისთვისაც ამკარაა (იმიტომ, რომ ამკარა იქნებოდა მის ადგილას ნებისმიერი კონტრაგენტისთვის) დირექტორის მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება.

თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 9.4. მუხლის განმარტების საკითხში დაბნეულობა შეაქვს უზენაესი სასამართლოს ამავე გადაწყვეტილებაში მოცემულ განმარტებას (მითითებას ქვედა ინსტანციის სასამართლოსთვის. კერძოდ, მას შემდეგ, რაც მან დაასკვნა, რომ მეორე მხარისთვის ცხადი უნდა ყოფილიყო დირექტორის ქმედების დამაზიანებელი ხასიათი, სასამართლო განმარტავს:

„ამასთან, საკასაციო პალატა თვლის, რომ დამატებით კვლევას საჭიროებს ამ ფაქტისადმი [ე.ი. დირექტორის მიერ უჩვეულო და საზიანო ხელშეკრულების დადების] ხელშეკრულებების მონაწილის (მოპასუხის) სუბიექტური დამოკიდებულების საკითხი. იმ პირობებში, როდესაც ცალსახა იყო დადებული გარიგებების უჩვეულობა და მისი დამაზიანებელი ხასიათი, ჰქონდა ან უნდა ჰქონოდა თუ არა გაცნობიერებული ბანკს ყოფილი დირექტორის არამართლზომიერი ქცევის ხასიათი?“

ვფიქრობთ, სამართლებრივი ტესტი, რომელიც, „გარემოებებიდან გამომდინარე, არცოდნის შეუძლებლობაშია“, ეხება გარემოებებს, რომლებიც ახასიათებს მშკ-ის 9.4. მუხლის მიხედვით საცილო გარიგებას და მისი დადებისას საწარმოს წარმომადგენლის (დირექტორის) მოქმედებას. ამგვარი დასკვნა,

4 გერმანული სამართლისთვის მხოლოდ კონტრაგენტის მიერ უფლების ბოროტად გამოყენებაზე მიუთითებს Baumbach/Hueck/Zöllner/Noack, Kommentar, GmbHG, 21-ე გამოც., 2017, § 37, Rn. 44.

ვფიქრობთ, დამაჯერებლად გამომდინარეობს იქიდან, თუ რა განსაზღვრავს იმ შიდაკორპორაციულ შებლუდვას, რომელიც დაირღვა შეუზღუდავი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების (ბოროტად) გამოყენებით. ამ შემთხვევაში შიდაკორპორაციული შებლუდვა მშკ-ის 9.6. მუხლის მთავარი დანაწესიდან გამომდინარეობს.

ამ შემთხვევაში გარიგების „უჩვეულობისა“ და დირექტორის მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი უნდა იყოს კონტრაგენტსა (ბანკის) და წარმოდგენილ სუბიექტს შორის დადებული ხელშეკრულებები. ე.ი., თვალში საცემი უჩვეულობა და საზიანო ხასიათი, რომელიც დირექტორის მიერ უფლების ბოროტად გამოყენებაზე მეტყველებს, უნდა ახასიათებდეს სწორედ ბანკსა და წარმომადგენლის მიერ წარმოდგენილ კომპანიას შორის გაფორმებულ გარიგებას. მიუხედავად იმისა, რომ წესდება შეუზღუდავ უფლებამოსილებას ანიჭებს დირექტორს, „უჩვეულობისა“ და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ყველაზე ცხადი ნიშნებია გარემოებები, რომლებიც წარმოდგენილი საწარმოსთვის ხელშეკრულების საზიანოობასა და მისი სამენარმეო გამართლების არარსებობაზე (business rationale) მიუთითებენ.

ვფიქრობთ, ამ მხრივ სასამართლოს პოზიცია არადამაჯერებელია, როცა იგი ადგენს:

„დამატებით კვლევას საჭიროებს, ... რამდენად კეთილსინდისიერად და მართლზომიერად მოქმედებდა ის მესამე პირზე კრედიტის გაცემისას? რამდენად იყო მის მიერ საკრედიტო რისკები გათვალისწინებული, იყო თუ არა კრედიტუნარიანი კრედიტის ამღები და არსებობდა თუ არა კრედიტის გაცემის წინაპირობები (კრედიტი – დაბრუნების, ფასიანობის, უზრუნველყოფისა და ვადიანობის სანყისებზე ფულადი თანხების გაცემასთან დაკავშირებული ნებისმიერი ვალდებულებაა ...).“

თავისთავად, მესამე პირის კრედიტუნარიანობა და კონტრაგენტის მიერ ხელშეკრულების მომზადებისას შესაბამისი პროცედურების დაცვა არ არის საკმარისი საფუძველი იმისა, რომ გარიგების „უჩვეულობის“, ე.ი. სამოქალაქო კოდექსის 115-ე, მშკ-ის 9.6. და 9.4 მუხლებიდან გამომდინარე წარმომადგენლის მიერ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების სიცხადეში ეჭვი შევიტანოთ. „ცხადი იყო“ /„შეუძლებელია არ სცოდნოდა“ სტანდარტის შინაარსს განსაზღვრავს 9.6 მუხლის პირველი წინადადება (დირექტორის მიერ ფიდეიკური მოვალეობის დარღვევა) და არა კონტრაგენტის მოქმედება მესამე პირთან ხელშეკრულების მომზადებისა და გაფორმების ფარგლებში.

სამენარმეო შინაარსს მოკლებული საწარმოსთვის საზიანო გარიგების დადებისას კონტრაგენტს არ უნდა ჰქონდეს „თავის სილაში ჩარგვის“ საშუალება სუბიექტური არცოდნის მოშველიებით. სწორედ ამას ადგენს უახლესი სასამართლო პრაქტიკა (იხ. ზემოთ), რომელიც ჰარმონიზებულია ევროპული საკორპორაციო სამართლის პრინციპებთან. თუმცა სასამართლოსეული „დაზუსტება“ გვაფიქრებინებს, რომ ქართულ სასამართლო პრაქტიკას საკითხის გაანალიზება არ დაუსრულებია.

ბოლოს, უნდა გავითვალისწინოთ 9.4. მუხლის მიზანიც, რომელიც, ერთი მხრივ, შიდაკორპორაციული კომპეტენციების განაწილების კვლევისგან კონტრაგენტის დაცვაა, მეორე მხრივ კი, – არაკეთილსინდისიერების პრევენცია.

თუკი ობიექტური გარემოებები აშკარად მიუთითებენ წარმოდგენილი საწარმოს ინტერესებთან შეუთავსებელ „უჩვეულო“ გარიგებაზე, რომელიც ცხადია კონტრაგენტისთვის, ვინაიდან გარიგება არა მართლ არ განეკუთვნება რომელიმე კონკრეტული საწარმოს ჩვეულებრივ საქმიანობას, არამედ აბსტრაქტული კომერციული კონტრაქტის კონტურებსაც<sup>5</sup> არღვევს, 9.4. მუხლის მიზანთან შეუთავსებელი იქნება კონტრაგენტის დაცვა ამ გარემოებათა „არცოდნის“ მოშველიებით.

5 მშკ-ის მე-9<sup>1</sup> მუხლის მე-7 პუნქტი: „ყველა გადაწყვეტილება, რომელთა მნიშვნელობა სცილდება საზოგადოების ჩვეულებრივ საქმიანობას, მოითხოვს ყველა პარტნიორის მონაწილეობით ჩატარებული კრების გადაწყვეტილებას“. კომპეტენციის თვალსაზრისით დადგენილი ეს სტანდარტი (პარტნიორთა კრების კომპეტენცია), მით უმეტეს, უნდა იქნეს გათვალისწინებული ისეთ შემთხვევებში, როცა გარიგება სამენარმეო საქმიანობის ზოგად საზღვრებს ცხადად არღვევს.

სუს-ს №ას-1219-1139-2017 გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი ტესტი მანამდე არსებული სასამართლო პრაქტიკის განვითარებაა და ახალია ქართული სამართლისთვის. თუმცა წარმომადგენლობისთვის, კონტრაგენტისთვის ცხადი ბოროტად გამოყენების დოქტრინა ასევე აღიარებულია ისეთ „მონათესავე“ იურისდიქციაში, როგორც გერმანიაა.

ქვემოთ მოცემულია ამონარიდები გერმანული ფედერალური სასამართლოს (BGH) გადაწყვეტილებებიდან, რომლებშიც ჩამოყალიბებულია გერმანული დოქტრინის არსი, მითითებებით ვრცელ სასამართლო პრაქტიკაზე:

▪ **BGH, 10.04.2006 – II ZR 337/05<sup>6</sup>**

„2. ... სენატის 1983 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ დირექტორს უფლება არ აქვს, წარმომადგენლობის უფლება პარტნიორთა სავარაუდო ნების საწინააღმდეგოდ გამოიყენოს, რამაც მოხმობილი გადაწყვეტილების შემთხვევაშიც გარე ურთიერთობაზე გავლენის მქონე, წარმომადგენლობითი ძალაუფლების ბოროტად გამოყენება გამოიწვია (II ZR 56/82, WM 1984, 305, 306). იყო თუ არა ესა თუ ის გარიგება საწარმოსთვის საზიანო, ორივე შემთხვევაში არ ასრულებს გადამწყვეტ როლს. ...

3. საკასაციო საჩივარში გამოხატული მოსაზრების საწინააღმდეგოდ სენატს 1995 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილებაში (II ZR 113/94, ZIP 1996, 68, 69 f.) თავისი მოსაზრება არ გამოუხატავს. იქაც მითითებულია, რომ წარმომადგენლობითი ძალაუფლების პრინციპები მხოლოდ მაშინ ახდენს გავლენას შედეგზე, როცა ხელშეკრულების მეორე მხარემ იცის, ან მისთვის თვალში საცემი უნდა ყოფილიყო (wenn es sich ihm aufdrängen musste), რომ დირექტორი სცდება ფარგლებს, რომლებიც მის წარმომადგენლობით უფლებამოსილებას შიდა ურთიერთობაში დაუდგინდა. ამგვარი წინაპირობები „განსაკუთრებით“ მაშინ ხდება რელევანტური, როცა გარიგება წარმომადგენილი შპს-ისთვის საზიანოა, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში მეორე მხარისთვის წარმომადგენლობითი ორგანოს უფლების ბოროტად გამოყენებით მოქმედება თვალში საცემი უნდა ყოფილიყო. თუმცა ამით – როგორც საკასაციო საჩივარშია მითითებული – არ იგულისხმება, რომ გაცნობიერებული საზიანო ქმედება აუცილებელი შემადგენლობითი წინაპირობაა წარმომადგენლობითი ძალაუფლების ბოროტად გამოყენების დასადგენად. სხვა დასკვნის გაკეთების საშუალებას არც სასამართლოს გადაწყვეტილება BGHZ 50, 112, 114 იძლევა.“

▪ **BGH, გადაწყვეტილება, 25 თებერვალი, 1991 – II ZR 76/90**

„დირექტორს არ აქვს უფლება, გრძელვადიანი სამეწარმეო პოლიტიკა შეცვალოს (თითქმის ექსკლუზიური თანამშრომლობა კონკრეტულ საწარმოსთან) პარტნიორთა კრების თანხმობის მოპოვების გარეშე ...

„ღონისძიებები და გადაწყვეტილებები, რომლებიც სამეწარმეო საქმიანობის აქამდე არსებულ ჩარჩოებს არღვევს [ტექსტში „აფეთქებს“ “sprengen“], ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარეც კი, არ ექვემდებარება დირექტორის კომპეტენციას, არამედ პარტნიორების მიერ უნდა იქნეს გადაწყვეტილი.“

▪ **BGH, გადაწყვეტილება, 30 მარტი, 2001 - V ZR 27/00<sup>7</sup>**

„შპს-ის დირექტორის წარმომადგენლობითი ძალაუფლება გარე ურთიერთობაში შეუზღუდავია (§ 37 Abs. 2 Satz 1 GmbHG). თუმცა, თუკი გარიგების მეორე მხარისთვის ცნობილია ან თვალში საცემი უნდა ყოფილიყო (muss es sich ihm aufdrängen), რომ დირექტორი ბოროტად იყენებს საზღვრებს,

6 [https://www.jurion.de/urteile/bgh/2006-06-19/ii-zr-337\\_05/?from=1%3A2208480%2C0](https://www.jurion.de/urteile/bgh/2006-06-19/ii-zr-337_05/?from=1%3A2208480%2C0)

7 <http://juris.bundesgerichtshof.de/cgi-bin/rechtsprechung/documentpy?>

Gericht=bgh&Art=en&sid=b91e88b53400f8d0ce2f6acb69e663ed&nr=21035&pos=0&anz=1



რომლებიც მის წარმომადგენლობით კომპეტენციას შიდა ურთიერთობაში ზღუდავს (§ 37 Abs. 1 GmbHG), იგი ვერ დაეყრდნობა დირექტორთან დადებული ხელშეკრულების ნამდვილობას.“

▪ **BGH, Urteil vom 15. Juni 2004 - XI ZR 220/03<sup>8</sup>**

„ფედერალური სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკის მიხედვით, წარმომადგენლობითი ძალაუფლების ბოროტად გამოყენების რისკს, როგორც წესი, წარმოდგენილი სუბიექტი ატარებს; ხელშეკრულების მეორე მხარეს არ ეკისრება შემონმების ვალდებულება, არის თუ არა და რამდენად არის წარმომადგენელი შეზღუდული შიდა ურთიერთობაში, შეუზღუდავი წარმომადგენლობითი ძალაუფლების გამოყენების კუთხით. წარმოდგენილი წარმომადგენლობითი ძალაუფლების ამკარა ბოროტად გამოყენებისგან ხელშეკრულების მეორე მხარესთან ურთიერთობაში მხოლოდ მაშინ არის დაცული, თუკი წარმომადგენელი თავის წარმომადგენლობით ძალაუფლებას თვალში საცემად საეჭვოდ იყენებს, ისე, რომ ხელშეკრულების მეორე მხარეს დასაბუთებული ეჭვი უნდა არსებობდეს წარმომადგენლის მიერ წარმოდგენილის მიმართ კეთილსინდისიერების ვალდებულების დარღვევის თაობაზე. ამისთვის აუცილებელია მნიშვნელოვანი ეჭვისაღმძვრელი ობიექტური სიცხადე (ევიდენტურობა, Evidenz) (სენატი, BGHZ 127, 239, 241 და გადაწყვეტილებები, 28. აპრილი, 1992 – XI ZR 164/91, WM 1992, 1362, 1363, 19. აპრილი, 1994 – XI ZR 18/93, WM 1994, 1204, 1206 და 29. ივნისი, 1999 – XI ZR 277/98, WM 1999, 1617, 1618).“

## VI. დასკვნა

თუკი საწარმოსა და მის კონტრაგენტს შორის დადებული გარიგება დადებულია შეუზღუდავი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე დირექტორის მიერ, და დირექტორი (შეუზღუდავ) წარმომადგენლობით უფლებამოსილებას ბოროტად იყენებს, მათ შორის, საწარმოსთვის უჩვეულო და საზიანო გარიგების დადების გზით; ამასთან, წარმომადგენლის მიერ უფლების ბოროტად გამოყენება, მათ შორის, წარმოდგენილ საწარმოსთან გაფორმებული გარიგების უჩვეულო და საზიანო ხასიათი შეუძლებელია, ცხადი არ ყოფილიყო კონტრაგენტისთვის; მენარმეთა შესახებ კანონის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტიდან გამომდინარე, შეიძლება დადგინდეს ასეთი გარიგების ბათილობა.

8 [http://lorenz.userweb.mwn.de/urteile/xizr220\\_03.htm](http://lorenz.userweb.mwn.de/urteile/xizr220_03.htm)



# „არბიტრაჟი“ თუ „არბიტრაჟი“?

საარბიტრაჟო დაწესებულებისა და საარბიტრაჟო ტრიბუნალის გამიჯნვის მნიშვნელობა (და გაუმიჯნაობის რისკები) პრაქტიკაში

ამ სტატიის დაწერა განაპირობა სტუდენტებსა და პრაქტიკოსებთან არბიტრაჟის საკითხებზე საუბრისას დაგროვილმა გამოცდილებამ, ისევე როგორც რამდენიმე სასამართლო გადაწყვეტილებამ, რომლებშიც გამოიკვეთა, რომ არ არის ყოველთვის ნათელი – რა იგულისხმება არბიტრაჟში. გაუგებრობას ამ საკითხზე აქვს არა მხოლოდ თეორიული დატვირთვა – როგორც ვნახავთ, მას მნიშვნელოვანი პრაქტიკული შედეგი შეიძლება მოჰყვეს, რაც არ არის სახარბიელო არბიტრაჟის, როგორც დავის გადაწყვეტის მექანიზმის, განვითარებისთვის. ამდენად, საჭიროა მეტი სიცხადე ამ საკითხზე.

დავინწყით თავიდან: რა არის არბიტრაჟი?

არბიტრაჟის განმარტებითი ლექსიკონის თანახმად, არბიტრაჟი არის „დავის გადაწყვეტის მექანიზმი, რომლითაც მხარეები უარს ამბობენ ეროვნული სასამართლოს იურისდიქციაზე და სანაცვლოდ თანხმდებიან, საბოლოო გადაწყვეტის მიზნით დავა გადასცენ საარბიტრაჟო ტრიბუნალს.“<sup>1</sup> ამდენად, ერთი მხრივ, ჩვენ ვიყენებთ სიტყვა „არბიტრაჟს“, როდესაც საუბარი გვაქვს დავის გადაწყვეტის მექანიზმზე.

განსხვავებულია სიტყვა „არბიტრაჟის“ მნიშვნელობა არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონში (შემდგომში – „კანონი“). კანონი ტერმინზე – „არბიტრაჟი“ – უთითებს 35-ჯერ. მაგალითად, კანონის მე-6 მუხლის თანახმად: „1. არბიტრაჟი თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია [...]“; კანონის მე-16 მუხლში საუბარია „არბიტრაჟის“ უფლებამოსილებაზე, „მიიღოს დადგენილება საკუთარი კომპეტენციის შესახებ“; კანონის 25-ე და 29-ე მუხლები კი ადგენენ, რა შემთხვევაშია „არბიტრაჟი“ უფლებამოსილი, განსაზღვროს საარბიტრაჟო განხილვის ადგილი (25-ე მუხლი) და საარბიტრაჟო წარმოების ენა (29-ე მუხლი), და ა.შ. ამ მითითებებიდან განსახილველი საკითხის მიზნებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მე-10 მუხლია, რომელიც განმარტავს, რომ „1. არბიტრაჟი შედგება ერთი ან რამდენიმე არბიტრისაგან.“ მაშასადამე, ყველა სხვა შემთხვევაში, როდესაც კანონი საუბრობს „არბიტრაჟის“ უფლებამოსილებაზე, დაადგინოს საკუთარი კომპეტენცია (მე-16 მუხლი), გამოსცეს, შეაჩეროს, შეცვალოს ან გააუქმოს უზრუნველყოფის ღონისძიებები (მე-17, მე-18, მე-19 მუხლები), განსაზღვროს საარბიტრაჟო განხილვის ფორმა (32-ე მუხლი), გამოიტანოს გადაწყვეტილება (36-ე და 37-ე მუხლები), და ა.შ., კანონი გულისხმობს კონკრეტული დავისთვის არჩეულ და/ან დანიშნულ ერთ ან სამ<sup>2</sup> არბიტრს – ე.წ. საარბიტრაჟო ტრიბუნალს.

1 არბიტრაჟის განმარტებითი ლექსიკონი, 17. ხელმისაწვდომია: [http://giac.ge/wp-content/uploads/2017/01/glossary-final\\_23012017.pdf](http://giac.ge/wp-content/uploads/2017/01/glossary-final_23012017.pdf), ნანახია: 13 დეკემბერი, 2018.

2 უმრავლეს შემთხვევაში არბიტრაჟი (დავის განხილველი საარბიტრაჟო ტრიბუნალი) სწორედ ერთი ან სამი წევრისგან შედგება.

საერთაშორისო ლიტერატურაში დავის განმხილველი არბიტრის/არბიტრების აღნიშვნის მიზნით (ანუ კანონის მე-10 მუხლით განსაზღვრული შინაარსის მიზნებისთვის) დამკვიდრებულია ტერმინი „ტრიბუნალი“. სწორედ „საარბიტრაჟო ტრიბუნალს“ იყენებს გაერთიანებული ერების საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიის (შემდგომში – UNCITRAL) მოდელური კანონიც (შემდგომში – „მოდელური კანონი“), როდესაც მე-2 მუხლში განმარტავს, რომ „საარბიტრაჟო ტრიბუნალი გულისხმობს ერთ არბიტრს ან არბიტრთა პანელს.“<sup>3</sup> წინამდებარე სტატიის მიზნებისთვისაც სიტყვა „ტრიბუნალი“ გამოყენებულ იქნება კანონის მე-10 მუხლით განსაზღვრული „არბიტრაჟის“ ანალოგად, როგორც ერთი ან რამდენიმე არბიტრისგან შემდგარი არბიტრაჟი/ტრიბუნალი, რომელიც განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს მხარეთა შორის არსებულ დავაზე.

გაუგებრობა სიტყვა „არბიტრაჟთან“ დაკავშირებით იწყება (და ეს გაუგებრობა იწვევს უარყოფით ზეგავლენას პრაქტიკაზე), როდესაც ამ ტერმინს ვიყენებთ საარბიტრაჟო დაწესებულებებთან მიმართებით. დღეის მდგომარეობით, სამენარმეო რეესტრში კომპანიების საძიებო სისტემაში სიტყვა „არბიტრაჟის“ შეყვანისას იძებნება 123 ორგანიზაცია, რომლის სახელი მოიცავს ამ სიტყვას. მაგალითად, არსებობს: შპს „საერთაშორისო არბიტრაჟი“, შპს „კავკასიის საერთაშორისო არბიტრაჟი“, შპს „ტურიზმის არბიტრაჟი“ და ა.შ. თავისთავად, ეს სახელწოდებები არ ქმნის პრობლემას, რომ არა ჩვენ, პრაქტიკოსების, მიერ ამ ტერმინის დანერგვა არასწორ კონტექსტში, როდესაც ვამბობთ, მაგალითად, რომ დავას განიხილავს შპს „ფინანსური დავების არბიტრაჟი“. ცნებათა და სიტყვათა ამ წყობით – რომ დავას განიხილავს ესა თუ ის არბიტრაჟი (ე.ი. საარბიტრაჟო დაწესებულება) – ვქმნით მოლოდინს, თითქოს დავას რეალურად განიხილავს და გადაწყვეტილება გამოაქვს რომელიმე საარბიტრაჟო დაწესებულებას. საარბიტრაჟო დაწესებულება, თავისი მოცემულობით, არის ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელიც ადმინისტრირებას უწევს პროცესს და რომელსაც, უმეტეს შემთხვევაში, აქვს საარბიტრაჟო წარმოების წესები. ამ წესების არსებობით და შესაბამისი ადმინისტრაციული რესურსით (მენეჯერების, იურისტების, და შესაძლო შიდა ორგანოების მეშვეობით) საარბიტრაჟო დაწესებულება მომსახურებას უწევს მოდავე მხარეებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს საარბიტრაჟო პროცესის ეფექტიანობა. მაგალითად, საარბიტრაჟო დაწესებულებას, უმრავლეს შემთხვევაში, ჰყავს სამდივნო, რომელიც უზრუნველყოფს მხარეთა და არბიტრების შორის კორესპონდენციის ეფექტიან გაცვლას; მას ასევე შეიძლება ჰყავდეს სხდომის მდივანი, რომელიც დაეხმარება საქმის განმხილველ ტრიბუნალს სხდომათა ოქმების წარმოებაში; დაწესებულების მეშვეობით შეიძლება მოხდეს ისეთი ლოჯისტიკური საკითხების მოგვარება, როგორებიცაა: განხილვის ადგილი, თარჯიმანი, ჩამწერი მონყობილობა; დაწესებულების სამდივნომ შეიძლება განსაზღვროს საარბიტრაჟო ხარჯების დასაფარავად გადასახდელი ხარჯების ავანსის ოდენობა და ა.შ. რომ შევაჯამოთ, საარბიტრაჟო დაწესებულებამ შეიძლება უზრუნველყოს საარბიტრაჟო პროცესის ადმინისტრაციული და ლოჯისტიკური ეფექტიანობა სხვადასხვა გზით, თუმცა ერთი რამ, რასაც დაწესებულება არცერთ შემთხვევაში არ აკეთებს, არის ის, რომ იგი თავისთავად არ იხილავს დავას; ის არ იღებს გადაწყვეტილებას. მხარეთა შორის არსებულ დავას განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს საარბიტრაჟო ტრიბუნალი (არბიტრაჟი, როგორც ამას განსაზღვრავს კანონის მე-10 მუხლი). ტრიბუნალის შემადგენლობა, როგორც წესი, აირჩევა მხარეების მიერ, ან ტრიბუნალი, მხარეთა შეთანხმების შესაბამისად, ინიშნება შესაბამისი დაწესებულების რომელიმე ორგანოს (ან მხარეთა მიერ შეთანხმებული სხვა დაწესებულების) მიერ. მაშასადამე, გადაწყვეტილებას დავაზე იღებს ტრიბუნალი, ხოლო საარბიტრაჟო დაწესებულება მობილიზებულია, გაუწიოს მხარეებსა და ტრიბუნალს ორგანიზაციული მხარდაჭერა ამ პროცესში.

რატომ არის ამ სხვაობის ხაზგასმა მნიშვნელოვანი? არბიტრაჟის, როგორც დავების გადაწყვეტის მექანიზმის, ერთ-ერთ უპირატესობად მიიჩნევა ის, რომ მხარეებს უფლება აქვთ, თავად აირჩიონ/

3 UNCITRAL-ის მოდელური კანონი, მე-2 (ბ) მუხლი. აღსანიშნავია, რომ მოდელური კანონი ამავე მუხლის (ა) ქვეპუნქტში იძლევა სიტყვა „არბიტრაჟის“ განმარტებას და მასში მოიპოვებს საარბიტრაჟო პროცესს.

დანიშნონ მათი საქმის გადაწყვეტი მსაჯულები (არბიტრები). თუკი ამ უფლებამოსილებას „მივანერო“ ვინმე სხვას (მაგალითად, საარბიტრაჟო დაწესებულების რომელიმე ორგანოს თავმჯდომარეს ან მის ადმინისტრაციულ ხელმძღვანელს), ეს წინააღმდეგობაში მოვა მხარეთა ნებასთან, დავა გადასცენ მათ მიერ არჩეულ ტრიბუნალს; ამას გარდა, ეს წინააღმდეგობაში მოვა პროცესის არსა და კანონის ნორმებთან. კანონის თანახმად, მხოლოდ ტრიბუნალი, ე.ი. არბიტრი/არბიტრები, არის უფლებამოსილი, მიიღოს გადაწყვეტილება კანონით გათვალისწინებულ ბევრ საკითხებზე (მაგალითად, ტრიბუნალის კომპეტენციის შესახებ, და სხვ.). თუკი ჩვენ საარბიტრაჟო დაწესებულების რომელიმე ორგანოს ქმედებას ან გადაწყვეტილებას (და სავსებით შესაძლებელია, რომ პროცესის ეფექტიანი მართვის მიზნით საარბიტრაჟო დაწესებულების წესები ამ დაწესებულების რომელიმე ორგანოს ანიჭებდეს უფლებამოსილებას, განახორციელოს გარკვეული ორგანიზაციული ქმედებები და მიიღოს ამ ქმედებების შესაბამისი ადმინისტრაციული გადაწყვეტილებები) მივიჩნევთ საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილებად – ამით ვლახავთ მხარეთა ინტერესებს, რომელთაც პროცესუალურად შესაძლოა, არ ჰქონდეთ ბერკეტი, დაიცვან თავიანთი პოზიციები საარბიტრაჟო დაწესებულების შესაბამისი ორგანოს წინაშე; ხოლო ტრიბუნალს ვართმევთ შესაბამის კომპეტენციას. ამ ეფექტის პრაქტიკული მნიშვნელობის მეტი თვალსაჩინოებისთვის განვიხილოთ მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან.

თბილისის საქალაქო სასამართლომ განიხილა განცხადება, სადაც განმცხადებელი (საარბიტრაჟო მოპასუხე) სადავოდ ხდიდა საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის (GIAC-ის) კომპეტენციას.<sup>4</sup> როდესაც საარბიტრაჟო მოსარჩელემ წარადგინა საარბიტრაჟო განაცხადი, GIAC-ის სამდივნომ, თავისი საარბიტრაჟო წესების 6.7 მუხლის შესაბამისად, საარბიტრაჟო განაცხადი გაუგზავნა მოპასუხეს. მოპასუხემ საარბიტრაჟო განაცხადის პასუხში სადავოდ გახადა საარბიტრაჟო შეთანხმება, შესაბამისად, არბიტრაჟის კომპეტენცია. ამ ეტაპზე, ბუნებრივია, ჯერ არბიტრაჟი (საარბიტრაჟო ტრიბუნალი) არ იყო დანიშნული. GIAC-ის სამდივნომ, საარბიტრაჟო წესების მე-10 მუხლის შესაბამისად, საკითხი გადასცა საარბიტრაჟო საბჭოს. საარბიტრაჟო საბჭო არის GIAC-ის სტრუქტურული ერთეული, რომელსაც წესდებითა და საარბიტრაჟო წესებით მინიჭებული აქვს გარკვეულ საკითხებზე რეაგირების ფუნქცია. საბჭოსთვის საარბიტრაჟო წესების მე-10 მუხლით მინიჭებული ფუნქციის არსი ისაა, რომ საარბიტრაჟო წარმოება არ გაგრძელდეს და მხარეებმა არ იწვიონ არბიტრების დანიშვნისა და პროცესის ადმინისტრირების გაუმართლებელი ხარჯები იმ შემთხვევაში, თუ ნათელია, რომ ამ საარბიტრაჟო დაწესებულებას აშკარად არ აქვს იურისდიქცია (მაგალითად, უბრალოდ, არ არსებობს საარბიტრაჟო დათქმა, ან ცალსახაა, რომ ამ საარბიტრაჟო დათქმაში აშკარად სხვა დაწესებულება/წესები არის მითითებული).<sup>5</sup> სხვაგვარად რომ ვთქვათ, საარბიტრაჟო საბჭო, რომელიც არ წარმოადგენს ტრიბუნალს (ვინაიდან საბჭოს წევრები არიან არა მხარეთა მიერ არჩეული არბიტრები, არამედ გამგეობის მიერ არჩეული პირები), „ერთი შეხედვით“ აფასებს საარბიტრაჟო შეთანხმებას, და თუ იმთავითვე ნათელია, რომ არბიტრაჟს არ აქვს იურისდიქცია, მიიღებს გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ „არ გაგრძელდეს საარბიტრაჟო პროცესი“. ყველა სხვა შემთხვევაში, როდესაც არ არის ცალსახა (ე.ი. შეიძლება სადავოდ გახდეს) საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობა/ტრიბუნალის კომპეტენცია, საარბიტრაჟო საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საარბიტრაჟო წარმოების გაგრძელების შესახებ. წარმოების გაგრძელების შესახებ საბჭოს გადაწყვეტილების შემდგომ პროცესის ადმინისტრირება გრძელდება, ინიშნებიან/ირჩევიან არბიტრები და უკვე შემდგარი ტრიბუნალის პირობებში შესაბამის მხარეს შეუძლია, დააყენოს პრეტენზია ტრიბუნალის კომპეტენციის შესახებ. სწორედ ტრიბუნალის მიერ მიღებული გადაწყვეტილება

4 უნდა აღინიშნოს, რომ კანონში 2015 წლის 18 მარტს (კანონი №3218-ის ძალით) შესული ცვლილებების შედეგად მე-16 მუხლის მიზნებისთვის კომპეტენტური სასამართლოები არიან საქართველოს სააპელაციო სასამართლოები; ე.ი., არბიტრაჟის მიერ საკუთარი კომპეტენციის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება ამჟამად ხდება სააპელაციო სასამართლოებში.

5 GIAC-ის საარბიტრაჟო წარმოების წესების მე-10 მუხლის მიზანი ავტორს გაუზიარა GIAC-ის გენერალურმა მდივანმა ბექა ინჯიამ, რომელიც ჩართული იყო წესების შემუშავების პროცესში.

საკუთარი კომპეტენციის შესახებ ექცევა კანონის მე-16 მუხლის ფარგლებში და ექვემდებარება მხარის მიერ სასამართლოში გასაჩივრებას.<sup>6</sup>

ამ საქმეზე 2014 წლის 25 ნოემბერს მიღებულ განჩინებაში თბილისის საქალაქო სასამართლომ მიუთითა მხარის განცხადებაზე და აღნიშნა, რომ „არბიტრაჟმა არ დააკმაყოფილა [განმცხადებლის] შესაბამისი პრეტენზია და 2014 წლის 29 ოქტომბერს, ააიპ – საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო საბჭომ“ მიიღო გადაწყვეტილება/დადგენილება იმის თაობაზე, რომ [...] საარბიტრაჟო საქმის პროცესი უნდა გაგრძელდეს, რადგან ცენტრის აშკარა იურისდიქციის არქონა საარბიტრაჟო დავაზე არ ფიქსირდება.“ ამ ფორმულირებაში ჩანს, რომ „არბიტრაჟი“ გაიგივებულია „ააიპ – საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო საბჭოსთან“. მაშასადამე, სასამართლომ საბჭოს გადაწყვეტილება გააიგივა არბიტრაჟის გადაწყვეტილებასთან, იმსჯელა ტრიბუნალის კომპეტენციაზე და დაადგინა, რომ ტრიბუნალს არ ჰქონდა იურისდიქცია, ისე, რომ ჯერ ტრიბუნალს თავად არ მიეცა საშუალება, ემსჯელა საკუთარი იურისდიქციის შესახებ (ვინაიდან ტრიბუნალი შემდგარიც კი არ ყოფილა ამ ეტაპზე).

ეს მიდგომა პრობლემატურია ორ ჭრილში: პირველი, წინააღმდეგობაში მოდის კანონთან. კანონის 6.2 მუხლის თანახმად, „დაუშვებელია ამ კანონით გათვალისწინებულ სამართლებრივ ურთიერთობებში სასამართლოს რაიმე სახით ჩარევა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ამ კანონით პირდაპირ არის გათვალისწინებული.“ ერთადერთი შემთხვევა, როდესაც კანონი პირდაპირ ითვალისწინებს სასამართლოს ჩარევას არბიტრაჟის კომპეტენციის საკითხის გადაწყვეტაში, არის მე-16 მუხლი, ე.ი. შემთხვევა, როდესაც არბიტრაჟს/ტრიბუნალს უკვე ნამსჯელი აქვს საკუთარი იურისდიქციის შესახებ;<sup>7</sup> მეორე, მნიშვნელოვანია გავანალიზოთ, რომ საარბიტრაჟო საბჭო (GIAC-ის საარბიტრაჟო წესების მე-10 მუხლის ფარგლებში) მხოლოდ „ერთი შეხედვით“ აფასებს საარბიტრაჟო შეთანხმებას. მას არ აქვს უფლებამოსილება, არსებითად შეისწავლოს საკითხი, არ მიუწვდება ხელი საქმის სრულ მასალებზე და არ აქვს ბერკეტი, მოისმინოს ორივე მხარის მოსაზრება საარბიტრაჟო შეთანხმების (არბიტრაჟის კომპეტენციის) თაობაზე. ამდენად, მისი შეფასება ვერც იქნება სრულფასოვანი და მხოლოდ, „ერთი შეხედვით“, ზედაპირულ, შეფასებას ითვალისწინებს. ამ სტანდარტით შემოწმების შედეგად მიღებული ადმინისტრაციული/შიდა ორგანიზაციული გადაწყვეტილების მიჩნევა სასამართლოში გასაჩივრებად გადაწყვეტილებად ეწინააღმდეგება მხარეთა უფლებას, დავა (მათ შორის პროცესუალურ საკითხებზე) განიხილოს, პირველ რიგში, ტრიბუნალმა და მათ მიეცეთ ამ დავაზე სრულფასოვანი მოსმენის უფლება საარბიტრაჟო წარმოების პროცესში.

6 უნდა აღინიშნოს, რომ მსგავს პროცედურას ითვალისწინებს რამდენიმე საერთაშორისო საარბიტრაჟო დანესებულების წესებიც. მაგალითად, საერთაშორისო სავაჭრო პალატის (ICC) საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს წესების მე-6 მუხლი. ICC-მ წესების 2012 წლის რედაქციაში დაამატა შემდეგი აღნიშვნა, რომ „სასამართლოს (რომელიც GIAC-ის საარბიტრაჟო საბჭოს ეკვივალენტია) გადაწყვეტილება ამ მუხლის შესაბამისად არ აქარწყლებს მხარის განცხადების დასაშვებობას ან მისი პრეტენზიის საფუძვლიანობას („The Court’s decision pursuant to Article 6(4) is without prejudice to the admissibility or merits of any party’s plea or pleas.“). ამასთან, მე-6 მუხლის პუნქტები: 5 – 7 განმარტავენ სასამართლოს მიერ, ერთი შეხედვით, მიღებული ამ გადაწყვეტილების ეფექტს. შესაძლოა, მიზანშეწონილი იყოს, რომ GIAC-მაც გააკეთოს განმარტება წესების მე-10 მუხლში იმის თაობაზე, რომ საბჭოს გადაწყვეტილება არ წარმოადგენს საარბიტრაჟო ტრიბუნალის/არბიტრაჟის გადაწყვეტილებას კომპეტენციის შესახებ და საბჭოს გადაწყვეტილების მიუხედავად მხარეს რჩება უფლება გაასაჩივროს (ხოლო ტრიბუნალმა იმსჯელოს) ტრიბუნალის კომპეტენციის შესახებ საარბიტრაჟო პროცესის ფარგლებში.“

7 კიდევ ერთი შესაძლებლობა, როდესაც სასამართლო უფლებამოსილია, შეაფასოს საარბიტრაჟო დათქმის არსებობა თუ ნამდვილობა (და არა ტრიბუნალის კომპეტენცია, როგორც ასეთი), არის კანონის მე-9 მუხლის კონტექსტში, როდესაც სასამართლოში წარდგენილია სარჩელი, რომელიც ეხება დავას, რომელზეც მხარეთა შორის არსებობს საარბიტრაჟო შეთანხმება. ამ შემთხვევაში ეს არ იყო სახეზე, ვინაიდან სასამართლოში სარჩელი წარდგენილი არ ყოფილა. უფრო მეტი ინფორმაცია მე-9 მუხლის ფარგლებში სასამართლოს უფლებამოსილებაზე, შეაფასოს საარბიტრაჟო დათქმის არსებობა თუ ნამდვილობა, იხილეთ: გიორგი კეკელიძე, სოფიო ტყემალაძე, „გზამკვლევი არბიტრაჟში საქალაქო (რაიონული) სასამართლოების მოსამართლეებისათვის“, 2017 წ., ხელმისაწვდომია: <http://www.gaa.ge/images/resource/12/pnpouLwDR6f38c54fd25cae9866ee5daad4c92dba.pdf>, ნანახია: 13 დეკემბერი, 2018.



ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ კანონი თავად გამიჯნავს „არბიტრაჟს“ (ე.ი. ტრიბუნალს) საარბიტრაჟო დაწესებულებისგან. კანონს შემოაქვს განცალკევებული ტერმინი „საარბიტრაჟო დაწესებულება“ და 2.2. მუხლში მიუთითებს, რომ „[...] მხარეთა შეთანხმება კონკრეტულ საარბიტრაჟო დაწესებულებაზე მოიცავს შეთანხმებას ამავე საარბიტრაჟო დაწესებულების წესებზე.“ ამის მიუხედავად, შესაძლოა, მიზანშეწონილი იყოს კანონში ტერმინ „ტრიბუნალის“ შემოღება. ცნება „საარბიტრაჟო ტრიბუნალი“ უფრო ცხადს გახდიდა, რომ ყველა ის უფლებამოსილება, რაზეც დღეს კანონი უთითებს, როგორც „არბიტრაჟის“ უფლებამოსილებაზე, ეკუთვნის ერთი ან სამი არბიტრისგან შემდგარ პირთა ჯგუფს, ე.ი. ტრიბუნალს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს დავა მხარეებს შორის. სიტყვა „ტრიბუნალის“ გაიგივება „დაწესებულებასთან“ ბევრად უფრო რთული იქნებოდა. ხოლო ტერმინი „არბიტრაჟი“ დარჩებოდა ცალკე დამოუკიდებელ ტერმინად, რომელიც შეიძლება აღნიშნავდეს როგორც დავის გადანყვეტის მექანიზმს (როგორც ეს ლექსიკონშია განმარტებული), ისე მოიხსენიებოდეს საარბიტრაჟო პროცესის კონტექსტში (დღესაც ხშირად ისმის გამონათქვამი, „მიმდინარეობს არბიტრაჟი“). ამასთან, „საარბიტრაჟო ტრიბუნალი“ დამკვიდრებული ტერმინია საერთაშორისო მასშტაბით და მისი შემოღება კიდევ უფრო გასაგებს გახდიდა საქართველოს კანონმდებლობას არაქართველი მხარეებისა და წარმომადგენლებისთვის. ეს კი შეიძლება, მნიშვნელოვანი იყოს იმ ფონზე, რომ საქართველო მიიღტვის, გახდეს საარბიტრაჟო ცენტრი რეგიონში.

# საზოგადოების მიერ აქციათა გამოსყიდვის (APPRIASAL RIGHTS) მოთხოვნის უფლების წარმოშობა და უფლების განხორციელების პროცედურები დედაპერის შტატისა და საქართველოს საკორპორაციო სამართლის მიხედვით

წარმოდგენილი სტატია შეეხება აქციონერის ერთ-ერთ ფუნდამენტურ – საზოგადოების მიერ საკუთარი აქციების გამოსყიდვის მოთხოვნის – უფლებას და მისი მიზანია ამ უფლების შესახებ დელავერის შტატსა და საქართველოში არსებული საკანონმდებლო ბაზის, სასამართლო პრაქტიკისა და სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა და ქართული საკორპორაციო სამართლისთვის დასახელებული საკითხის შემდგომი სრულყოფის მიზნით შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩატარებული კვლევის საფუძველზე, სტატიაში დეტალურადაა მიმოხილული დელავერის შტატში არსებული რეგულაციები და განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული ქართულ საკანონმდებლო სივრცეში ამ უფლებასთან დაკავშირებული ნორმებისა და სასამართლო პრაქტიკის განმარტებებსა და პრობლემატურ საკითხებზე.

წინამდებარე სტატია დაყოფილია ხუთ ძირითად თავად, რომელთაგანაც პირველი და ბოლო თავები მოიცავს შესავალს, დასკვნასა და რეკომენდაციებს; მეორე თავში მიმოხილულია აქციების გამოსყიდვის უფლება ზოგად კონტექსტში და საუბარია უფლების როლსა და მიზანზე, განხილულია, თუ ვის აქვს ეს უფლება და შესაძლებელია თუ არა მისი გაუქმება; მესამე თავი ეთმობა გამოსყიდვის უფლების წარმომშობი შემთხვევების აღწერასა და მათ ანალიზს; მეოთხე თავში კი განხილულია უფლების განხორციელების პროცედურები, სადაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს აქციათა ფასის განსაზღვრის კრიტერიუმებისა და სტანდარტების წარმოდგენას. აღსანიშნავია, რომ ყველა ზემოთ მითითებული საკითხის განხილვისას გამოყენებულია შედარებითსამართლებრივი კვლევის მეთოდი.

ჩატარებული კვლევის შედეგად წარმოჩენილია, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს საკუთარი აქციების გამოსყიდვის მოთხოვნის უფლებას, როგორც აქციონერებისთვის, ისე თავად საზოგადოებისთვის. ამასთან, სტატიაში მკითხველისთვის შეთავაზებულია გამოსყიდვის უფლებასთან დაკავშირებით ამა თუ იმ პრობლემური საკითხის გადაჭრის ჩემული ხედვები.

## 1. შესავალი

საკორპორაციო სამართალი ასრულებს ორ ფუნქციას: პირველი, განსაზღვრავს კორპორაციული ფორმის სტრუქტურას, აწესებს წესებს, რომლებიც აუცილებელია ამ სტრუქტურის ფუნქციონირებისათვის, და, მეორე, ცდილობს, მოაგვაროს (აკონტროლოს) ინტერესთა კონფლიქტები კორპორაციაში

გაერთიანებულ ინტერესთა ჯგუფებს შორის.<sup>1</sup> ამგვარ კონფლიქტებს ეკონომისტები უწოდებენ წარმომადგენლობით კონფლიქტებს (principal-agent conflicts).<sup>2</sup>

გამოყოფენ წარმომადგენლობითი კონფლიქტის სამ სახეს, ესენია: 1. კონფლიქტი საზოგადოების პარტნიორებსა და საზოგადოების მმართველებს (დირექტორებს, მენეჯერებს) შორის; 2. კონფლიქტი კომპანიის პარტნიორებს, რომლებიც კომპანიაში ფლობენ აქციითა უმრავლესობას ან საკონტროლო აქციითა პაკეტს და მინორიტარ, არამაკონტროლებელ პარტნიორებს შორის; და 3. კონფლიქტი თავად კორპორაციას ან მის მფლობელებსა და სხვა მესამე პირებს შორის, როგორებიც არიან: კრედიტორები, დასაქმებულები და მომხმარებლები.<sup>3</sup>

მაკონტროლებელ და მინორიტარ აქციონერებს შორის კონფლიქტის შემთხვევაში სიძნელე იმის უზრუნველყოფაა, რომ არამაკონტროლებელი მფლობელი არ გახდეს იძულებული (ექსპროპრირებული) მაკონტროლებელ მფლობელთა მიერ.<sup>4</sup>

საკორპორაციო სამართლის კანონმდებლობაში შემუშავებულია ამგვარი კონფლიქტების თავიდან არიდების სტრატეგიები.<sup>5</sup> სამართლებრივი სტრატეგიები შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: პირველს უწოდებენ „მარეგულირებელ სტრატეგიებს“, მეორეს – „ხელმძღვანელობით სტრატეგიებს“. პირველი მათგანი არის ინსტრუქციის მიძღვნილი: ის კარნახობს მატერიალურ წესს, რომელიც მართავს წარმოდგენილსა და წარმომადგენელს შორის ურთიერთობას და მიმართულია წარმომადგენლის მოქმედების პირდაპირი შეზღუდვისკენ.<sup>6</sup> „მარეგულირებელ სტრატეგიებში“ გამოყოფენ ერთ-ერთ სტრატეგიას, რომელსაც ეწოდება „გასვლის სტრატეგია“ („Exit Strategy“). „გასვლის სტრატეგია“ უფლებას აძლევს წარმოდგენილ [მინორიტარ] პირს, გაექცეს ოპორტუნისტ წარმომადგენელს [მაკონტროლებელ აქციონერს]. ზოგადად რომ ვთქვათ, არსებობს ორი სახის გასვლის უფლება: პირველი არის ინვესტიციის უკან გამოხშობის უფლება, რომლის ყველაზე კარგი მაგალითი საკორპორაციო სამართალში არის გამოსყიდვის უფლების (Appraisal Right) იმ აქციონერებისათვის მინიჭება, რომლებიც არ ეთანხმებიან გარკვეულ დიდ ტრანსაქციებს, როგორც არის, მაგალითად, შერწყმა. ამ უფლებას აძლევს აქციონერს, რომელიც აპროტესტებს მნიშვნელოვან ტრანსაქციას, მოითხოვოს ის ღირებულება, მის კუთვნილ აქციებს რომ ჰქონდა სადავო ტრანსაქციის განხორციელებამდე და, შესაბამისად, თავიდან აიცილოს მოსალოდნელი ზიანი იმ შემთხვევაში, თუ, მისი შეხედულებით, კომპანიამ მიიღო ღირებულების შემცირების შედეგის გამომწვევი გადაწყვეტილება.<sup>7</sup>

საზოგადოების მიერ საკუთარი აქციების გამოსყიდვა,<sup>8</sup> როგორც მარეგულირებელი სტრატეგია, რომელიც კომპანიაში ინტერესთა ბალანსის დაცვას და მის წარმატებულ ფუნქციონირებას უწყობს ხელს, იმავდროულად, აქციონერის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უფლებაა.<sup>9</sup> შესაბამისად, იგი განეკუთვნება მინორიტარი აქციონერის უფლებების დაცვის ყველაზე მნიშვნელოვან მექანიზმს, რის

1 Kraakman, Hansmann, *The Anatomy of Corporate Law. A Comparative and Functional Approach*, (Oxford: Oxford University Press, 2004), 21.

2 Kershaw, *Company Law in Context: Text and Materials: Second Edition*, (Oxford: Oxford University Press, 2012), 175.

3 Kraakman, Hansmann, *Agency Problems and legal Strategies and Enforcement*, Harvard Law School Discussion Paper 644, (2009): 2-3.

4 იქვე, 3.

5 Kraakman, *The Anatomy of Corporate Law. A Comparative and Functional Approach*, 23-24.

6 Kraakman, *Agency Problems and legal Strategies and Enforcement*, 4.

7 იქვე, 7.

8 როგორც ზემოთ აღინიშნა, საზოგადოების მიერ საკუთარი აქციების გამოსყიდვის ინსტიტუტს ინგლისურ ენაზე ეწოდება „Appraisal Right“ ან „Right to Appraisal“, რაც ქართულ ენაზე ნიშნავს „შეფასების უფლებას“.

9 ამ უფლებას მკვლევართა ნაწილი აქციონერთა საპროცესო უფლებებსაც მიაკუთვნებს. იხ. Velasco, *The Fundamental Rights of the Shareholder*, UC Davis Law Review 40, no. 2 (2006): 421-424.

გამოც მასთან დაკავშირებული რეგულირებები ნათლად და გარკვევით, მნიშვნელოვანი სიმუსტით უნდა იყოს ჩამოყალიბებული, ხოლო განმარტებები მოითხოვს უფლებასთან დაკავშირებული საკითხების დეტალურ განხილვასა და ანალიზს.

საზოგადოების მიერ საკუთარი აქციების გამოსყიდვის განხორციელება საკმაოდ რთული და მრავალეტაპიანი პროცესია, რომელიც შესაძლებელია, საბოლოოდ, აქციონერსა და საზოგადოებას შორის სასამართლო განხილვით დასრულდეს. ამ უფლების განხორციელების პროცესი, ზოგადად, მოიცავს სამ სხვადასხვა ეტაპს: გამოსყიდვის უფლების წარმოშობი შემთხვევის (triggering event) დადგომას; შეტყობინებასა და უფლების განხორციელებას; აქციათა შეფასებას.<sup>10</sup> თავის მხრივ, თითოეული ეს ეტაპი მოიცავს საკითხთა მთელ სიმრავლეს, რომლებიც გამოსყიდვის პროცესის განმავლობაში უნდა გადაწყდეს, რათა, საბოლოოდ, აქციონერის მოთხოვნა გამოსყიდვის შესახებ დაკმაყოფილდეს, ან პირიქით, უარყოფილ იქნეს.

აღსანიშნავია, რომ ყველა ზემოთ ხსენებულ საკითხზე მსჯელობისას განხილული და გაანალიზებული იქნება როგორც ქართული, აგრეთვე დელავერის შტატის კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა. შედარებითსამართლებრივი კვლევისათვის ქართულ სამართალთან შესადარებლად დელავერის სამართალი შემთხვევით არ არის არჩეული. აღიარებულია, რომ დელავერის საკორპორაციო სამართალი და სასამართლო პრაქტიკა ამ სფეროში ერთ-ერთი სრულყოფილია მთელი მსოფლიოს მასშტაბით და, ხშირ შემთხვევაში, დელავერის შტატში მიღებული გადაწყვეტილებები ანებს სტანდარტებს თანამედროვე საკორპორაციო სამართალში.<sup>11</sup> იმავდროულად, გარდა იმისა, რომ შტატის სასამართლოები ავტორნი არიან ამ საკითხებთან დაკავშირებული არაერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებისა,<sup>12</sup> ბოლო დროის განმავლობაში გამოსყიდვის უფლებასთან დაკავშირებული სასამართლო განხილვების რიცხვი დელავერის შტატში მნიშვნელოვნად გაიზარდა,<sup>13</sup> რაც კიდევ უფრო საინტერესოს ხდის ამ შტატის სასამართლო პრაქტიკის კვლევას.

რაც შეეხება სტატიის აქტუალურობას, აქციების გამოსყიდვის ინსტიტუტის შესწავლა და ამ საკითხზე უცხოური გამოცდილების გამოკვლევა თავისთავად აქტუალურს ხდის მას, ვინაიდან ქართულ სამართლებრივ ლიტერატურაში ძალიან მწირია ნაშრომები, რომლებიც ამ ინსტიტუტს ეხება, რომ არაფერი ვთქვათ გამოსყიდვის უფლების სიღრმისეულ და დაწვრილებით კვლევაზე. იმავდროულად, ერთ-ერთი ყველაზე საკამათო თემა დღესდღეობით აშშ-ში ორივე, ზოგადად საკორპორაციო და კორპორაციული ფინანსების, სფეროში არის გამოსყიდვის უფლების რეგულაცია და მისი პრაქტიკულად განხორციელება.<sup>14</sup>

აქედან გამომდინარე, წინამდებარე სტატიის მიზანია საზოგადოების მიერ საკუთარი აქციების გამოსყიდვის ინსტიტუტის, როგორც აქციონერის, ფუნდამენტური უფლების განხილვა, მასთან დაკავშირებული რეგულირებების, პრობლემებისა თუ სიძნეელების გაანალიზება და სტატიაში განხილული სხვადასხვა პრობლემური საკითხის გადაჭრის გზების შეთავაზება.

10 McLellan, an Appraisal of Appraisal Rights in Delaware, *Denver University Law Review* 92, (2015): 110.

11 Black, *Why Corporations Choose Delaware*, Delaware Department of State, Division of Corporations, (2007).

12 მაგ. *Weinberger v. UOP, Inc.*, 457 A.2d 701 (Del. 1983).

13 *Wilson Sonsini Goodrich & Rosati Professional Corporation (WSGR), Alert, The Growth of Appraisal Litigation in Delaware*, (2013). ხელმისაწვდომია მისამართზე: <https://www.wsgr.com/publications/PDFSearch/wsgralert-delaware-appraisal-litigation.pdf>

14 *Castaneda, Appraisal Rights: The "Fair" Valuation of Shares in Case of Dissent*, *Boletín Mexicano de Derecho Comparado* 96, (1999): 809-810.



## 2. საზოგადოების მიერ საკუთარ აქციათა გამოსყიდვის ინსტიტუტის რეგულირების ზოგადი თავისებურებანი

სამართალი აღიარებს კორპორაციების სამართალსუბიექტად არსებობას განცალკევებით იმ აქციონერებისაგან, რომლებმაც მათი თანხების ინვესტირება მოახდინეს კომპანიაში.<sup>15</sup> ამასთან, კომპანიის წესდება არის ხელშეკრულება, რომელიც აქციონერებს ერთმანეთთან აკავშირებს.<sup>16</sup> ზოგადად, გადანყვეტილებები, რომლებიც მიიღება კორპორაციის წესდების ფარგლებში, მიიღება აქციათა უმრავლესობის მფლობელთა მიერ.<sup>17</sup> სხვა გადანყვეტილებები, რომლებიც უფრო მეტად ფუნდამენტურია კორპორაციის არსებობის გაგრძელებასთან მიმართებით, ხშირად მოითხოვს აქციონერთა უმრავლესობაზე მეტის მხარდაჭერას.<sup>18</sup>

ადრეულ საქმეებში დადგინდა, რომ ფუნდამენტური ცვლილებები, როგორებიცაა: ლიკვიდაცია, აქტივების გაცვლა ან გაყიდვა, ან კომპანიის სხვა კომპანიასთან შერწყმა, მოითხოვდა ყველა აქციონერის თანხმობას.<sup>19</sup> აქციონერთა ერთსულოვნების ეს მოთხოვნა უმცირესობაში მყოფ აქციონერებს აძლევდა ვეტოს უფლებას აქციონერთა მისაღებ ფუნდამენტურ [არსებით] გადანყვეტილებებზე და ქმნიდა შესაძლებლობას, უმცირესობას შეეფერხებინა უმრავლესობა, განეხორციელებინა ქმედებები, რომლებიც ამკარად ხელსაყრელი იყო კომპანიის დასაცავად და მისი არსებობის გასაგრძელებლად. ვინაიდან კორპორაციის შემადგენლობაში არსებობს აქციონერთა დიდი რაოდენობა, რომლებსაც განსხვავებული ინტერესები აქვთ და, რომლებიც პირადად არ იცნობენ კორპორაციულ საქმეებს, ყველა აქციონერის მხარდაჭერის უზრუნველყოფა იქნებოდა შეუძლებელი ამოცანა. ამ მიზეზით, ფაქტობრივად, ყველა ამერიკულმა იურისდიქციამ დაადგინა, რომ, სულ მცირე, ზოგიერთი ფუნდამენტური [არსებითი] გადანყვეტილება შეიძლება მიიღებოდეს ყველა აქციონერის მხარდაჭერის გარეშე.<sup>20</sup>

თუმცა, ამასთანავე, გაცნობიერებულ იქნა, რომ აუცილებელი იყო განსხვავებული აზრის მქონე აქციონერებისთვის გარკვეული თავისუფლების მიცემა; რომ, თუმცა პატარა ჯგუფს არ უნდა მისცემოდა შესაძლებლობა, ხელი შეეშალა უმრავლესობისათვის, კორპორაციასთან მიმართებით განეხორციელებინა ქმედებები, რომლებსაც ის თვლიდა გონივრულად, მაგრამ უმცირესობა არ უნდა ყოფილიყო იძულებული, გაეგრძელებინა საქმიანობა სანარმოში, რომელიც იქნებოდა რადიკალურად განსხვავებული იმისაგან, რომელშიც ისინი თავდაპირველად [როგორც აქციონერები] შევიდნენ, ან, რომელსაც არსებითად შეცვლილი სტატუსი ექნებოდა.<sup>21</sup> შედეგად, იურისდიქციათა უმრავლესობაში, განსხვავებული მოსაზრების მქონე აქციონერებს [(Dissenting Shareholder)] მიეცათ უფლება, გარკვეულ შემთხვევებში, გამოეთხოვათ თავიანთი ინვესტიცია, მათი აქციების სანაცვლოდ თანხის მოთხოვნისა და მიღების გზით. როდესაც კორპორაცია და აქციონერი ვერ თანხმდებიან აქციის ფასზე, ღირებულება განისაზღვრება შემფასებლის მიერ.<sup>22</sup>

შესაბამისად, საზოგადოების მიერ საკუთარი აქციების გამოსყიდვის მოთხოვნის უფლება (შეფასების უფლება) აქციონერებს ანიჭებს საკანონმდებლო უფლებას, არ დაეთანხმონ განსაზღვრულ ფუნდამენტურ

15 JArmour, Hansmann, Kraakman, The Essential Elements of corporate Law: What is Corporate Law?, Harvard Law School Discussion Paper 643, (2009):7-8.

16 Lattin, Minority and Dissenting Shareholders' Rights in Fundamental Changes, Law & Contemporary Problems 23 (1958): 307.

17 Looney, Dissenting Minority Stockholder's Right of Appraisal, Boston College Law Review 4, (1962): 85.

18 იქვე.

19 იქვე, Calman v. Guaranty Security Corp., 271 Mass. 533, 543; 171 N.E. 830, 834 (1930); Treadwell v. Salisbury Mfg. Co., 73 Mass. (7 Gray) 393, 404 (1856).

20 Lattin, Minority and Dissenting Shareholders' Rights in Fundamental Changes, 307.

21 Levy, Rights of Dissenting Shareholders to Appraisal and Payment, Cornell Law Review 15, (1930): 421.

22 Looney, Dissenting Minority Stockholder's Right of Appraisal, 85 იხ. აგრეთვე Orlando, The Appraisal Remedy in Illinois under the 1983 Business Corporation Act: Some Suggestions for Improvement, John Marshall Law Review 19, (1985): 229.

ან სტრუქტურულ ცვლილებებს მათ კორპორაციაში. ეს საშუალება კორპორაციისგან მოითხოვს, გააადვილოს აქციონერთა მიერ თავიანთი აქციების გამოთხოვა, [საზოგადოების მიერ] უკან გამოსყიდვის გზით სამართლიანი ფასის ან გამოსყიდვის პროცედურის შესაბამისად დადგენილი ეკვივალენტის სანაცვლოდ.<sup>23</sup>

მიუხედავად იმისა, რომ გამოსყიდვის უფლების სპეციფიკა განსხვავდება სხვადასხვა იურისდიქციის მიხედვით, უმეტესი შტატის კანონები იზიარებენ ძირითად მახასიათებლებს: ისინი ამ უფლებას ანიჭებენ აქციონერებს, რომლებმაც გააპროტესტეს [მხარი არ დაუჭირეს] ისეთ ტრანსაქციებს, როგორებიცაა შერწყმა და გაერთიანება; კორპორაციის ყველა ან არსებითად ყველა აქტივის გაყიდვას (კომპანიის გაუქმებისგან განსხვავებული შემთხვევა); და „მნიშვნელოვან“ ცვლილებებს წესდებაში, როგორებიცაა კომპანიის იმ მიზნების შეცვლა, რისთვისაც იგი შეიქმნა.<sup>24</sup>

დელავერის საკორპორაციო სამართალი (Delaware General Corporate Law), ისევე როგორც აშშ-ის სხვა შტატები, აქციონერებისთვის ითვალისწინებს გამოსყიდვის მოთხოვნის უფლებას. ამას დელავერის შტატში აფუძნებს დელავერის საკორპორაციო სამართლის 262-ე მუხლი, რომლის თანახმად, იმ აქციონერს, რომელმაც უარყოფითი პოზიცია დააფიქსირა საერთო კრების მიერ გადაწყვეტილების მიღების დროს, ან არ მიიღო მონაწილეობა კენჭისყრაში, რომელიც ეხებოდა საწარმოთა შერწყმას (მიერთება და გაერთიანება (merger and consolidation)) და რომელსაც ეკუთვნის აქციები გამოსყიდვის მოთხოვნის დროს და ეს აქციები შერწყმის განხორციელების დროსაც მისი საკუთრება იყო, შეუძლია, აქციის სამართლიანი ღირებულების საფუძველზე მოითხოვოს საკუთარი აქციების გამოსყიდვა საზოგადოებისგან.<sup>25</sup>

მსოფლიოს განვითარებულ იურისდიქციათა მსგავსად, საზოგადოების მიერ აქციების გამოსყიდვის მოთხოვნის უფლებას აგრეთვე იცნობს საქართველოს კანონი „მენარმეთა შესახებ“.<sup>26</sup> ამ კანონის 53<sup>1</sup>-ე მუხლის თანახმად, „აქციონერს უფლება აქვს, ამ მუხლით დადგენილი წესით საზოგადოებას მოსთხოვოს თავისი აქციების შეფასება და გამოსყიდვა, თუ მან საერთო კრებაზე მხარი არ დაუჭირა ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც არსებითად ლახავს აქციონერის უფლებებს, ან ეხება საწარმოს რეორგანიზაციას“. აქციის გამოსყიდვის მოთხოვნის უფლება აქციონერის ოფციაა და კანონი მის არსებობას გარკვეულ წინაპირობებს უკავშირებს,<sup>27</sup> რომლებიც მოგვიანებით იქნება განხილული. ამასთანავე, „მენარმეთა შესახებ“ კანონი საკუთარი აქციების გამოსყიდვას ორმხრივ დატვირთვას ანიჭებს. უმცირესობაში მყოფი აქციონერისთვის იგი თავდაცვის ერთ-ერთი საშუალებაა. ამასთანავე, საწარმოს მიერ საკუთარი აქციების შესყიდვის ფუნქცია საწარმოს ინტერესებიდანაც გამომდინარეობს. სააქციო საზოგადოებას უფლება აქვს, აქციები გამოისყიდოს მათი შემდგომი გამოყენებისათვის (სახაზინო აქციები).<sup>28</sup>

23 Levmore, Kanda, The Appraisal Remedy and the Goals of Corporate Law, University of California at Los Angeles Law Review 32, (1985): 429.

24 Letsou, The Role of Appraisal in Corporate Law, Boston College Law Review 39, (1998): 1121.

25 Delaware General Corporate Law (DGCL), § 262.

26 ეს ინსტიტუტი უცხო იყო ქართული სამართლისთვის. მენარმეთა შესახებ კანონი 1999 წლის 9 ივნისის ცვლილებებამდე არ ითვალისწინებდა სააქციო საზოგადოების მიერ საკუთარი აქციების გამოსყიდვის შესაძლებლობას. 9 ივნისის ცვლილებებით მენარმეთა შესახებ კანონს დაემატა 53<sup>1</sup> მუხლი, რომელიც აწესრიგებს საზოგადოების მიერ საკუთარი აქციების გამოსყიდვასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.

იხ. ჭანტურია, ნინიძე, მენარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, თბ., 2002, 355.

27 იქვე.

28 ჯუღელი, კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, თბ., 2010, 267-268.

## 2.1. აქციონერთა მიერ წესდებით აქციათა გამოსყიდვის მოთხოვნის უფლების გამორიცხვა

პირველი საკითხი, რომელიც საზოგადოების მიერ საკუთარი აქციების გამოსყიდვის მოთხოვნის უფლებას უკავშირდება, არის ამ უფლების გამორიცხვის შესაძლებლობა. ჩნდება კითხვა, შესაძლებელია თუ არა გამოსყიდვის უფლების გამორიცხვა საზოგადოების წესდებაში აღნიშნულის ნათლად მითითებით.<sup>29</sup>

დელავერის საკორპორაციო სამართალი ამ საკითხთან დაკავშირებით პირდაპირ არაფერს ამბობს, გარდა იმისა, რომ ის წესდების წინააღმდეგობას შტატის კანონმდებლობასთან დაუშვებლად მიიჩნევს. დელავერის საკორპორაციო სამართალი უშვებს, რომ წესდება შეიძლება შეიცავდეს პირობას ბიზნესის მენეჯმენტისათვის და კორპორაციის საქმიანობის განსახორციელებლად; და პირობას, რომელიც წარმოშობს, განმარტავს, ზღუდავს და არეგულირებს კომპანიის, დირექტორებისა და აქციონერების ან აქციონერთა ნებისმიერი კლასის უფლებამოსილებებს, თუ ამგვარი პირობები (დებულებები) არ ეწინააღმდეგება შტატის კანონმდებლობას.<sup>30</sup> ამასთანავე, წესდებაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია იმ პირობით, რომ შეცვლილი წესდება უნდა შეიცავდეს პირობებს, რომლებიც კანონიერი და სათანადო იქნებოდა თავდაპირველი წესდებისთვის.<sup>31</sup>

შესაბამისად, ვინაიდან საკორპორაციო კანონის 262-ე მუხლი პირდაპირ ითვალისწინებს აღმჭურველ უფლებას აქციონერისათვის და პირდაპირ არ მიუთითებს ამ უფლების წესდებით გამორიცხვის შესაძლებლობაზე, ზემოთ მითითებული ზოგადი წესის შესაბამისად, უნდა ჩაითვალოს, რომ, თუ წესდებით აქციონერები გამორიცხავენ გამოსყიდვის მოთხოვნის უფლებას, იგი წინააღმდეგობაში მოვა შტატის კანონმდებლობასთან, რომელიც ასეთ შემთხვევაში მაინც იმოქმედებს და ვინაიდან კანონმდებლობის საწინააღმდეგო შეთანხმება არის ბათილი, იგიც, შესაბამისად, ბათილად ჩაითვლება.

დელავერის კანონმდებლობის მსგავსად, ამ უფლების აქციონერთა მიერ წინასწარ, წესდებაში გაკეთებული ჩანაწერით გამორიცხვის შესაძლებლობის შესახებ არაფერს ამბობს არც კანონი „მენარმეთა შესახებ“. 53<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადებაში მხოლოდ ისაა მითითებული, რომ „საზოგადოების წესდება შეიძლება დეტალურად აწესრიგებდეს აქციების შეფასებასა და გამოსყიდვასთან დაკავშირებულ საკითხებს“.

შესაბამისად, ისმის კითხვა, აღნიშნული ჩანაწერი ხომ არ უნდა იქნეს გაგებული 53<sup>1</sup>-ე მუხლის დისპოზიციური ხასიათის მანიშნებლად. ვფიქრობთ, ამ კითხვას უარყოფითი პასუხი უნდა გავცეს, ვინაიდან ეს ნორმა უნდა ჩაითვალოს იმპერატიულ ნორმად, რომლის მთლიანად გამორიცხვა პარტნიორთა შეთანხმებით მხარეებს არ შეუძლიათ. შესაბამისად, 53<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადებაში არსებული ჩანაწერი ეხება არა გამოსყიდვის უფლების წესდებით გამორიცხვის შესაძლებლობის საკითხს, არამედ იგი განსაზღვრავს უფლებას აქციონერებისთვის, სურვილის შემთხვევაში წესდებით დეტალურად დაარეგულირონ აქციათა შეფასებისა და გამოსყიდვის პროცედურა. დეტალურად რეგულირება ამ შემთხვევაში უნდა გულისხმობდეს იმას, რომ წესდებით შესაძლებელია მხოლოდ გამოსყიდვის უფლების განხორციელების პროცედურული წესების მოდიფიცირება. მაგალითად, შეტყობინების ვადების, გამოსასყიდი აქციების რაოდენობისა და გამოსყიდვის ფასის

29 Levy, Rights of Dissenting Shareholders to Appraisal and Payment, 429.

30 DGCL § 102 (b) (1) „(b) In addition to the matters required to be set forth in the certificate of incorporation by subsection (a) of this section, the certificate of incorporation may also contain any or all of the following matters: (1) Any provision for the management of the business and for the conduct of the affairs of the corporation, and any provision creating, defining, limiting and regulating the powers of the corporation, the directors, and the stockholders, or any class of the stockholders, or the members of a nonstock corporation; if such provisions are not contrary to the laws of this State.

31 DGCL § 241 (a).

შესახებ გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს განსაზღვრის<sup>32</sup> და სხვა ამგვარი წესების ცვლილება, თუმცა დაუშვებელია, რომ წესდებით აქციონერს წაერთვას სასამართლოსთვის მიმართვის უფლება მაშინ, როდესაც ის არ ეთანხმება საზოგადოების მიერ შეთავაზებულ ფასს.

შესაბამისად, ეს ჩანაწერი გულისხმობს საწარმოს უფლებას, წესდებით დამოუკიდებლად დაარეგულიროს აქციების შეფასებასა და გამოსყიდვასთან დაკავშირებული პროცედურები და არა საზოგადოების მიერ აქციათა გამოსყიდვის მატერიალური საფუძვლები.<sup>33</sup>

ის, რომ გამოსყიდვის უფლების გაუქმება შეუძლებელია, ზედმინევით ლოგიკურია, ვინაიდან სრულიად უსარგებლო იქნებოდა, აქციონერისთვის მიგვეცა უფლება, რომლის შეცვლა შესაძლებელი იქნებოდა იმავე ჯგუფის მიერ, ვის ქმედებათაგან უმცირესობის დაცვასაც იგი განიზრახავს.<sup>34</sup>

## 2.2. აქციონერები, რომლებსაც აქვთ აქციათა გამოსყიდვის მოთხოვნის უფლებამოსილება

შემდეგი საკითხი, რომელიც საზოგადოების მიერ აქციათა გამოსყიდვის დროს წარმოიშობა, არის ის, თუ ვის აქვს საზოგადოების წინაშე ამ მოთხოვნის დაყენების უფლება. ეს კითხვა შესაძლებელია გაიყოს ორ ქვეშეკითხვად: პირველი, გამოსყიდვის მოთხოვნის დაყენების უფლება აქვს ყველა აქციონერს, თუ მხოლოდ ხმის უფლების მქონეთ; და მეორე, კრებაზე დაფიქსირებული პოზიციის მიხედვით, რომელ აქციონერებს წარმოეშობათ მოთხოვნის უფლება.

### 2.2.1. უფლების შეზღუდვა კრებაზე ხმის უფლების ფლობის მიხედვით

დელავერის საკორპორაციო სამართლის 262-ე პარაგრაფის მიხედვით, საზოგადოებისათვის გამოსყიდვის მოთხოვნით მიმართვის უფლება აქვს ნებისმიერ აქციონერს, რომელიც აქციებს ფლობდა აქციების გამოსყიდვის მოთხოვნის დროს და აგრძელებს მათ ფლობას შესაბამისი ტრანსაქციის განხორციელების დროსაც. ამასთანავე, გამოსყიდვის მოთხოვნის უფლება ხელმისაწვდომია ნებისმიერი კლასის და სერიის აქციონერისთვის, რომლებმაც მიღებული გადაწყვეტილება (შერწყმა) ზეგავლენას ახდენს.<sup>35</sup> ამასთანავე, ეს უფლება არ არის ხელმისაწვდომი აქციონერებისათვის, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ფლობდნენ აქციებს ან დეპოზიტარულ ხელწერილებს შესაბამის თარიღში და უფლებამოსილი იყვნენ, აქციონერთა კრებაზე ხმა მიეცათ შერწყმის გადაწყვეტილებისთვის, რომელთა აქციები განთავსებული იყო ეროვნულ საფონდო ბირჟაზე, ან რომლებიც ფლობდნენ 2 000 მფლობელის უფლებას, აგრეთვე იმ აქციონერებისთვის, რომელთა მხარდაჭერა (ხმის მიცემა) არ არის მოთხოვნილი შესაბამისი ტრანსაქციის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად.<sup>36</sup> მიუხედავად აღნიშნულისა, გამოსყიდვის უფლება აქვს აგრეთვე ნებისმიერი კლასისა და სერიის იმ აქციონერებს, რომელთა მხარდაჭერა მოთხოვნილია შერწყმის შესახებ შეთანხმებით.<sup>37</sup>

32 შესაძლებელია, სააქციო საზოგადოებას საერთოდ არ ჰქონდეს სამეთვალყურეო საბჭო, რის გამოც წესდებით გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოდ შესაძლებელია, გაითვალისწინონ დირექტორთა საბჭო.

33 მაისურაძე, კორპორაციულსამართლებრივი თავდაცვითი ღონისძიებები კაპიტალური საზოგადოების რეორგანიზაციისას (შედარებითსამართლებრივი კვლევა უპირატესად დელავერისა და ქართული საკორპორაციო სამართლის მაგალითზე), თბ., 2014, 42.

34 Levy, Rights of Dissenting Shareholders to Appraisal and Payment, 430.

35 DGCL, § 262 (b).

36 DGCL, § 262 (b) (1).

37 DGCL, § 262 (b) (2). ამ წესს აქვს გამონაკლისები, რომლებიც მითითებულია იმავე მუხლში.



დელავერის სამართლისგან განსხვავებით, „მენარმეთა შესახებ“ კანონი არ ჩამოთვლის, აქციათა თუ რომელი კლასისა და სერიის მფლობელი აქციონერებისთვის არის ეს უფლება ხელმისაწვდომი. 53<sup>1</sup>-ე მუხლი მხოლოდ ზოგადად მიუთითებს, რომ ეს უფლება აქციონერს აქვს. შესაბამისად, განსამარტავია, რომელი კლასისა თუ სერიის აქციონერებს აქვთ ეს უფლება.

„მენარმეთა შესახებ“ კანონი იცნობს აქციათა ორ სახეს: ესენია ჩვეულებრივი და პრივილეგირებული აქციები.<sup>38</sup> ჩვეულებრივი აქცია უზრუნველყოფს ერთი ხმის უფლებას აქციონერთა საერთო კრებაზე, ხოლო პრივილეგირებული აქცია იძლევა არა ხმის უფლებას, არამედ ის უზრუნველყოფს დივიდენდის მიღებას დადგენილი განაკვეთით.<sup>39</sup>

„მენარმეთა შესახებ“ კანონის 53<sup>1</sup>-ე მუხლის მიხედვით, ეს უფლება აქვთ იმ აქციონერებს, რომლებმაც საერთო კრებაზე „მხარი არ დაუჭირეს“ შესაბამის გადაწყვეტილებას. ეს ჩანაწერი არის საკმაოდ ბუნდოვანი, ვინაიდან იგი ცხადად ვერ მიუთითებს აქციონერებზე, რომლებსაც გამოსყიდვის უფლება წარმოეშობათ.<sup>40</sup> ამ ჩანაწერის ერთი ინტერპრეტაცია შესაძლებელია, იყოს, რომ ეს უფლება მიემართება მხოლოდ იმ აქციონერებს, რომლებსაც აქვთ ხმის მიცემის უფლება და ხმა მისცეს გადაწყვეტილების წინააღმდეგ ან, სულ მცირე, თავი შეიკავოს ხმის მიცემის დროს. თუმცა ხმის მიცემის უფლება ასეთ დროს აუცილებელია არსებობდეს. შესაძლებელია იმის მტკიცება, რატომ არის ჩანაწერში ნახსენები „ხმა მისცა/მხარი დაუჭირა“, თუ იგი მოიცავს ყველა აქციონერს, რომელთაც არ აქვთ ხმის მიცემის (მხარის დაჭერის) უფლება.<sup>41</sup>

მეორე განმარტება ტერმინისა – „მხარი არ დაუჭირა“ (ხმა არ მისცა) – მოიცავს ყველა აქციონერს (მიუხედავად იმისა, ჰქონდათ თუ არა მათ ხმის მიცემის უფლებამოსილება), გარდა იმ პირებისა, რომლებმაც გადაწყვეტილებას (ცვლილებას) მხარი დაუჭირეს. ეს მიდგომა აშშ-ში მომდინარეობს საქმეებიდან,<sup>42</sup> რომლებშიც მოთხოვნილია, რომ კანონმდებლობა იყოს თავისუფლად – ფართოდ განმარტებული განსხვავებული აზრის მქონე აქციონერთა სასარგებლოდ და, აგრეთვე, იმის გაცნობიერებიდან, რომ სხვაგვარი განმარტება ამ უფლებას წაართმევდა ხმის უფლების არმქონე აქციათა კლასს.<sup>43</sup>

შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ პრივილეგირებული აქციის მფლობელს არ აქვს ხმის უფლება აქციონერთა კრებაზე, მისთვის გამოსყიდვის მოთხოვნის უფლების ჩამორთმევა არ იქნებოდა მართებული, ვინაიდან კანონი პირდაპირ არ გამოურიცხავს მათ ამ უფლებას, ხოლო უფლების მიზანი არის სწორედ ის, რომ აქციონერს არ შეიძლება მოეთხოვოს იმ კორპორაციის წევრობა, რომელმაც განიცადა მისთვის მიუღებელი ცვლილება.<sup>44</sup> ამასთანავე, კანონმდებლობა ხმის უფლების მქონე აქციონერთა შემთხვევაში უნდა იყოს უფრო მკაცრი, ვინაიდან, მათგან განსხვავებით, პრივილეგირებული აქციების მფლობელებს არ აქვთ ხმის უფლება განხილვის დროს და არ აქვთ უფლებამოსილება, თავიდან აიცილონ კონკრეტული გადაწყვეტილება. შესაბამისად, კანონმდებლობის ეს ბუნდოვანება

38 მენარმეთა შესახებ კანონის 52-ე მუხლი.

39 იქვე.

40 Levy, Rights of Dissenting Shareholders to Appraisal and Payment, 427. ამ ჩანაწერის განმარტება აზრთა სხვადასხვაობას ინვესტ აშშ-ის სხვადასხვა შტატის სასამართლოებსა და სამართლის მკვლევართა შორის.

41 Levy, Rights of Dissenting Shareholders to Appraisal and Payment, 428. ეს მიდგომა გაიზიარა, მაგალითად, ნიუ-იორკის სასამართლომ საქმეში – Application of Harwitz 192 Misc. 91, 80 N.Y.S.2d 570 (Sup. Ct. 1948). ამ მიდგომასვე იზიარებს, მაგალითად, პროფესორი პიტმანი, რომელიც მიუთითებს, რომ გამოსყიდვის მოთხოვნის უფლება არ აქვთ იმ აქციონერებს, რომლებსაც ხმის უფლება არ გააჩნიათ. იხ. Pittman, Corporations--Are Nonvoting Shares Entitled to Appraisal Rights, Missouri Law Review, 28, (1963).

42 3N. J. & H. H. Ry. & Ferry Co. v. American Elec. Works, 82 N. J. L. 391, 81 Atl. 989 (1929).

43 Levy, "Rights of Dissenting Shareholders to Appraisal and Payment," 428.

44 იქვე, 428.

უნდა გადაწყდეს მათ სასარგებლოდ, ვისაც არ აქვთ ხმის უფლება, თუმცა აქვთ სურვილი, მიიღონ შესაბამისი ანაზღაურება.<sup>45</sup>

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, გამოსყიდვის მოთხოვნა ხმის უფლების არმქონე (პრივილეგირებული) აქციის მფლობელებსაც შეიძლება წარმოეშვათ.<sup>46</sup>

გარდა ამისა, ქართული კანონმდებლობა, დელავერის შტატისაგან განსხვავებით, არ აწესებს გამონაკლისს ღია სააქციო საზოგადოების აქციონერებისათვის და მათ, ისევე როგორც დახურული სააქციო საზოგადოების აქციონერებს, ანიჭებს გამოსყიდვის მოთხოვნის უფლებას. შესაბამისად, ამ მოთხოვნის დაყენება შეუძლიათ იმ სააქციო საზოგადოების აქციონერებსაც, რომელთა აქციები განთავსებულია სავაჭროდ საფონდო ბირჟაზე.<sup>47</sup>

გამოსყიდვის მოთხოვნის უფლება აგრეთვე აქვთ საერთაშორისო დეპოზიტარული ხელწერილის<sup>48</sup> მფლობელებს (ბენეფიციარ აქციონერებს<sup>49</sup>).

### 2.2.2. უფლების შეზღუდვა კრებაზე აქციონერის მიერ განხორციელებული ქმედების მიხედვით

დელავერის საკორპორაციო სამართლის 262-ე პარაგრაფის მიხედვით, გამოსყიდვის მოთხოვნის უფლება წარმოეშობათ მხოლოდ იმ აქციონერებს, რომლებმაც ხმა არ მისცეს (მხარი არ დაუჭირეს) შერწყმის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას ან საერთოდ არ მიიღეს კენჭისყრაში მონაწილეობა. ამასთანავე, როგორც წინა პარაგრაფში აღინიშნა, გამოსყიდვის უფლება, დელავერის სამართლის მიხედვით, წარმოეშობათ მხოლოდ იმ აქციონერებს, რომლებსაც საერთო კრებაზე შერწყმის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს ხმის უფლება ჰქონდათ.<sup>50</sup>

რაც შეეხება ამ საკითხის რეგულირებას საქართველოში, „მენარმეთა შესახებ“ კანონის 53<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილი მიუთითებს, რომ გამოსყიდვის მოთხოვნის უფლება აქვს იმ აქციონერს, რომელმაც „საერთო კრებაზე მხარი არ დაუჭირა ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც არსებითად ლახავს აქციონერის უფლებებს, ან ეხება საწარმოს რეორგანიზაციას“.

როგორც უკვე აღინიშნა, გამოსყიდვის მოთხოვნის უფლება აქვს როგორც ჩვეულებრივი, ისე პრივილეგირებული აქციის მფლობელებს. შესაბამისად, ვინაიდან პრივილეგირებული აქციების

45 Pittman, Corporations--Are Nonvoting Shares Entitled to Appraisal Rights, 248.

46 ჯუღელი, კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, 268.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ქართულ სამართლებრივ ლიტერატურაშიც არსებობს განსხვავებული მოსაზრება. პროფესორი დავით მაისურაძე მიიჩნევს, რომ „დასახელებული მუხლი იყენებს ტერმინს – „მხარი არ დაუჭირა“, რაც მიგვანიშნებს აქციონერის ხმის უფლებაზე, კერძოდ, მხოლოდ იმ აქციონერს შეიძლება ჰქონდეს საზოგადოების მიერ აქციითა გამოსყიდვის უფლება, რომელსაც აქვს ხმის უფლება“. იხ. მაისურაძე, „კორპორაციულ-სამართლებრივი თავდაცვითი ღონისძიებები“, 40.

47 არც „მენარმეთა შესახებ“ და არც „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ კანონი არ აწესებს რაიმე შეზღუდვას ამ საკითხთან დაკავშირებით.

48 „საჯარო ფასიანი ქაღალდებზე საკუთრების უფლების სააღრიცხვო თარიღის დადგენის, ჩანაწერით ფლობის, აქციითა შესაკუთრებიდან გამომდინარე, უფლება-მოვალეობათა განსაზღვრის და საჯარო ფასიანი ქაღალდებზე საკუთრების უფლების წარმოშობის, შეცვლის და შეწყვეტის პროცედურების წესის“ დამტკიცების თაობაზე საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2010 წლის 22 თებერვლის №20/01 ბრძანების მიხედვით, საერთაშორისო დეპოზიტარული ხელწერილი არის საერთაშორისო დეპოზიტარის მიერ გაცემული ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს მისი მფლობელის უფლებებს რეზიდენტი ემიტენტის მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდების განსაზღვრულ რაოდენობაზე.

49 Model Business Corporation Act (MBCA), § 13.01. (2): “Beneficial shareholder” means a person who is the beneficial owner of shares held in a voting trust or by a nominee on the beneficial owner’s behalf.”

50 DGCL § 262 (b).

მფლობელებს, კანონმდებლობის მიხედვით, არ აქვთ ხმის უფლება პარტნიორთა საერთო კრებაზე, ამიტომ მათ გამოსყიდვის მოთხოვნის უფლება წარმოეშობათ უპირობოდ, საზოგადოების მიერ იმ გადანყვეტილების მიღებასთან ერთად, რომლებსაც ისინი არ ეთანხმებიან. უფლების განსახორციელებლად კი მათ კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უნდა მიმართონ საზოგადოებას და მის წინაშე გამოთქვან სურვილი მათი აქციების გამოსყიდვის შესახებ.

რაც შეეხება ჩვეულებრივი აქციის მფლობელ აქციონერებს, მათ შემთხვევაში ისმის კითხვა: მათ ეს უფლება წარმოეშობათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხმას მისცემენ განსახორციელებელი ცვლილების წინააღმდეგ, თუ იმ შემთხვევაშიც, როდესაც ისინი, მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილი არიან საერთო კრებაზე, მონაწილეობას არ მიიღებენ ხმის მიცემის პროცესში, ან საერთოდ არ გამოცხადდებიან საერთო კრებაზე?

ვინაიდან „მენარმეთა შესახებ“ კანონი იყენებს ტერმინს – „მხარი არ დაუჭირა“, ამიტომ, გამოდის, რომ ამ უფლებით სარგებლობისათვის აქციონერს ხმის მიცემის პროცესში მონაწილეობა არ ევალდება. საკმარისია, თუკი მას გადანყვეტილების სასარგებლოდ ხმა არ მიუცია. შესაბამისად, გამოსყიდვის მოთხოვნის უფლებით სარგებლობენ აქციონერებიც, რომელთაც ხმის მიცემის პროცესში მონაწილეობა არ მიუღიათ ან [ნებისმიერი მოტივით თუ მიზეზით] აქციონერთა საერთო კრებას არ ესწრებოდნენ.<sup>51</sup>

### 3. აქციათა გამოსყიდვის შემთხვევები

აქციონერის უფლება, საზოგადოებას მოსთხოვოს საკუთარი აქციების გამოსყიდვა, არ არის უპირობო უფლება, არამედ იგი დაკავშირებულია საზოგადოების სხვა აქციონერების მიერ კონკრეტული გადანყვეტილებების მიღებასთან. დელავერისა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილია, თუ რა გადანყვეტილებები უნდა იქნეს მიღებული აქციონერთა კრების მიერ იმისათვის, რომ აქციონერს წარმოეშვას გამოსყიდვის უფლება, თუმცა ეს საკითხი მოითხოვს გარკვეულ განმარტებას, განსაკუთრებით ქართული კანონმდებლობის შემთხვევაში.

#### 3.1. აქციათა გამოსყიდვის შემთხვევები დელავერის კანონმდებლობის მიხედვით

დელავერის სამართლის მიხედვით, გამოსყიდვის მოთხოვნის უფლება აქციონერს წარმოეშობა, თუ ის მხარს არ დაუჭერს სანარმოს შერწყმის შესახებ გადანყვეტილებას. დელავერის საკორპორაციო სამართლის მიხედვით, შერწყმა შესაძლებელია იყოს ორი სახის: პირველი – ეს არის მიერთება (merger) და გაერთიანება (consolidation). მიერთებად განიშარტება შემთხვევა, როდესაც ხდება ორი ან მეტი კორპორაციის შერწყმა ერთ კორპორაციად, რომელიც არის ერთ-ერთი მათგანი, ხოლო გაერთიანება სახეზეა, როდესაც ორი ან მეტი კორპორაცია ერთიანდება და ქმნის ახალ კორპორაციას.<sup>52</sup>

კანონმდებლობის მიხედვით, გამოსყიდვის მოთხოვნის უფლება ვრცელდება შერწყმის იმ სახეებზე, რომლებიც მითითებულია თავად დელავერის საკორპორაციო სამართალში,<sup>53</sup> იმ გამონაკლისების

51 ჯუღელი, კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, 268.

52 DGCL, § 251.

53 DGCL, §§ 251-58, 263-64.

გათვალისწინებით, რომლებიც ვრცელდება სხვადასხვა კლასისა და სერიის აქციებსა და სააქციო საზოგადოების ცალკეულ ტიპებზე.<sup>54</sup>

შესაბამისად, გამოსყიდვის მოთხოვნის უფლება აქციონერს აქვს, თუ განხორციელებულია: ადგილობრივი (შტატის) კომპანიების, ადგილობრივი და უცხოური კორპორაციების, დედა და შვილობილი კომპანიების, ადგილობრივი კომპანიისა და სააქციო ასოციაციის, ადგილობრივი არასააქციო საზოგადოებების, ადგილობრივი და უცხოური არასააქციო საზოგადოებების, ადგილობრივი სააქციო და არასააქციო საზოგადოებების, ადგილობრივი და უცხოური სააქციო და არასააქციო საზოგადოებების,<sup>55</sup> ადგილობრივი კორპორაციებისა და ამხანაგობის, ადგილობრივი კორპორაციისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების<sup>56</sup> შერწყმა.

### 3.2. აქციათა გამოსყიდვის შემთხვევები ქართული კანონმდებლობის მიხედვით

„მენარმეთა შესახებ“ კანონის 53<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „აქციონერს უფლება აქვს, საზოგადოებას მოსთხოვოს თავისი აქციების შეფასება და გამოსყიდვა, თუ მან საერთო კრებაზე მხარი არ დაუჭირა ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც არსებითად ლახავს აქციონერის უფლებებს, ან ეხება სანარმოს რეორგანიზაციას“.

შესაბამისად, დელავერის შტატისგან განსხვავებით, სადაც უფლების წარმოშობა მხოლოდ შერწყმის შესახებ გადაწყვეტილების მიღებასთანაა დაკავშირებული, ქართულ კანონმდებლობაში, როგორც ვხედავთ, აქციონერის უფლება, რომ მოსთხოვოს საზოგადოებას საკუთარი აქციების გამოსყიდვა, არსებობს ორ შემთხვევაში: პირველი, როდესაც საერთო კრების მიერ ხდება ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც „არსებითად ლახავს აქციონერის უფლებებს“<sup>57</sup> და, მეორე, როდესაც ხდება სანარმოს რეორგანიზაცია.

#### 3.2.1. აქციონერის უფლებების „არსებითი შელახვა“

აქციონერის უფლებების „არსებითი შელახვა“ საკმაოდ ბუნდოვანი ტერმინია და აუცილებელია, განიმარტოს, რა შემთხვევებში უნდა ჩაითვალოს აქციონერის უფლებები არსებითად შელახულად. ვფიქრობ, ასეთ შემთხვევაში უნდა იგულისხმებოდეს ისეთი არსებითი ცვლილების განხორციელება, რომელსაც აშკარა ზეგავლენა აქვს აქციონერის უფლება-მოვალეობებზე.<sup>58</sup> მსგავს განმარტებას იზიარებენ საქართველოს საერთო სასამართლოებიც. ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ „აქციონერთა უფლებები არსებითად შელახულად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, როცა აქციონერთა კრება აქციონერის ნების საწინააღმდეგოდ მიიღებს გადაწყვეტილებას, რომელიც ცვლის საზოგადოებაში არსებულ ურთიერთობებს და აქციონერის სტატუსსა და მდგომარეობას სააქციო საზოგადოებაში [...]“<sup>59</sup>

54 McLellan, “An Appraisal of Appraisal Rights in Delaware,” 111. ძირითადი გამონაკლისი შემდეგია: „გამოსყიდვის უფლება არ ვრცელდება იმ კორპორაციის აქციებზე, რომელთა აქციები განთავსებულია ეროვნულ საფონდო ბირჟაზე, ან, რომელსაც ჰყავს 2000 მფლობელზე მეტი“, DGCL § 262(b)(1).

55 DGCL, §§ 251-258.

56 DGCL, §§ 263- 264.

57 მაისურაძე, კორპორაციულ-სამართლებრივი თავდაცვითი ღონისძიებები, 40.

58 მსგავს განმარტებას იზიარებს MBCA. იხ. American Bar Association, The Model Business Corporation Act Annotated, (2005): 13-17.

59 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილება 3კ/585-01; იხ. აგრეთვე თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება 2/5423-13.



მაშასადამე, ყველა ის გადაწყვეტილება, რომელიც არის არსებითი და ცვლის საწარმოში აქციონერის სტატუსსა და მდგომარეობას და ზეგავლენას ახდენს მის უფლება-მოვალეობებზე, უნდა ჩაითვალოს „არსებით ცვლილებად“, რომელიც ლახავს აქციონერის უფლებას და საფუძვლად უნდა დაედოს გამოსყიდვის უფლების წარმოშობას. ამგვარ გადაწყვეტილებებად, აშშ-ის სხვადასხვა შტატისა და მოდელურ კანონმდებლობებს თუ დავეყრდნობით, უნდა მივიჩნიოთ: აქციათა გაცვლა (share exchange); ძირითადი აქტივების გასხვისება (disposition of assets); წესდებაში ცვლილება (amendments to the articles); სტატუსის ან საქმიანობის ადგილის შეცვლა (conversion or domestication).<sup>60</sup> ამასთანავე, აქციონერების უფლებების შემლახველ არსებით ცვლილებად უნდა მივიჩნიოთ ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომლითაც იცვლება საწარმოს საქმიანობის მიზანი ან სახე,<sup>61</sup> ან მიღებული გადაწყვეტილება უარყოფით ზეგავლენას უნდა ახდენდეს აქციონერის ქონებრივ ინტერესზე.<sup>62, 63</sup>

საზოგადოების მიერ მიღებული გადაწყვეტილების, აქციონერის უფლებებისა და ინტერესების არსებითად შემლახვად დაკვალიფიცირების საკითხის გადაწყვეტის მიზნით, უკეთესი იქნება, თუ განვიხილავთ რამდენიმე საქმეს საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკიდან და შევაფასებთ მათ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, კომპანია „X“ იყო ერთ-ერთი ქართული ბანკის სს „Y“-ის აქციონერი და ფლობდა ამ საზოგადოებაში 2127 ჩვეულებრივ აქციას. 2000 წელს ჩატარდა ბანკის აქციონერთა საერთო კრება, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება საზოგადოების წესდებაში ცვლილებათა მთელი რიგის შეტანის თაობაზე. უმცირესობაში მყოფი აქციონერი კომპანია „X“ არ დაეთანხმა და მხარი არ დაუჭირა ამ კრებაზე გარკვეული გადაწყვეტილებების მიღებას, რადგანაც მიიჩნია, რომ ისინი არსებითად ლახავდნენ ამ კომპანიის ინტერესებს. უპირველეს ყოვლისა, ეს გადაწყვეტილებები ლახავდნენ კომპანიის, როგორც სს „Y“-ის აქციონერის, ინტერესებს. საბოლოო ჯამში, კრებამ მაინც მიიღო გადაწყვეტილება (იგი უფლებამოსილი იყო) წესდებაში გარკვეული ცვლილებების შეტანის თაობაზე. თავის მხრივ, წინამდებარე ცვლილებები (უპირველეს ყოვლისა, კომპანია „X“-ის ინტერესებიდან გამომდინარე) აწესებდა შეზღუდვებს აქციათა გასხვისებასთან დაკავშირებით<sup>64</sup>. ამიტომ აქციონერმა (კომპანია „X“-მა) მიიჩნია, რომ ეს ცვლილება უშუალოდ ეხებოდა მისი აქციიდან გამომდინარე ქონებრივ უფლებას. მისი მოსაზრების თანახმად, აქციათა გადაცემაზე შეზღუდვების დანესებით კომპანიის (აქციონერის) უფლება, თავისუფლად განეკარგა მის კანონიერ საკუთრებაში არსებული აქციები, აშკარად ილახებოდა და მისი ქონებრივი ინტერესები უმრავლესობაში მყოფი აქციონერების მიერ სრულად იქნა იგნორირებული. აქედან გამომდინარე, უმცირესობაში მყოფ აქციონერს, „მენარმეთა შესახებ“ კანონის 53<sup>1</sup>-ე მუხლის თანახმად, უფლება ჰქონდა, საზოგადოებისათვის მოეთხოვა მისი კუთვნილი აქციების შეფასება და გამოსყიდვა“.<sup>65</sup> სასამართლომ ამ შემთხვევაში გაიზიარა მოსარჩელის არგუმენტაცია და ზემოთ მითითებული ცვლილებები მიიჩნია არსებითად, რაც ლახავდა აქციონერის უფლებას.<sup>66</sup>

60 MBCA § 13.02(a). იხ. Siegel, An Appraisal of the Model Business Corporation Act's Appraisal Rights Provisions, Duke Journal of Law and Contemporary Problems 74, no. 1, (2011): 232.

61 Looney Jr, Dissenting Minority Stockholder's Right of Appraisal,“ 87.

62 მაისურაძე, კორპორაციულ-სამართლებრივი თავდაცვითი ღონისძიებები, 40.

63 აუცილებელია აღინიშნოს, რომ მითითებული შემთხვევები მხოლოდ საორიენტაციოდ გამოდგება და სასამართლომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით, უნდა იმსჯელოს და გადაწყვიტოს, ლახავს თუ არა ესა თუ ის გადაწყვეტილება მინორიტარი აქციონერის უფლებებს.

64 ამასთანავე, ცვლილებების თანახმად, ნებისმიერი დავა, დაკავშირებული წესდებასთან, მის დარღვევასთან, ან დავა აქციონერთა შორის, განხილული უნდა ყოფილიყო ნიუ-იორკის საარბიტრაჟო უწყების მიერ.

65 მაისურაძე, კორპორაციულ-სამართლებრივი თავდაცვითი ღონისძიებები, 40-41.

66 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილება 3კ/585-01.

სხვა საქმეში თბილისის საქალაქო სასამართლომ არ ცნო აქციათა გამოსყიდვის უფლება წარმოშობილად. ამ საქმეში მოსარჩელე უთითებდა, რომ კრების გადაწყვეტილებით შეილახა მისი, როგორც აქციონერის, უფლებები, ვინაიდან კრების გადაწყვეტილებით დამტკიცდა წესდების ახალი რედაქცია, რომლის მიხედვით, საერთო კრების კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით გაუქმდა 85%-იანი კვორუმი და იგი შემცირდა 75%-ამდე იმ საკითხებთან მიმართებით, სადაც უფრო დაბალი კვორუმი კანონით იყო აკრძალული, ხოლო ყველა სხვა შემთხვევაში შეიცვალა ყველაზე დაბალი კვორუმი – 50%+1.<sup>67</sup> სასამართლომ მიუთითა: „მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელემ ვერ დაადასტურა, რომ მის მიერ მითითებული კრების გადაწყვეტილებით არსებითად შეილახა მისი უფლებები“.<sup>68</sup> თუმცა ამ საქმეში თვალში საცემია სასამართლოს არასრულფასოვანი მსჯელობა უფლების არსებითად შელახვასთან დაკავშირებით. კერძოდ, სასამართლოს ამ შემთხვევაში უნდა ემსჯელა, 85%-იანი კვორუმის შემცირება ზოგიერთ შემთხვევაში 75%-ამდე, ზოგიერთ შემთხვევაში – 50%+1-ამდე, ახდენდა თუ არა აქციონერის უფლებებზე ზემოქმედებას და ხომ არ ცვლიდა მის სტატუსს ან მდგომარეობას საზოგადოებაში. ვინაიდან ცვლილება შეეხებოდა კვორუმის შემცირებას, სასამართლოს უნდა გაერკვია, კომპანიის აქციათა რამდენი პროცენტის მფლობელი იყო მოსარჩელე. თუ სასამართლო დაადგინდა, რომ იგი იყო აქციების 15%-ზე მეტის მფლობელი, მაშინ კვორუმის შემცირების შესახებ გადაწყვეტილება უნდა მიეჩნია არსებით ცვლილებად, რომელიც ლახავდა აქციონერის უფლებას, ვინაიდან მას წესდების ახალი რედაქციით წაერთმეოდა შესაბამისი გადაწყვეტილების დაბლოკვის (ვეტოს) უფლება (წაერთმეოდა პრაქტიკული შესაძლებლობა, გადამწყვეტი ზეგავლენა მოეხდინა კრების მიერ მისაღებ გადაწყვეტილებაზე), რის გამოც მისი უფლებები არსებითად ილახებოდა.

მინორიტარ აქციონერს გამოსყიდვის უფლებაზე უარი ეთქვა კიდევ ერთ საქმეში.<sup>69</sup> მოსარჩელე აქციონერი ამტკიცებდა, რომ აქციონერთა საერთო კრებაზე აქციონერთა უმრავლესობის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება კომპანიის 3 წლის მოგების დივიდენდად არგანაწილების შესახებ, რომელსაც არ დაეთანხმა აქციათა 8%-ის მფლობელი მოსარჩელე, რითაც არსებითად შეილახა მისი, როგორც მინორიტარი აქციონერის უფლებები.

ამ საქმეზე სასამართლომ მიუთითა, რომ მიღებული გადაწყვეტილება არსებითად არ ლახავდა აქციონერის უფლებებს, ვინაიდან დივიდენდის მიღების უფლება არ არის აბსოლუტური უფლება, ხოლო უფლების შელახვა იქნებოდა, „თუ დადგინდებოდა, რომ მოხდა დივიდენდის განაწილება და მოსარჩელეს თანხა არ გაუნაწილეს.“<sup>70</sup>

განსხვავებით წინა გადაწყვეტილებისაგან,<sup>71</sup> ეს გადაწყვეტილება სამართლებრივი თვალსაზრისით მართებულად უნდა შეფასდეს, ვინაიდან დივიდენდის გაუნაწილებლობის შესახებ გადაწყვეტილების მიღება საერთოდ არ შეიძლება განხილულ იქნეს ცვლილებად, მით უფრო, არსებით ცვლილებად, რომელიც აქციონერის უფლება-მოვალეობებზე არსებით გავლენას მოახდენს და შელახავს მას. ამასთანავე, თუ აქციონერი მიიჩნევს, რომ დივიდენდის გაუნაწილებლობით ხდება დომინანტი<sup>72</sup> აქციონერის მიერ თავისი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, ასეთ შემთხვევაში, კანონი მას აძლევს უფლებას, მიმართოს სასამართლოს და იდავოს მისთვის განზრახ ზიანის მიყენების მიზნით დივიდენდის გაუნაწილებლობის მართლწინააღმდეგობის შესახებ.<sup>73</sup>

67 თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება N2/7228-2011.

68 იქვე.

69 თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება N2/5423-13.

70 იქვე.

71 თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება N2/7228-2011.

72 „მენარმეთა შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, „დომინანტად ითვლება პარტნიორი ან ერთად მოქმედ პარტნიორთა ჯგუფი, რომელსაც აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა, გადამწყვეტი ზეგავლენა მოახდინოს პარტნიორთა კრების კენჭისყრის შედეგზე.“

73 უზენაესი სასამართლოს განმარტებით, „დივიდენდის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება სწარმოს დისკრეციაა, [...] და ამ გადაწყვეტილების მიღებაში სასამართლო უნდა შეიჭრას, თუ უფლებამოსილ პირთა მხრიდან ადგილი ექნება არაკეთილსინდისიერ ქმედებებს, პარტნიორის უფლებების განზრახ უგულვებლყოფას ან დისკრეცის ბოროტად გამოყენებას“. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება ას-863-813-2015.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, როდესაც სასამართლოების წინაშე დადგება საკითხი, არის თუ არა კონკრეტული გადაწყვეტილება აქციონერის უფლებების არსებითად შემლახავი, სასამართლოებმა უნდა იმსჯელონ, ამ გადაწყვეტილებით იცვლება თუ არა აქციონერის სტატუსი კორპორაციაში და ხდება თუ არა მისი უფლება-მოვალეობების ცვლილება, ან ხომ არ ადგება არსებითი ზიანი მის კანონიერ (განსაკუთრებით ქონებრივ) ინტერესს. ამასთანავე, კონკრეტული გადაწყვეტილების არსებით დარღვევად მიჩნევა-არმიჩნევის შესახებ მსჯელობისას აუცილებელია, სასამართლოებმა მხედველობაში მიიღონ აქციათა გამოსყიდვის მოთხოვნის უფლების, როგორც საკორპორაციო სამართლის ერთ-ერთი ინსტიტუტის, ზოგადი მიზნები.

### 3.2.2. „საწარმოს რეორგანიზაცია“

გადაწყვეტილების მეორე სახე, რომლის დროსაც გამოსყიდვის მოთხოვნის უფლება წარმოიშობა, არის რეორგანიზაცია. შესაბამისად, თუ აქციონერთა კრებაზე მინორიტარმა აქციონერმა მხარი არ დაუჭირა საწარმოს რეორგანიზაციის შესახებ გადაწყვეტილებას, მას წარმოეშობა გამოსყიდვის უფლება.

„მენარმეთა შესახებ“ კანონის მიხედვით, საწარმოს რეორგანიზაციის სახეებია: ა) გარდაქმნა (სამართლებრივი ფორმის ცვლილება); ბ) შერწყმა (გაერთიანება,<sup>74</sup> მიერთება<sup>75</sup>); გ) გაყოფა<sup>76</sup> (დაყოფა, გამოყოფა).<sup>77</sup>

აღნიშნულიდან გამომდინარე, თუ საზოგადოების აქციონერთა კრებაზე შესაბამისი უფლებამოსილების მქონე აქციონერებმა გადაწყვეტილება მიიღეს, რეორგანიზაციის ზემოთ მითითებული რომელიმე ფორმის განხორციელების შესახებ აქციონერს, რომელიც არ ეთანხმება ამ გადაწყვეტილებას, უფლება აქვს, საზოგადოებას უპირობოდ მოსთხოვოს საკუთარი აქციების გამოსყიდვა. ასეთ შემთხვევაში აქციონერს არ ეკისრება ვალდებულება, დამატებით ამტკიცოს, რომ რეორგანიზაციის შესახებ გადაწყვეტილებამ არსებითად შელახა მისი უფლებები, რადგან „მენარმეთა შესახებ“ კანონით (ვინაიდან მოხდა ამ საფუძვლის ცალკე გამოყოფა) რეორგანიზაციის გადაწყვეტილება ნებისმიერ შემთხვევაში მიჩნეულია ისეთად, რომელიც არსებით ზეგავლენას ახდენს აქციონერის უფლებებსა და ვალდებულებებზე.

## 4. აქციათა გამოსყიდვის პროცედურის სამართლებრივი რეგულირება

ზემოთ მითითებული მატერიალური საფუძვლების არსებობისას აქციონერს წარმოეშობა უფლება, საზოგადოებას მოსთხოვოს აქციათა შეფასება და გამოსყიდვა, თუმცა იმისათვის, რომ ეს განხორციელდეს, არსებობს მთელი რიგი პროცედურული მოთხოვნებისა, რომლებიც ადგენენ ამ პროცესის დროს, როგორც

74 „მენარმეთა შესახებ“ კანონის მე-14<sup>ა</sup> მუხლი: გაერთიანება სახეზეა, როდესაც ორი ან რამდენიმე საწარმო ერთიანდება ერთ ახალ საწარმოდ.

75 „მენარმეთა შესახებ“ კანონის მე-14<sup>ა</sup> მუხლი: მიერთება სახეზეა, როდესაც ერთი ან რამდენიმე საწარმო უერთდება სხვა საწარმოს და შედეგად არსებობას აგრძელებს ერთ-ერთი მათგანი.

76 გაყოფა სახეზეა, როდესაც ერთი საწარმო იყოფა ორ ან ორზე მეტ საწარმოდ და ისინი საქმიანობას აგრძელებენ როგორც დამოუკიდებელი საწარმოები, საკუთარი სამართლებრივი ფორმით. აღსანიშნავია, მენარმეთა შესახებ კანონის მე-14<sup>ა</sup> მუხლის პირველი ნაწილი განმარტავს, რომ გაყოფა შეიძლება იყოს ორი სახის – დაყოფა და გამოყოფა, თუმცა ამავე მუხლის მე-5 ნაწილი არ საუბრობს ცალ-ცალკე მათზე და არ აკონკრეტებს, თუ რა განსხვავებაა მათ შორის, არამედ იგი მიუთითებს, ზოგადად, გაყოფის სამართლებრივ ბუნებაზე.

77 „მენარმეთა შესახებ“ კანონის მე-14<sup>ა</sup> მუხლი.

კორპორაციის, ისე „პროტესტანტი“ აქციონერის უფლება-მოვალეობებს და რომლებიც დაცული უნდა იყოს, რათა გამოსყიდვა განხორციელდეს (ან აქციონერს უარი ეთქვას უფლების განხორციელებაზე).

კერძოდ, დელავერის სამართლის მიხედვით, აქციონერი, რომელსაც სურს გამოსყიდვის უფლებით სარგებლობა, უნდა დაემორჩილოს მრავალ პროცედურულ მოთხოვნას.<sup>78</sup> კონკრეტულად კი, მან საზოგადოებას უნდა გაუგზავნოს ე.წ. შერწყმისწინა (pre-merger) შეტყობინება; იგი განგრძობითად უნდა ფლობდეს აქციებს შერწყმის განხორციელების ეფექტური დღისთვის; და მან ხმა არ უნდა მისცეს შემოთავაზებულ მიერთებას ან გაერთიანებას.<sup>79</sup> რომელიმე ამ მოთხოვნის/ნაბიჯის დაუკმაყოფილებლობა იწვევს გამოსყიდვის უფლების დაკარგვას.<sup>80</sup>

მსგავსად დელავერის სამართლისა, „მენარმეთა შესახებ“ კანონიც ითვალისწინებს კონკრეტულ მოთხოვნებს აქციონერისთვის. კერძოდ, ქართული კანონმდებლობის მიხედვითაც, აქციონერმა, რომელიც კრების მოწვევის სააღრიცხვო დღისათვის და გადაწყვეტილების მიღების დროს აქციებს ფლობს საზოგადოებაში, მხარი არ უნდა დაუჭიროს შესაბამის გადაწყვეტილებას და გამოსყიდვის უფლებით სარგებლობის მოთხოვნით შეტყობინება უნდა გაუგზავნოს საზოგადოებას, რის შემდეგ საზოგადოება ვალდებულია, შეაფასოს და გამოისყიდოს აქციები, ხოლო თუ აქციათა შეფასებას და გამოსყიდვაზე უარის თქმას ან გამოსყიდვის პირობებს აქციონერი არ ეთანხმება, მას უფლება უჩნდება, მიმართოს სასამართლოს.<sup>81</sup>

#### 4.1. აქციათა გამოსყიდვის პროცედურის დანყება დელავერისა და საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით

დელავერის საკორპორაციო სამართლის მიხედვით, პირველადი ვალდებულება გამოსყიდვის უფლებასთან დაკავშირებით აკისრია თავად საზოგადოებას.<sup>82</sup> კორპორაცია ვალდებულია, აქციონერს აქციონერთა კრებამდე ოცი დღით ადრე გაუგზავნოს გამოსყიდვის უფლების შესახებ შეტყობინება.<sup>83</sup> შეტყობინება უნდა შეიცავდეს კანონის ასლს და ანვდიდეს აქციონერს გამოსყიდვის უფლების განხორციელების დეტალურ განმარტებას.<sup>84</sup> იმ შემთხვევაში, თუ კომპანია არ შეასრულებს ამ მოთხოვნას, სასამართლოს შეუძლია, აქციონერს დართოს უფლება, განახორციელოს კვაზიგამოსყიდვის უფლება (quasi-appraisal remedy).<sup>85</sup> ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ ეს პირდაპირ არ წერია კანონში, დირექტორებს აქვთ ფიდუციური ვალდებულება, აქციონერებს მიაწოდონ „მათთვის ხელმისაწვდომი არსებითი ფაქტები, რომლებიც მათ შესაძლებლობას მისცემს, მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილება, დაუჭირონ თუ არა მხარი მიერთების ან გაერთიანების გადაწყვეტილებას“.<sup>86</sup> არსებითია ფაქტები, რომელთა მიმართ ივარაუდება, რომ გონიერი აქციონერი მას მიიჩნევს მნიშვნელოვნად ხმის მიცემის

78 DGCL, 262 (a).

79 იქვე.

80 McLellan, An Appraisal of Appraisal Rights in Delaware, 112.

81 მენარმეთა შესახებ კანონის 53<sup>1</sup>-ე მუხლი.

82 DGCL, § 262(d)(1).

83 McLellan, An Appraisal of Appraisal Rights in Delaware, 112.

84 DGCL, § 262(d)(1).

85 ob. Schumer, Quasi- Appraisal: The Unexplored Frontier of Stockholder Litigation?, HLS Forum on Corporate Governance and Financial Regulation, (2012).

კვაზიგამოსყიდვა ხორციელდება მაშინ, როდესაც გამოსყიდვის უფლების საკანონმდებლო მოთხოვნები დაცული არ არის, თუმცა „პროტესტანტი“ აქციონერი მაინც არის უფლებამოსილი, მიმართოს სასამართლოს სამართლიანი ფასის განსაზღვრის მოთხოვნით.

86 McLellan, An Appraisal of Appraisal Rights in Delaware, 112.



შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად.<sup>87</sup> მაგალითად, კომპანიას შეიძლება ჰქონდეს ვალდებულება, შერწყმისწინა შეტყობინებით აქციონერს მიანოდოს ფინანსური ინფორმაცია.<sup>88</sup>

აღნიშნულის შემდეგ, ხმის მიცემამდე, „პროტესტანტმა“ აქციონერმა კორპორაციას უნდა მიმართოს წერილობითი მოთხოვნით,<sup>89</sup> რომელიც კორპორაციას მისცემს შესაძლებლობას, ტრანსაქციის განხორციელებამდე შეაფასოს „გამოსყიდვის რისკი“.<sup>90</sup> მოთხოვნა კორპორაციას „გონივრულად უნდა აცნობებდეს“ აქციონერის ვინაობას და სურვილს, გამოიყენოს გამოსყიდვის უფლება.<sup>91</sup> ამასთანავე, აქციონერები უფლებამოსილნი არიან, თუ მათ სარჩელი ჯერ კიდევ არ აქვთ შეტანილი სასამართლოში, ნებისმიერ დროს შერწყმის ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან (ეფექტური დღიდან) 60 დღის განმავლობაში უკან გამოიხმონ მოთხოვნა და ამით დაეთანხმონ განხორციელებულ ტრანსაქციას.<sup>92</sup>

შერწყმის ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან (ეფექტური დღიდან) 120 დღის განმავლობაში „პროტესტანტი“ აქციონერს უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს მისი აქციების სამართლიან ფასად შეფასება და გამოსყიდვა.<sup>93</sup> ამის შემდეგ პროცედურა ინაცვლებს სასამართლოში, რომელმაც უნდა მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება.<sup>94</sup>

დელავერის საკორპორაციო სამართლის მსგავსად, ქართული სამენარმეო სამართალიც გამოსყიდვის პროცედურის დასაწყებად პირველი ნაბიჯის გადადგმას კორპორაციას ავალდებულებს. კერძოდ, კორპორაციამ, რომელიც აპირებს, საერთო კრებაზე გადაწყვეტილება მიიღოს ისეთი საკითხის შესახებ, რომელიც არსებითად შელახავს აქციონერის უფლებებს ან ეხება საწარმოს რეორგანიზაციას, შესაბამისი საერთო კრების მოწვევის შესახებ შეტყობინებაში დეტალურად უნდა აღწეროს გადასაწყვეტი საკითხი, მასთან დაკავშირებული გამოსყიდვის მოთხოვნის უფლება და მისი განხორციელების წესი.<sup>95</sup> ასეთი შეტყობინების გაგზავნაზე პასუხისმგებელი პირები არიან სამეთვალყურეო საბჭო ან დირექტორები.<sup>96</sup> ამასთანავე, აუცილებელია, კრება ჩატარდეს კრების მოწვევის შესახებ შეტყობინების საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ განსაზღვრულ საერთოსახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნებიდან ან აქციონერებისათვის მოსაწვევის გაგზავნიდან 20 დღის შემდეგ, რაც ნიშნავს, რომ შეტყობინება, რომელშიც განმარტებული იქნება გამოსყიდვის პროცედურები, აქციონერს უნდა გაეგზავნოს, ან უნდა გამოქვეყნდეს კრების ჩატარებიდან 20 დღით ადრე.<sup>97</sup>

რაც შეეხება კონკრეტულად შეტყობინების შინაარსსა და მასზე თანდართულ დოკუმენტებს, ამ შემთხვევაში, დელავერის კანონმდებლობის მსგავსად, დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს ფიდეციური ვალდებულებებიდან გამომდინარე, უნდა ივარაუდებოდეს, რომ აქციონერს უნდა მიენოდოს ყველა ის დოკუმენტი, რომელიც მოიაზრება, რომ ზეგავლენას იქონიებს მის მიერ გადაწყვეტილების მიღებაზე.

87 იქვე.

88 იქვე, Gilliland v. Motorola, Inc., 859 A.2d 80 (Del. Ch. 2004).

89 DGCL, § 262(d)(1) (2013).

90 McLellan, An Appraisal of Appraisal Rights in Delaware, 113.

შერწყმისწინა შეტყობინება კორპორაციას აწვდის ინფორმაციას „პროტესტანტი“ აქციონერებისა და გამოსასყიდი აქციების რაოდენობის შესახებ. თუ სახეზეა ბევრი „პროტესტანტი“ აქციონერი, შემძენმა შესაძლოა, გარიგება ჩაშალოს.

91 DGCL, § 262(d)(1).

92 DGCL, § 262(d)(1), ამ შემთხვევაში გამოთხოვა მოითხოვს კორპორაციის წერილობით თანხმობას.

93 DGCL, § 262 (e).

94 George S. Geis, An Appraisal Puzzle, Northwestern University Law Review 105, no. 4, (2011): 1645-1647.

95 „მენარმეთა შესახებ კანონის 53<sup>-ე</sup> მუხლის მე-2 ნაწილი.

96 მენარმეთა შესახებ კანონის 54-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

97 იქვე.

ამასთანავე, აუცილებელია, პასუხი გაეცეს კითხვას, იარსებებს თუ არა აქციათა გამოსყიდვის უფლება იმ შემთხვევაში, თუ დაგზავნილ შეტყობინებაში არ იქნება აღწერილი ასეთი უფლების არსებობა ან მისი განხორციელების წესი? რა თქმა უნდა, იარსებებს. არასაკმარისი ინფორმაციის ასახვა დაგზავნილ შეტყობინებაში კორპორაციის ხელმძღვანელების მიერ საკუთარი მოვალეობების აქციონერების წინაშე სრულყოფილად შეუსრულებლობასა და, შესაბამისად, აქციონერისთვის კანონით მინიჭებული უფლების ხელყოფაზე მეტყველებს, რაც შეიძლება, ზიანის ანაზღაურების საფუძველი გახდეს. საერთო კრების მონწვევა ისე, რომ დაგზავნილ შეტყობინებაში არასაკმარისად იყოს ასახული საზოგადოების მიერ აქციათა გამოსყიდვის უფლება, შეიძლება განხილულ იქნეს კრების კანონის ნორმათა უხეში დარღვევით მონწვევად, რაც, „მენარმეთა შესახებ“ კანონის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ერთ წლამდე გაზრდის კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების ხანდაზმულობის ვადას.<sup>98</sup>

აღნიშნულის შემდგომ, როდესაც მოხდება საერთო კრების მიერ გადაწყვეტილების მიღება, რომელიც არსებითად ლახავს აქციონერის უფლებებს, ან ეხება საწარმოს რეორგანიზაციას, აქციონერი, თუ მას სურს აქციათა გამოსყიდვის უფლებით სარგებლობა, ვალდებულია, კრების ჩატარებიდან 45 დღის ვადაში წერილობით მიმართოს საზოგადოებას და მოსთხოვოს მის საკუთრებაში არსებული აქციების შეფასება და გამოსყიდვა.<sup>99</sup> იმ შემთხვევაში, თუ აქციონერი არასაპატიო მიზეზით<sup>100</sup> გაუშვებს ამ ვადას, მას კრების ამ კონკრეტულ გადაწყვეტილებასთან მიმართებით ერთმევა გამოსყიდვის უფლება.

აქციონერის მიმართვის შემდგომ საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭომ<sup>101</sup> უნდა იმსჯელოს, აკმაყოფილებს თუ არა იგი აქციონერის მოთხოვნას. ეს გულისხმობს, რომ სამეთვალყურეო საბჭო ან ამტკიცებს აქციათა გამოსყიდვას და განსაზღვრავს აქციის საბაზრო ან სამართლიან ფასს, ან აქციონერს „მენარმეთა შესახებ“ კანონის 53<sup>1</sup>-ე მუხლის მე-3 და მე-7 ნაწილების მიხედვით, უარს ეუბნება უფლების განხორციელებაზე. აღნიშნულის შესახებ გადაწყვეტილება სამეთვალყურეო საბჭომ უნდა მიიღოს 30 დღის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც გავა აქციონერისათვის გამოყოფილი საზოგადოებისადმი მიმართვის 45-დღიანი ვადა.<sup>102</sup>

თუ აქციონერი არ ეთანხმება სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებას, მას ამ გადაწყვეტილების შეტყობინებიდან 14 დღის განმავლობაში აქვს უფლება, მიმართოს სასამართლოს მისი კუთვნილი აქციების სამართლიანი/საბაზრო ღირებულებით გამოსყიდვის მოთხოვნით. იმ შემთხვევაში, თუ სამეთვალყურეო საბჭომ აქციონერს კანონით დადგენილ ვადაში არ შეატყობინა გამოსყიდვის პირობები, მაშინ 14-დღიანი გასაჩივრების ვადის ათვლა უნდა დაიწყოს იმ დღიდან, როდესაც სამეთვალყურეო საბჭოს აქციონერისთვის უნდა გაეგზავნა შეტყობინება გამოსყიდვის პირობების შესახებ.

ასეთ შემთხვევაში აქციონერი შესაძლებელია, სასამართლოში ასაჩივრებდეს საზოგადოების მიერ აქციების გამოსყიდვაზე უარის თქმას და მიიჩნევდეს, რომ არ არსებობს „მენარმეთა შესახებ“ კანონის 53<sup>1</sup>-ე მუხლის მე-3 და მე-7 ნაწილებით გათვალისწინებული გარემოებები, რომელთა დროსაც უფლების განხორციელება დაუშვებელია/საერთოდ არ წარმოიშობა, ან შესაძლებელია, იგი ასაჩივრებდეს იმ ფასს, რომელსაც მას საზოგადოება მის აქციებში სთავაზობს, ვინაიდან მიიჩნევდეს, რომ იგი არ არის სამართლიანი.<sup>103</sup>

98 მისურაძე, კორპორაციულ-სამართლებრივი თავდაცვითი ღონისძიებები, 43.

99 მენარმეთა შესახებ კანონის 53<sup>1</sup>-ე მუხლის მე-3 ნაწილის პირველი წინადადება.

100 საპატიო მიზეზად ამ შემთხვევაში უნდა ჩათვალოს ის გარემოებები, რომლებიც ასეთად ითვლება სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადის აღდგენის/მეჩერების დროს.

101 იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოებას არ ჰყავს სამეთვალყურეო საბჭო, ეს ფუნქცია უნდა შეასრულოს დირექტორატმა, თუკი წესდებით ეს კომპეტენცია სხვა ორგანოს არ აქვს მინიჭებული.

102 მენარმეთა შესახებ კანონის 53<sup>1</sup>-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილები.

103 მენარმეთა შესახებ კანონის 53<sup>1</sup>-ე მუხლის მე-6 ნაწილი.

ამის შემდეგ სასამართლომ უნდა იმსჯელოს, წარმოიშვა თუ არა გამოსყიდვის უფლება და განსაზღვროს გამოსყიდვის პირობები, კერძოდ კი „პროტესტანტი“ აქციონერის აქციათა საბაზრო/სამართლიანი ღირებულება.

#### 4.2. აქციათა შეფასება

გამოსყიდვის მოთხოვნის უფლების ეფექტურობა, მინორიტარი აქციონერის დაცვის კუთხით, იმით გამოიხატება, რომ მინორიტარი აქციონერის აქციებს სასამართლო აფასებს. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოები აქციებს არ შეაფასებს ხოლმე გამოსყიდვის უფლების მქონე მინორიტარი აქციონერის დაცვის მიზნის გათვალისწინებით, აქციონერები უარყოფენ ამ უფლებას მისაღები გადანყვეტილების (განსახორციელებელი ტრანსაქციის) ან ფიდუციური ვალდებულებების დარღვევის სარჩელის სასარგებლოდ.<sup>104</sup>

უმეტესად, აქციონერი, რომელიც აპროტესტებს საზოგადოების გადანყვეტილებას, მაშინ ცდილობს გამოსყიდვის უფლებით სარგებლობას, როდესაც მას სჯერა, რომ მისი აქციების სამართლიანი ფასი არის უფრო მაღალი, ვიდრე ის სარგებელი, რომელსაც იგი მიიღებს (მას სთავაზობენ) ტრანსაქციის განხორციელების შედეგად.<sup>105</sup>

შესაბამისად, ამ პროცესში განსაკუთრებული როლი ეკისრებათ სასამართლოებს. სასამართლოებმა, რომლებსაც „პროტესტანტმა“ აქციონერებმა მიმართეს მათი აქციების შეფასებისა და გამოსყიდვის მოთხოვნით და რომლებმაც უნდა მიიღონ საბოლოო გადანყვეტილება ამ საკითხებთან დაკავშირებით, ერთდროულად უწევთ როგორც სამართლის შემფარდებლის, ისე აქციის შემფასებელი აუდიტორის ფუნქციის შესრულება, რაც საკმაოდ დიდ ცოდნას მოითხოვს არა მარტო სამართლებრივი, არამედ ფინანსური მიმართულებითაც. შესაბამისად, სასამართლოებმა უნდა იხელმძღვანელონ მკაფიოდ ჩამოყალიბებული სტანდარტებით, რათა ამ პროცესში არ შეიღახოს არც საზოგადოების და არც მინორიტარი აქციონერის უფლებები.

პირველ რიგში, რასაც სასამართლომ აქციათა შეფასების დროს ყურადღება უნდა მიაქციოს, არის, კონკრეტული სამართლებრივი აქტი თუ რა სტანდარტს აფუძნებს აქციათა ღირებულების შეფასებისას.

იურისდიქციათა მიხედვით, ამ საკითხთან დაკავშირებით კანონთა ტექსტი (ფორმულირება) სხვადასხვაგვარია.<sup>106</sup> აშშ-ში ზოგიერთი შტატის კანონმდებლობაში საუბარია აქციონერისთვის აქციების სანაცვლოდ გადასახდელ „სამართლიანი ფასზე“;<sup>107</sup> აგრეთვე არის შტატები, რომლებიც მიუთითებენ, რომ საზოგადოებამ აქციონერს უნდა გადაუხადოს „სამართლიანი ფულადი ღირებულება“<sup>108</sup> ან „სამართლიანი საბაზრო ღირებულება“.<sup>109</sup> „მენარმეთა შესახებ“ კანონი ამ საკითხთან დაკავშირებით

104 Wertheimer, The Shareholders' Appraisal Remedy and How Courts Determine Fair Value, Duke Law Journal 47, (1998): 626.

105 Matthews, Standarts of Value, Theory and Application, 2<sup>nd</sup> ad., ed. Jay E. Fishman, Shannon P. Pratt, William J. Morrison, ([Hoboken?]: John Wiley & Sons, 2013), 102. ხელმისაწვდომია მისამართზე: [https://www.researchgate.net/publication/262602974\\_Fair\\_Value\\_in\\_Shareholder\\_Dissent\\_and\\_Oppression](https://www.researchgate.net/publication/262602974_Fair_Value_in_Shareholder_Dissent_and_Oppression).

106 Levy, Rights of Dissenting Shareholders to Appraisal and Payment, 436.

107 "fair value", მაგ.: დელავერის, ალასკის, ილინოისის, ნიუ-ჰემფშირის, ოკლაჰომის, ორეგონის, პენსილვანიის და ა.შ. შტატთა უმეტესობა ეფუძნება კორპორაციების შესახებ მოდელურ კანონს (MBCA), რომელიც მოითხოვს, რომ აქციონერს აქციების სანაცვლოდ მიეცეს სამართლიანი ფასი. MBCA § 13.02. (a) „A shareholder is entitled to appraisal rights, and to obtain payment of the fair value of that shareholder's shares, in the event of any of the following corporate actions: [...]“ იხ. Looney Jr, "Dissenting Minority Stockholder's Right of Appraisal, 89.

108 "fair cash value" მაგ. ლუიზიანა და ოჰაიო. იხ. Matthews, Standarts of Value, Theory and Application, 124.

109 „fair market value“ მაგ. კალიფორნია. იხ. California Corporate Code § 1300 (a), აგრეთვე Matthews, Standarts of Value, Theory and Application, 124.

აყალიბებს განსხვავებულ მიდგომას. კერძოდ, კანონის 53<sup>1</sup>-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, აქცია გამოსყიდული უნდა იქნეს მისი საბაზრო ღირებულებით, [...] გარდა იმ შემთხვევებისა, როცა აქციათა დაბალი ლიკვიდურობის გამო ან სხვა მიზეზებით კანონით დადგენილია აქციათა სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის სხვა წესი. შესაბამისად, ქართული კანონმდებლობა ახსენებს როგორც ტერმინ „საბაზრო ღირებულებას“, აგრეთვე ტერმინ „სამართლიან ღირებულებას“, რაც გარკვეულ ბუნდოვანებას იწვევს და განმარტებას მოითხოვს.

#### 4.2.1. აქციათა შეფასების სტანდარტი დელავერის სამართლის მიხედვით

ვინაიდან დელავერის შტატის კანონმდებლობით აქციონერის მოთხოვნის შემთხვევაში სამართლიან ფასს პირდაპირ სასამართლო განსაზღვრავს, დელავერის სასამართლოებში ჩამოყალიბებულია საკმაოდ დიდი პრაქტიკა, თუ როგორ უნდა მოხდეს მინორიტარი აქციონერის აქციების სამართლიანი ფასის განსაზღვრა.

დელავერის სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, „სამართლიანი ღირებულება“ არის „კომპანიის, როგორც აქტიური მენარმის ღირებულება,<sup>110</sup> ვიდრე მესამე პირის მიერ მასში შექმნის დროს გადახდილი თანხა“.<sup>111</sup> სასამართლო განსაზღვრავს ღირებულებას ტრანსაქციის განხორციელების მომენტამდე, შერწყმის განხორციელების შედეგების უკუღებელყოფით.<sup>112</sup> ეს მიდგომა, აგრეთვე, გამორიცხავს აქციებზე ფასდაკლებას, რომელიც განპირობებულია უმცირესობაში მყოფი აქციების გაყიდვით.<sup>113</sup>

სამართლიანი ღირებულება დამოკიდებულია სასამართლოს მიერ შერჩეულ შეფასების მეთოდზე (ან მეთოდებზე).<sup>114</sup> სასამართლოები მიიჩნევენ, რომ შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს ყველა საფინანსო სისტემაში (საზოგადოებაში) ზოგადად აღიარებული შეფასების ნებისმიერი ტექნიკა.<sup>115</sup>

დელავერის სასამართლოების მიერ უფრო მეტად გამოყენებულია სამი ძირითადი მეთოდი: ფასდაკლებული ფულადი ნაკადების მეთოდი (discounted cash flow analysis (DCF)); შესადარებელი კომპანიების მეთოდი (comparable companies analysis); და შესადარებელი ტრანსაქციების მეთოდი (comparable transactions analysis).<sup>116</sup> გარდა აღნიშნულისა, სხვადასხვა გარემოების გათვალისწინებით, სასამართლოები იყენებენ წმინდა აქტივების შეფასებაზე დაფუძნებულ მეთოდს (valuation based on net asset value) და შემოსავლისა და საბალანსო ღირებულებაზე დაფუძნებულ შეფასებას (valuation based on earnings and book value).<sup>117</sup>

ამ მეთოდებიდან შეფასების ყველაზე ხშირად გამოყენებული მეთოდი დელავერში არის ფასდაკლებული ფულადი ნაკადების (DCF) მეთოდი.<sup>118</sup> მას დელავერის სასამართლოები აღწერენ როგორც მეთოდს, რომელიც მრავალ სიტუაციაში ეკონომიკური აქტივის ფასის განსაზღვრისათვის საუკეთესოა.<sup>119</sup> ამ

110 „going-concern value“. იხ. Gearreald v. Just Care, Inc., 2012 Del. Ch. LEXIS 91 (Apr. 30, 2012): "the corporation must be valued as a going concern based upon the 'operative reality' of the company as of the time of the merger."

111 M.P.M. Enters. v. Gilbert, 731 A.2d 790, 795 (Del. 1999).

112 DGCL § 262(h) (2013). იხ. McLellan, An Appraisal of Appraisal Rights in Delaware, 114.

113 Cavalier Oil Corp. v. Harnett, 564 A.2d 1137, 1145 (Del. 1989).

114 McLellan, An Appraisal of Appraisal Rights in Delaware, 114.

115 Weinberger v. UOP, Inc., 457 A.2d 701, 713 (Del. 1983).

116 McLellan, An Appraisal of Appraisal Rights in Delaware, 114-115.

117 Wertheimer, The Shareholders' Appraisal Remedy and How Courts Determine Fair Value, 628-629.

118 იქვე, 115.

119 Cede & Co. v. Technicolor, Inc., No. CIV.A.7129, 1990 Del. Ch. LEXIS 259, (Oct. 19, 1990).



მეთოდის მიხედვით, კომპანიის ღირებულება უდრის კომპანიის დაგეგმილი (მოსალოდნელი) სამომავლო ფულადი ნაკადების ამჟამინდელ ღირებულებას.<sup>120</sup> ამ მეთოდით ფასდება ფულადი ნაკადების გეგმა დროის განსაზღვრული პერიოდისათვის, რომელიც, როგორც წესი, არის 5 წელი, რასაც ემატება კომპანიის საბოლოო ღირებულება (terminal value) გამრავლებული ფასდაკლების კოეფიციენტზე.<sup>121</sup>

გარდა შეფასების აღნიშნული მეთოდებისა, სასამართლო, ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლოა, დაეყრდნოს აქციის საბაზრო ფასს, ანუ ფასს, რომლითაც აქცია იყიდება საფონდო ბირჟაზე.<sup>122</sup>

საბოლოოდ, პრაქტიკული თვალსაზრისით, შესაძლებელია ითქვას, რომ გამოსყიდვის შესახებ სასამართლო განხილვის დროს მხარეები წარადგინენ შეფასების შესახებ საექსპერტო დასკვნას. ამ შეფასების სუბიექტურობის გამო, მხარეთა ექსპერტებს შეუძლიათ, წარმოადგინონ სხვადასხვა შეფასება (ღირებულება) მაშინაც კი, თუ ისინი გამოიყენებენ ერთსა და იმავე მეთოდოლოგიას.<sup>123</sup> რა თქმა უნდა, თითოეულ ექსპერტს ანაზღაურებას უხდის ერთ-ერთი მხარე, შესაბამისად, მათ შეფასებაზე შეგნებულად თუ შეუგნებლად მაინც აისახება კლიენტის სურვილები.<sup>124</sup> კერძოდ, „პროტესტანტი“ აქციონერის მიერ მოწვეული ექსპერტი ყოველთვის ასკვნის, რომ კომპანიას აქვს ძალიან მაღალი სამართლიანი ღირებულება, მაშინ, როდესაც საპირისპიროს ადგენს კორპორაციის მიერ მოწვეული პირი.<sup>125</sup> აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ უნდა გააანალიზოს ის ფაქტობრივი გარემოებები, რომლებმაც შესაძლებელია, ზეგავლენა მოახდინონ ამა თუ იმ მხარის მიერ წარმოდგენილი დასკვნის სანდოობაზე. ამასთანავე, სასამართლოს შეუძლია, არ დაეყრდნოს არც ერთი მხარის მიერ წარმოდგენილ დასკვნას და გამოიყენოს თავისი, დამოუკიდებელი შეფასება.<sup>126</sup>

#### 4.2.2. აქციათა შეფასების სტანდარტი ქართული სამართლის მიხედვით

ქართული კანონმდებლობა, დელავერის კანონმდებლობისაგან განსხვავებით, არ ითვალისწინებს აქციონერის უფლებას, შეფასების მოთხოვნით პირდაპირ მიმართოს სასამართლოს, არამედ, პირველ რიგში, საზოგადოების შესაბამისმა ორგანომ უნდა დაადგინოს აქციის სამართლიანი ფასი და შესთავაზოს ის აქციონერს. ამ უკანასკნელს მხოლოდ მაშინ შეუძლია სასამართლოს მიმართოს, თუ არ დაეთანხმება ამ ფასს და მას არასამართლიანად მიიჩნევს.<sup>127</sup>

თუმცა ქართული კანონმდებლობა საზოგადოებას და სასამართლოს არ უნესებს განსხვავებულ წესებს, თუ როგორ უნდა შეფასდეს მინორიტარი აქციონერის კუთვნილი აქციები, არამედ განსაზღვრავს საერთო წესს, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს როგორც საზოგადოებამ, აგრეთვე სასამართლომ. ეს წესია: „აქცია გამოსყიდული უნდა იქნეს მისი საბაზრო ღირებულებით, [...] გარდა იმ შემთხვევებისა, როცა აქციათა დაბალი ლიკვიდურობის გამო ან სხვა მიზეზებით კანონით დადგენილია აქციათა სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის სხვა წესი“.<sup>128</sup>

ამ ჩანაწერის მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ ქართული კანონმდებლობა ითვალისწინებს „აქციის სამართლიანი ღირებულებით“ გამოსყიდვის ვალდებულებას. ზოგადი წესის მიხედვით, ეს

120 McLellan, An Appraisal of Appraisal Rights in Delaware, 115.

121 იქვე.

122 Wertheimer, The Shareholders' Appraisal Remedy and How Courts Determine Fair Value, 631-632.

123 იქვე, 630.

124 იქვე, 630.

125 იქვე, 630-631.

126 McLellan, An Appraisal of Appraisal Rights in Delaware, 114.

127 მეწარმეთა შესახებ კანონის 53<sup>1</sup>-ე მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტები.

128 იქვე, მე-4 პუნქტი.

„სამართლიანი ღირებულება“ არის აქციის „საბაზრო“ ღირებულება. თუმცა, თუ სახეზეა იმგვარი გარემოებები, რომელთა დროსაც მიზანშეწონილია სამართლიანი ფასის განსაზღვრა სხვაგვარი მეთოდით, შესაძლებელია, რომ სასამართლომ სამართლიან ფასად მიიჩნიოს არა აქციის საბაზრო, არამედ მისგან განსხვავებული ფასი.

სამართლიანი ფასის ზოგადი დეფინიცია მოცემულია თავად საკორპორაციო კანონებში და თუ განმარტებებს განვაზოგადებთ, მივიღებთ, რომ „სამართლიანი ფასი“ გამოსყიდვის უფლებასთან დაკავშირებით ნიშნავს აქციათა ფასს უშუალოდ იმ კორპორაციული ქმედების განხორციელების წინ, რომელსაც აქციონერი აპროტესტებს, ყოველგვარი ფასნამატის ან ფასდაკლების გაკეთების გარეშე, თუ ამგვარი გამონაკლისის არგაკეთება არ იქნება უსამართლო.<sup>129</sup>

თუმცა, ბუნებრივია, რომ ეს დეფინიცია არ არის საკმარისი, რათა მოხდეს აქციის სამართლიანი ფასის განსაზღვრა, არამედ საჭიროა უფრო კონკრეტული კრიტერიუმებისა და მეთოდების გამოყენება, რომ სასამართლომ შეძლოს სამართლიანი ფასის დადგენა.

ქართული კანონმდებლობა არაფერს ამბობს, თუ რა კრიტერიუმებით უნდა იხელმძღვანელოს სასამართლომ (ან სასამართლოსთვის მიმართვამდე თავად საზოგადოების შესაბამისმა ორგანომ) გამოსასყიდი აქციების სამართლიანი ფასის დასადგენად, როდესაც საქმე ეხება საზოგადოების მიერ საკუთარი აქციების გამოსყიდვის მოთხოვნის უფლების რეალიზაციას. თუმცა სასამართლოსთვის ამგვარი მითითება არსებობს, როდესაც იგი ადგენს აქციების სამართლიან ფასს აქციათა სავალდებულო მიყიდვის („მენარმეთა შესახებ“ კანონის 53<sup>4</sup>-ე მუხლი) განხორციელების მოთხოვნის შემთხვევაში. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309<sup>14</sup>-ე მუხლის მიხედვით, „სასამართლომ, აქციათა გამოსყიდვის სამართლიანი ფასის დადგენისას უნდა გაითვალისწინოს:

- ა) ამ აქციების ღირებულება ფასიანი ქალაქების ბაზარზე;
- ბ) საზოგადოების მიერ მომავალში მისაღები სავარაუდო შემოსავლები;
- გ) საზოგადოების აქტივები (მათ შორის: სანარმოს რეზერვები, სანარმოს საქმიანი რეპუტაცია, გამოცდილება, პერსპექტივები და საქმიანი კავშირები) და პასივები.“<sup>130</sup>

ეს სამი ალტერნატივა არის სამართლიანი ფასის განსაზღვრის სამი დამოუკიდებელი, ალტერნატიული წესი, რომელთაგანაც თითოეულით შესაძლებელია აქციათა ფასის განსაზღვრა.

სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის ეს წესები პირდაპირ შეესაბამება შეფასების საერთაშორისო სტანდარტებით (IVS) დადგენილ შეფასების სამ მიდგომას (მეთოდს). ეს მიდგომებია:

1. საბაზრო მიდგომა;
2. შემოსავლის მიდგომა;
3. აქტივებზე დაფუძნებული მიდგომა.<sup>131</sup>

129 Pratt, Niculita, Valuing a Business: The Analysis and Appraisal of Closely Held Companies, 5th ed., ([New York?]:The McGraw-Hill Companies, Inc., 2008), 45.

130 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309<sup>14</sup>-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

131 Pratt, Valuing a Business: The Analysis and Appraisal of Closely Held Companies, 94.

საბაზრო მიდგომის თანახმად, შეფასებული აქტივის ღირებულება არის ბაზრის მიერ მსგავსი აქტივისათვის გაკეთებული რეალური შეთავაზების ყველაზე მეტად სავარაუდო ფასი.<sup>132</sup> იმ შემთხვევაში, თუ სააქციო საზოგადოების აქციები აქტიურად იყიდება საფონდო ბირჟაზე, მაშინ მისი საბაზრო ფასის დადგენა ადვილად შესაძლებელია საფონდო ბირჟის მონაცემების მიხედვით, რომელშიც ასახულია შესაფასებელი კომპანიის აქციების საბაზრო ღირებულება, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ სააქციო საზოგადოების აქციები არ იყიდება საფონდო ბირჟაზე, მისი აქციის შეფასება უნდა მოხდეს სხვა, მსგავსი კომპანიის აქციებისათვის მათი შედარების გზით.

შემოსავლის მიდგომა კი, თავის მხრივ, აერთიანებს ფასდაკლებულ სამომავლო შემოსავლების მეთოდსა და სამომავლო შემოსავლის კაპიტალიზაციის მეთოდს.<sup>133</sup> ამ მეთოდით შეფასება ემყარება აქტივებს, რომლებიც თავიანთი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში შემოსავლებს მოიტანს.<sup>134</sup> ამ შემთხვევაში ხდება საზოგადოების მიერ მომავალში მისაღები სავარაუდო შემოსავლების ღირებულების განსაზღვრა შეფასების ეფექტური დღისათვის.<sup>135</sup>

რაც შეეხება აქტივებზე დაფუძნებულ მეთოდს, მისი გამოყენების დროს ყურადღება ექცევა კომპანიის წმინდა აქტივების ღირებულებას, ან მისი მთლიანი აქტივებისა და ვალდებულებების სხვაობის საბაზრო ღირებულებას.<sup>136</sup>

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309<sup>14</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული წესების (მიდგომების) გამოყენება მიზანშეწონილად უნდა იქნეს მიჩნეული არა მარტო აქციათა სავალდებულო მიყიდვის, არამედ საზოგადოების მიერ საკუთარი აქციების გამოსყიდვის მოთხოვნის უფლების რეალიზაციის მიზნით საზოგადოებისთვის ან სასამართლოსთვის მიმართვის დროსაც, თუმცა საკუთარი აქციების გამოსყიდვის დროს აუცილებელია თავად 53<sup>1</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული შემდეგი წინაპირობის დაცვა:

როდესაც სასამართლო (ან საზოგადოება) ვალდებულია, დაადგინოს გამოსასყიდი აქციების სამართლიანი ფასი, მან, პირველ რიგში, მხედველობაში უნდა მიიღოს ამ აქციათა საბაზრო ფასი (საბაზრო ღირებულება), ვინაიდან 53<sup>1</sup>-ე მუხლის მე-4 ნაწილის პირველი წინადადება შეფასების განმხორციელებელს ავალდებულებს, განსაზღვროს გამოსასყიდი აქციების საბაზრო ღირებულება.<sup>137</sup> სხვაგვარად რომ ვთქვათ, აქციათა შეფასების დროს სასამართლომ (ან თავად საზოგადოებამ) აქციათა სამართლიანი ღირებულების დადგენის ზემოთ მითითებული სამი წესიდან, პირველ რიგში, უნდა გამოიყენოს პირველი – საბაზრო ღირებულების წესი (საბაზრო მიდგომა) და სწორედ ამ საბაზრო ღირებულებით უნდა გამოისყიდოს ისინი, თუ სახეზე არ არის ისეთი გარემოებები, რომელთა გამოც მიზანშეწონილია არა აღნიშნული, არამედ შეფასების სხვა მიდგომის გამოყენება.<sup>138</sup>

„მენარმეთა შესახებ“ კანონის 53<sup>1</sup>-ე მუხლი ამომწურავად არ ჩამოთვლის, თუ რა გარემოებების გამო შეიძლება, სამართლიანი ფასის განსაზღვრისათვის გამოყენებულ იქნეს საბაზრო მიდგომისაგან

132 <http://www.investopedia.com/terms/m/market-approach.asp> .

133 International Valuation Standards Council, “International Valuation Standards 2011,” (Norwich: Page Bros Ltd, 2011), 26-27.

134 იქვე, 26.

135 Business Valuation Resources, LLC, BVR’s Glossary of Business Valuation Terms, (2010): 10 „Income (Income-Based) Approach – a general way of determining a value indication of a business, business ownership interest, security, or intangible asset using one or more methods that convert anticipated benefits into a present single amount“.

136 <http://www.investopedia.com/terms/a/asset-based-approach.asp> .

137 მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 53<sup>1</sup>-ე მუხლის მე-4 ნაწილის პირველი წინადადების პირველი ნაწილი: „აქცია გამოსყიდულ უნდა იქნეს მისი საბაზრო ღირებულებით [...]“.

138 „მენარმეთა შესახებ“ კანონის 53<sup>1</sup>-ე მუხლის მე-4 პუნქტის პირველი წინადადების მეორე ნაწილი: „[...] გარდა იმ შემთხვევებისა, როცა აქციათა დაბალი ლიკვიდურობის გამო ან სხვა მიზეზებით კანონით დადგენილია აქციათა სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის სხვა წესი.“

განსხვავებული სხვა წესი. იგი მიუთითებს მხოლოდ აქციათა დაბალ ლიკვიდურობაზე.<sup>139</sup> შესაბამისად, როდესაც, მაგალითად, სასამართლო (ან საზოგადოება) ჩათვლის, რომ აქციები დაბალი ლიკვიდურობისაა, მაშინ მან უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, აქციები შეაფასოს არა საბაზრო ღირებულებით, არამედ სხვა ზემოთ მითითებული წესით (მეთოდით). ამასთანავე, სასამართლოს (ან კორპორაციას) შეუძლია, მხედველობაში მიიღოს სხვა ისეთი გარემოებები, რომელთა გამოც მიზანშეწონილად მიიჩნევა არა საბაზრო მიდგომის, არამედ შემოსავლის ან აქტივებზე დაფუძნებული მიდგომების გამოყენებას. ასეთ შემთხვევებში, შესაძლებელია, მოხდეს შემფასებლის მიერ შეფასების საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებული რეკომენდაციების გათვალისწინება, თუ როგორი კონკრეტული გარემოებების არსებობის დროს სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის რომელი მეთოდი უნდა იქნეს გამოყენებული.

მაგალითად, თუ სასამართლოსთვის ცნობილია, რომ იგი აფასებს კორპორაციას, რომელიც არ ეწევა აქტიურ ბიზნესსაქმიანობას, როდესაც ბიზნესი არის გაკოტრების ან ლიკვიდაციის პროცესში, ან არსებობს სერიოზული ეჭვი ბიზნესსაქმიანობის გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით, ან დამწყობია, ან შესაფასებელ საზოგადოებას აქვს მნიშვნელოვანი მატერიალური აქტივები, ასეთ შემთხვევაში, შეფასების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, სამართლიანი ღირებულების დადგენა უნდა მოხდეს არა საბაზრო, არამედ აქტივებზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენებით.<sup>140</sup>

ამასთანავე, აუცილებელია, აღინიშნოს, რომ სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის პროცესში მხარეებს შეუძლიათ, სასამართლოს წარუდგინონ შეფასების დასკვნები, თუმცა, საბოლოოდ, თუ რომელ მათგანს უნდა დაეყრდნოს ან უნდა დაეყრდნოს თუ არა რომელიმეს, ამას თავად სასამართლო, თავისი შეხედულების მიხედვით, წყვეტს.

სამართლიანი ფასის განსაზღვრის დროს, იმისათვის, რომ სწორად იქნეს შეფასებული აქციების ღირებულება, აუცილებელია, შემფასებელმა აქციები შეაფასოს იმ დღის მონაცემებით, რომელიც დღისათვის შეფასებასაც კანონმდებლობა მისგან ითხოვს. ამ თარიღს ეწოდება შეფასების ეფექტური დღე (effective date).<sup>141</sup> შეფასების ეფექტური დღე გამოსყიდვის უფლების რეალიზების დროს, „მენარმეთა შესახებ“ კანონის მიხედვით, არის იმ საერთო კრების მოწვევის შესახებ შეტყობინების გაგზავნის წინა დღე, რომელზეც შემდგომ მიიღეს გადაწყვეტილება, რომელიც მიეკუთვნება ფუნდამენტური ცვლილებების რიცხვს და არის გამოსყიდვის უფლების წარმოშობის საფუძველი.<sup>142</sup> სხვაგვარად რომ ვთქვათ, აქციის სამართლიანი ფასი იქნება ის, რომელიც მას ჰქონდა საერთო კრების მოწვევის შესახებ შეტყობინების გაგზავნის წინა დღეს.

შეფასების ეფექტური დღის სწორად განსაზღვრას ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს შეფასების სწორად განხორციელების საქმეში, ვინაიდან შესაძლებელია, საზოგადოების და, შესაბამისად, მისი აქციების ფასი ძალიან სწრაფად იცვლებოდეს და სხვადასხვა თარიღისთვის სხვადასხვა იყოს.

139 <http://www.investopedia.com/articles/basics/07/liquidity.asp>: ლიკვიდურობა არის მაჩვენებელი, რომელიც აღწერს, როგორი სიმარტივით შეიძლება აქტივის ფულად ქცევა.

140 International Valuation Standards Council, „International Valuation Standards 2011“.

141 Appraisal Institute, „Appraisal Institute Standards of Valuation Practice,“ (2015), 1: “Effective Date: The date on which the appraisal or review opinion applies”.

142 „მენარმეთა შესახებ“ კანონის 53<sup>1</sup>-ე მუხლის მე-4 პუნქტი: „აქცია გამოსყიდული უნდა იქნეს მისი საბაზრო ღირებულებით, რომელიც ჩამოყალიბებული იყო ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად განხორციელებული შეტყობინების წინა დღეს [...]“.



## 5. დასკვნები და რეკომენდაციები

წინამდებარე სტატიაში განხილული დელავერის შტატისა და საქართველოს კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის, ისევე როგორც სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოების მიერ საკუთარი აქციების გამოსყიდვის უფლება არის ერთ-ერთი ფუნდამენტური და ქმედითი უფლება საკორპორაციო სამართალში. იგი, ერთი მხრივ, იცავს აქციონერს, არ გახდეს იძულებული, აქციების ფლობა გააგრძელოს ისეთ კომპანიაში, რომელშიც ფუნდამენტური ცვლილებები განხორციელდა; მეორე მხრივ კი, ამ უფლების არსებობა სასიცოცხლოდ აუცილებელია კორპორაციისთვის, როგორც ცოცხალი ორგანიზმისთვის, რათა მან მოახერხოს განვითარება და მასში განხორციელდეს სასარგებლოდ მოაზრებული ცვლილებები.

ამ უფლების მნიშვნელობიდან გამომდინარე, გასაკვირი არაა, რომ დელავერისა და საქართველოს საკორპორაციო სამართლის მიხედვით, მისი გამორიცხვა თავად აქციონერებს წესდებით არ შეუძლიათ. ამასთანავე, ამ უფლებით სარგებლობა ყველა აქციონერს ნებისმიერ შემთხვევაში არ შეუძლია.

უნდა აღინიშნოს, რომ გამოსყიდვის უფლების წარმოშობა ორივე განხილულ იურისდიქციაში დაკავშირებულია საერთო კრების მიერ კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღებასთან, რომელსაც აქციონერი არ ეთანხმება. ეს დელავერის სამართლის მიხედვით არის მხოლოდ შერწყმისა და გაერთიანების გადაწყვეტილებები. აღნიშნულთან დაკავშირებით უფრო ფართოა ქართული კანონმდებლობით დადგენილი რეგულირება და იგი სხვა ფუნდამენტურ ცვლილებებსაც მოიცავს.

იმავდროულად, ზემოთ მითითებული შემთხვევების დადგომის შემდეგ, დელავერსა და საქართველოშიც აქციონერსა და საზოგადოებას წარმოეშობათ კონკრეტული პროცედურული ვალდებულებები, რომელთა შესრულება აუცილებელია, რათა გამოსყიდვის უფლება განხორციელდეს. აღსანიშნავია, რომ, საქართველოსგან განსხვავებით, დელავერის კანონმდებლობის მიხედვით, აქციონერს შეუძლია, სამართლიანი ფასის დადგენის მოთხოვნით პირდაპირ სასამართლოს მიმართოს. საქართველოში კი სასამართლოსთვის მიმართვა მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიყენება, როდესაც აქციონერი არ ეთანხმება საზოგადოების მიერ დადგენილ გამოსყიდვის პირობებს.

გამოსყიდვის უფლების განხორციელების დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება აქციის სამართლიანი ფასის სწორად განსაზღვრას, ვინაიდან აქციონერის მიერ სასამართლოსთვის მიმართვა სწორედ იმითაა ნაკარნახევი, რომ მისი აქციები შეფასებული იქნება ობიექტურად და სამართლიანად.

საბოლოოდ, უნდა აღინიშნოს, რომ დელავერის კანონმდებლობაში გამოსყიდვის უფლება უფრო დეტალურად არის მოწესრიგებული და მის რეგულირებას რამდენიმე საკმაოდ მოცულობითი მუხლი ეთმობა. ხშირია, აგრეთვე, ამ უფლების გამოყენების შემთხვევებიც, რაზეც მოწმობს შტატის სასამართლოების გადაწყვეტილებების სიმრავლე ამ საკითხზე. ქართულ კანონმდებლობაში კი უფლებას ეთმობა მხოლოდ ერთი მუხლი და მისი გამოყენებაც ძალიან იშვიათად ხდება. აღსანიშნავია, რომ უფლებასთან დაკავშირებით საკმაოდ მწირია სამართლებრივი ლიტერატურაც. შესაბამისად, მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ:

- ა) აღნიშნული ნორმის განმარტება მოხდეს უცხოური, მათ შორის დელავერის შტატის გამოცდილებისა და უფლების მიზნის გათვალისწინებით, რათა აქციონერისა და კორპორაციის ინტერესებს შორის ბალანსი დაცული იყოს;
- ბ) გამოსყიდვის უფლების განმარტება ქართულ კანონმდებლობაში მოხდეს ფართოდ და მისით სარგებლობა შეეძლოს ყველა აქციონერს, განურჩევლად იმისა, აქვს თუ არა მას ხმის უფლება;
- გ) აქციონერების უფლებათა „არსებითი შელახვის“ საკითხის გარკვევისას სასამართლოებმა გამოიკვლიონ მიღებული გადაწყვეტილების ბუნება და მისი გავლენა აქციონერის უფლება-მოვალეობებზე;
- დ) სასამართლოებმა და კომპანიებმა აქციის შეფასების დროს იხელმძღვანელონ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309<sup>14</sup>-ე მუხლითა და შეფასების საერთაშორისო სტანდარტებით, რათა აქციათა ფასი სწორად იყოს დადგენილი და არ შეილახოს არც აქციონერის და არც საზოგადოების ინტერესები.

# გარიგების ფორმის ფუნქცია

(თეორია და სასამართლო პრაქტიკა)

## 1. გარიგების ფორმის ფუნქცია

სამოქალაქო ბრუნვა რომ არ შეფერხდეს, გარიგებების ნამდვილობისათვის რაიმე სპეციალური ფორმის დაცვა იშვიათ შემთხვევაშია საჭირო. ფორმის თავისუფლების პრინციპიდან არსებობს გამონაკლისი. გარიგების ფორმის თავისუფლებიდან გამონაკლისი დაიშვება ფორმასავალდებულობის მიმართ მაღალი ინტერესის არსებობის შემთხვევაში. მაღალი ინტერესი კი, როგორც წესი, განპირობებულია სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა **დაცვის ფუნქციით**. გარდა დაცვითი ფუნქციისა, მხედველობაშია მისაღები ასევე სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა **ინფორმირებულობის ფუნქცია**, რა დროსაც ხელშეკრულების შინაარსის დამოწმებელი პირი, მაგალითად, ნოტარიუსი, მხარეებს ამ ხელშეკრულების შინაარსს და მის სამართლებრივ შედეგებს განუმარტავს. ინფორმირებულობის ფუნქციის დაცვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი გარიგებების შემთხვევაში, რომელთაც მხარეებისათვის განსაკუთრებული სამართლებრივი შედეგი მოაქვს, მაგალითად, გარიგების ნოტარიული დამოწმება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით შენარჩუნებულია იმ სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებების მიმართ, რომლებიც უძრავი ქონების გადაცემას უკავშირდება;<sup>1</sup> სანოტარო დამოწმებას მოითხოვს ასევე საქორწინო ხელშეკრულება.<sup>2</sup> გარიგების ფორმის ფუნქციათაგან აღსანიშნავია ასევე გარიგების შინაარსის **გათვალსაზრისისა და მტკიცების პროცესის** გაიოლების ფუნქცია. ამ ფუნქციის გამო ხშირად გარიგების ფორმას მხარეები ხელშეკრულებით თავად ითვალისწინებენ.<sup>3</sup>

## 2. გარიგების კანონით ანდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფორმა

კანონი გარიგების ბეპირად ან წერილობით დადების შესაძლებლობას იძლევა. გარდა **მარტივი წერილობითი ფორმის** გარიგებისა, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში არსებობს გარიგების **რთული წერილობითი ფორმით** დადების ვალდებულება. რთულ წერილობით ფორმაში იგულისხმება **გარიგების შინაარსის (საჯარო აქტის ფორმით) ან ხელმოწერების დამოწმების ვალდებულება**

1 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 942-ე მუხლი.

2 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1173-ე მუხლი.

3 Wendtland, Beck'scher Online-Kommentar BGB, Bamberger/Roth, 39. Edition, Rn1.

**(კერძო აქტის ფორმით). გარიგების შინაარსის ნოტარიული დამოწმება** ნიშნავს იმას, რომ ნოტარიუსი ამოწმებს გარიგების შინაარსს, რა დროსაც გარიგების მხარეებს განუმარტავს გარიგების არსს, მისი მოქმედების პირობებს, სამართლებრივ შედეგებსა და ა.შ.<sup>4</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი გარიგების ნოტარიული დამოწმების ვალდებულებას ორ შემთხვევაში ითვალისწინებს, კერძოდ, სამისდღეობით რჩენის ხელშეკრულების შემთხვევაში, როდესაც გარიგება უძრავი ქონების გადაცემას ეხება<sup>5</sup> და საქორწინო ხელშეკრულების დადების დროს.<sup>6</sup>

**გარიგების მონაწილეთა ხელმოწერების დადასტურების** შემთხვევაში კი ნოტარიუსი მხოლოდ გარიგების მხარეების ხელმოწერების ნამდვილობას ამოწმებს.<sup>7</sup> ხელმოწერების დამოწმების ვალდებულებას კანონი ადგენს იმ შემთხვევისათვის, როდესაც გარიგება უძრავი ქონების თაობაზე მარეგისტრირებელი ორგანოს გარეთ იდება. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განსახილველ შემთხვევაში ხელმოწერათა ნოტარიული დადასტურება **გარიგების ფორმის ნამდვილობისათვის წაყენებულ მოთხოვნას არ წარმოადგენს**, რადგან კანონი უშვებს მხარეთა მიერ უძრავი ქონების თაობაზე გარიგების დადებას ხელმოწერების ნოტარიული დამოწმების გარეშეც, თუმცა იმისათვის, რომ ამგვარი ხელშეკრულება საჯარო რეესტრში საკუთრების უფლების რეგისტრაციის საფუძველი გახდეს, აუცილებელია, ხელშეკრულება მარეგისტრირებელ ორგანოში უფლებამოსილი პირის თანდასწრებით შედგეს.<sup>8</sup> **საგულისხმოა, რომ ასეთ შემთხვევაში, გარიგების მონაწილეთა ხელმოწერების ნოტარიული დადასტურება კანონით გათვალისწინებული სავალდებულო პირობა არ არის.**

ამდენად, **გარიგების ხელმოწერათა სანოტარო დამოწმება ემსახურება გარიგების ხელმოწერ პირთა იდენტიფიცირებას და არა მხარეთა ნების ნამდვილობის დადგენასა და გარიგების შინაარსის შემოწმებას.** იმ შემთხვევაში, თუ გარიგების ხელმოწერათა დამოწმება სანოტარო წესით არ მოხდა, ეს ნიშნავს იმას, რომ მხარეები ვალდებულნი არიან, გამოცხადდნენ მარეგისტრირებელ ორგანოში და გარიგებაზე ხელმოწერა უფლებამოსილი პირის წინაშე შეასრულონ. ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ **არც ნოტარიუსთან ხელმოწერათა დადასტურების დროს და არც მარეგისტრირებელ ორგანოში უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერების დამოწმების შემთხვევაში მხარეთა ნება და გარიგების შინაარსი არ მონშდება. ხელმოწერის დამოწმებას მხოლოდ ერთი დანიშნულება აქვს. ხელმოწერის დამოწმების დროს დგინდება, ხელმოწერა ეკუთვნის თუ არა ხელმოწერ პირს. შესაბამისად, ხელმოწერების დამოწმება არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს გარიგების ფორმად.** იმ შემთხვევაში, თუ მარეგისტრირებელ ორგანოში უფლებამოსილი პირი გარიგებით განსაზღვრული უფლების რეგისტრაციას ისე მოახდენს, რომ მხარეთა ხელმოწერებს კანონით დადგენილი წესით, **სამსახურებრივი შტამპით**, არ დაამოწმებს, ეს გარიგება ფორმის დაუცველად დადებულ გარიგებად არ მიიჩნევა.<sup>9</sup>

კიდევ ერთი არგუმენტი, თუ რატომ ითვლება, რომ ხელმოწერების სანოტარო წესით დამოწმება უძრავი ქონების თაობაზე დადებული ხელშეკრულების ფორმა არ არის, ესაა: სამოქალაქო კოდექსის 323-ე მუხლი უძრავი ნივთის თაობაზე დადებული ხელშეკრულების ნამდვილობისათვის **მარტივ წერილობით ფორმას ადგენს.**<sup>10</sup> თუ ხელშეკრულების დადების შემდეგ გამყიდველმა საკუთრების უფლების გადაცემაზე უარი განაცხადა და მყიდველს საჯარო რეესტრში არ წაჰყვა, საჯარო რეესტრი ამ

4 სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის მე-15 მუხლი.

5 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 942-ე მუხლი.

6 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1173-ე მუხლი.

7 სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის მე-15 მუხლი.

8 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 311<sup>1</sup>-ე მუხლი.

9 იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 27 სექტემბრის N2ბ/5432-15 გადაწყვეტილება.

10 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 27.09.2017 განჩინება, საქმეზე №ას-202-191-2017.

ხელშეკრულების საფუძველზე მყიდველს **ნასყიდობის საგნის მესაკუთრედ ვერ დაარეგისტრირებს, რადგან მარეგისტრირებელი ორგანოსათვის უცნობია ხელშეკრულებაზე არსებული მეორე ხელმოწერის ნამდვილობის თაობაზე**. მარეგისტრირებელი ორგანოსათვის ნოტარიულად დაუდასტურებელი ხელშეკრულების ნამდვილობის პრეზუმფცია არ მოქმედებს. მარეგისტრირებელი ორგანო რომ ხელმოწერას ენდოს, ხელმოწერა მარეგისტრირებელ ორგანოში უფლებამოსილი პირის თანდასწრებით უნდა განხორციელდეს, ან მარეგისტრირებელი ორგანოს გარეთ ნოტარიულად უნდა დამოწმდეს. თუმცა, ამავე ხელშეკრულებაზე დაყრდნობით, **მესაკუთრედ ცნობის მოთხოვნას მყიდველს სასამართლო დაუკმაყოფილებს, რადგან დაადგენს, რომ მხარეთა შორის დადებული მარტივი წერილობითი ხელშეკრულება კმარი ფორმადაცული საფუძველია უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემის მოთხოვნის მართლზომიერად მიჩნევის მიზნებისათვის**.<sup>11</sup> ხელშეკრულებაზე არსებული ხელმოწერა კი, მისი სიყალბის დადასტურებამდე, ნამდვილად ითვლება. რაც შეეხება ამ ხელშეკრულებაზე ნოტარიულად დამოწმებულ ხელმოწერებს, ისინი (ხელმოწერები) მარტოდენ იმ მიზანს ემსახურება, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების ხელმომწერთაგან მხოლოდ ერთმა, და, როგორც წესი, ის ერთი მხარე მყიდველია ხოლმე, რომლის ინტერესებშიც მის სახელზე საკუთრების რეგისტრაციაა, გამყიდველისაგან დამოუკიდებლად საჯარო რეესტრში ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე ნაყიდი ქონება დაირეგისტრიროს.

## ა. გარიგების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფორმა

იმ შემთხვევაში, როდესაც კანონი გარიგების ნამდვილობისათვის სპეციალური ფორმის დაცვის ვალდებულებას არ აწესებს, **მხარეები უფლებამოსილნი არიან, გარიგების ნამდვილობისათვის სპეციალური ფორმა თავად გაითვალისწინონ**. ამ შემთხვევაში მხარეებს შეუძლიათ, ასევე, გარიგების ნამდვილობის პირობად კანონით გაუთვალისწინებელი ნებისმიერი ფორმა დააწესონ.<sup>12</sup> **ხელშეკრულებით გათვალისწინებული სავალდებულო ფორმის არსებობის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან, ურთიერთშეთანხმებით გარიგება აღნიშნული ფორმის დაუსველად დადონ**. ასეთ შემთხვევაში იგულისხმება, რომ მხარეები კონკლუდენტური მოქმედებით გარიგების ნამდვილობის სხვა ფორმაზე შეთანხმდნენ და ამ შეთანხმებით უკვე არსებული გარიგების კონკრეტულ ფორმასთან დაკავშირებული პირობა შეცვალეს.<sup>13</sup> თუ მხარეები ხელშეკრულებით გათვალისწინებულ გარიგების ფორმას ამავე გარიგების ნამდვილობას უკავშირებენ, ეს პირობა ხელშეკრულებიდან უნდა იკვეთებოდეს. შესაძლებელია, მხარეები გარიგების წერილობით ფორმაზე მხოლოდ იმიტომ შეთანხმდნენ, რომ ამ გზით გარიგების შინაარსის მარტივად გათვალსაჩინოება შეძლონ ან მტკიცების პროცესი გაამარტივონ (**გარიგების ფორმის დეკლარაციული მნიშვნელობა**). თუ ხელშეკრულებიდან არ ჩანს გარიგების ფორმასავალდებულოობის დანიშნულება, იგულისხმება, რომ მისი დაცვა გარიგების ნამდვილობის პირობას უკავშირდება (**გარიგების ფორმის კონსტიტუციური მნიშვნელობა**).<sup>14</sup>

სამართლებრივი შედეგის თვალსაზრისით, კანონი ადგენს, რომ ფორმის დაუსველად დადებული გარიგება ბათილია. ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ **ბათილია კანონით გათვალისწინებული ფორმასავალდებულო გარიგება ფორმის დაუსველობის შემთხვევაში**. რაც შეეხება მხარეთა მიერ გარიგების ნამდვილობისათვის დადგენილ ფორმას, მისი დაუსველობა **ყოველთვის არ იწვევს გარიგების ბათილობას, ვინაიდან მხარეების მიერ შეთანხმებული გარიგების ფორმა ისევ მხარეთა**

11 Ibid.,

12 Wendtland, Beck`scher Online-Kommentar BGB, Bamberger/Roth, 39. Edition, Rn 6.

13 Ibid., Rn 7.

14 Ibid., Rn 9.



**შეთანხმებით შეიძლება შეიცვალოს.** მაგალითად, თუ მხარეები გარიგების ფორმაზე შეთანხმდნენ, თუმცა გარიგებით გათვალისწინებული პირობები მათივე შეთანხმებით ფორმასავალდებულო გარიგების დადების გარეშე შეასრულეს, ეს ნიშნავს იმას, რომ მხარეებმა კონკლუდენტური მოქმედებით გარიგების ფორმისათვის წაყენებული მოთხოვნა თავადვე სხვა ფორმით ჩაანაცვლეს.<sup>15</sup>

თუ მხარეთა შეთანხმებით გარიგების ფორმას **დეკლარაციული ხასიათი აქვს**, რაც იმას ნიშნავს, რომ მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ფორმის მიზანი გარიგების შინაარსის გათვალისწინება ან კიდევ მტკიცების პროცესის გამარტივებაა, ასეთ შემთხვევაში, ფორმის დაუცველად დადებული გარიგება **ბათილი არ არის**. თუ მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებულ ფორმას **კონსტიტუციური მნიშვნელობა აქვს**, ანუ მხარეები გარიგების ფორმას გარიგების ნამდვილობის პირობად მიიჩნევენ, ასეთ შემთხვევაში, ფორმის დაუცველად დადებული გარიგება ისევე ბათილია, როგორც კანონით გათვალისწინებული ფორმის დაუცველად დადებული გარიგება.<sup>16</sup>

## ბ. გარიგების კანონით გათვალისწინებული ფორმა

გარიგების კანონით გათვალისწინებული ფორმა სავალდებულოა მთელი გარიგებისათვის, მისი შემადგენელი ყველა ნაწილისა და, ასევე, ყველა იმ დათქმისათვის, რომლებიც ამ გარიგების განუყოფელი ნაწილია. ფორმასავალდებულოება ვრცელდება ამ გარიგებაში ცვლილების შეტანაზე, დამატებით გარიგებაზე და ა.შ. მხარეები უფლებამოსილნი არ არიან, შეცვალონ გარიგების ნამდვილობისათვის კანონით დადგენილი ფორმა. კანონით დადგენილი ფორმის დაუცველად დადებული გარიგება ბათილია.

გარიგების ფორმასავალდებულოება ვრცელდება ასევე წინარე ხელშეკრულებაზეც.<sup>17, 18</sup> ამ დანაწესს ითვალისწინებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, რომლის მიხედვითაც ხელშეკრულებით შეიძლება წარმოიშვას მომავალი ხელშეკრულების დადების ვალდებულება. ხელშეკრულებისათვის გათვალისწინებული ფორმა ვრცელდება ასევე წინარე ხელშეკრულებაზეც.<sup>19</sup>

ფორმასავალდებულო გარიგების დასადებად უფლებამოსილების მინიჭებაზე არ ვრცელდება გარიგების ფორმის პირობა. უფლებამოსილების (რწმუნებულების) მიცემა ხდება რწმუნებულის ან იმ მესამე პირის მიმართ ნების გამოვლენით, რომელთანაც უნდა შედგეს წარმომადგენლობა. ნების გამოვლენას არ სჭირდება ფორმა, რომელიც აუცილებელია იმ გარიგების დასადებად, რომლისთვისაც გაცემულია უფლებამოსილება.<sup>20</sup>

**ფორმასავალდებულო გარიგების გაუქმება შესაძლებელია გარიგების ფორმისათვის დადგენილი აუცილებელი ფორმის დაცვის გარეშე**, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა. მაგალითად, საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტა წერილობით უნდა გაფორმდეს.<sup>21</sup> ხელშეკრულების გაუქმებისათვის აუცილებელი ფორმის დაცვა სავალდებულოა მაშინ, როდესაც გაუქმების სამართლებრივი შედეგი სპეციალური ფორმის დაცვის გარეშე არ მიიღწევა. მაგალითად, უძრავ ქონებაზე დადებული გარიგების გაუქმება რეგისტრირებული მესაკუთრის შეცვლას არ გამოიწვევს, თუ მხარეები ამის თაობაზე წერილობით არ შეთანხმდებიან.

15 Wendtland, Beck`scher Online-Kommentar BGB, Bamberger/Roth, 39. Edition, Rn 2.

16 Ibid., Rn 17.

17 Wendtland, Beck`scher Online-Kommentar BGB, Bamberger/Roth, 39. Edition, Rn 10.

18 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 21.03.2108 გადაწყვეტილება, საქმე №ას-875-817-2017.

19 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

20 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 107-ე მუხლი.

21 იქვე, 563-ე მუხლი.

კანონით გათვალისწინებული ფორმის ნაკლის გამო გარიგების ბათილობის მოთხოვნის უფლება აქვთ როგორც **გარიგების მხარეებს, ასევე იმ მესამე პირებს, რომელთა უფლება ფორმადუცველი გარიგებით შეილახა**. გარიგების ფორმადუცველობა გარიგების ბათილობის ის პირობაა, რომელიც სასამართლოს მხრიდან საკუთარი ინიციატივით კვლევის საგანი ხდება. ფორმადუცველი გარიგება ბათილად მიიჩნევა მაშინაც, როდესაც მხარეები მას ეთანხმებიან და ნამდვილად მიიჩნევენ.<sup>22</sup> ორმხრივი თანხმობის შემთხვევაში მათ ახალი ხელშეკრულების დადების შესაძლებლობა აქვთ, მართლოდენ დადასტურებით კი გარიგების ფორმის ნაკლი ვერ გამოსწორდება.<sup>23</sup> იგივე წესი ვრცელდება მაშინაც, როდესაც მხარეთა ნება უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების დადების თაობაზე მოწმეთა ჩვენებით უტყუარად დგინდება, თუმცა სასამართლო ზეპირ გარიგებას, თუნდაც, მხარეთა კონკლუდენტური მოქმედებებით დადასტურებულს, უძრავი ქონების ნასყიდობის ფორმის სუროგატად ვერ მიიჩნევენ.<sup>24</sup>

### 3. გარიგების ფორმადუცველობის სამართლებრივი შედეგები

გარიგების ფორმადუცველობა მის ბათილობას იწვევს, ხოლო ფორმის დაუცველად დადებული გარიგების ბათილობის შემთხვევაში მიღებული შესრულება მხარეებმა, როგორც უსაფუძვლოდ მიღებული, უკან უნდა დააბრუნონ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შესრულება ფორმის ნაკლს ასწორებს.<sup>25</sup>

ამდენად, როგორც წესი, **გარიგების ფორმადუცველობა მის ბათილობას იწვევს**. თუმცა, გარიგების ფორმადუცველობის შემთხვევაში, შესაძლებელია, კანონით გათვალისწინებული **სხვა შედეგიც დადგეს**. მაგალითად, მიწის ნაკვეთის ქირავნობის ხელშეკრულება ერთ წელზე მეტი ვადით წერილობით უნდა გაფორმდეს. **ფორმის დაუცველობის შემთხვევაში ივარაუდება, რომ ხელშეკრულება განუსაზღვრელი ვადით არის დადებული**.<sup>26</sup> სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობით. თუ ეს ფორმა არ არის დაცული, **მაშინ ივარაუდება, რომ ხელშეკრულება დადებულია განუსაზღვრელი ვადით**.<sup>27</sup>

კიდევ ერთი ზოგადი წესის მიხედვით, **გარიგების ბათილობა პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას იწვევს**, თუმცა კანონი გარკვეულ გამონაკლისებს უშვებს, როდესაც, გარიგების ბათილობის მიუხედავად, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა დაუშვებელია, კერძოდ, საუბარია ისეთ გარიგებებზე, როდესაც გარიგებით გათვალისწინებული პირობები უკვე შესრულებულია და გარიგება მხოლოდ და მხოლოდ *ex nunc*, ანუ გაბათილების მომენტიდან, მიიჩნევა ბათილად. ამგვარი წესი ყოველთვის შრომითი ხელშეკრულებების ბათილობის შემთხვევაში მოქმედებს.<sup>28</sup>

ფორმის ნაკლი კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში შეიძლება შესრულებით გასწორდეს. ფორმის ნაკლი შესრულების მომენტიდან (*ex nunc*) სწორდება. შესაბამისად, გარიგება ნამდვილად შესრულების მომენტიდან ითვლება. აქვე აღსანიშნავია, რომ შესრულებით გარიგების მართლოდენ ფორმის ნაკლი სწორდება და არა ამ გარიგების ბათილობის სხვა საფუძველი, როგორებიცაა, მაგალითად: კანონწინააღმდეგობა, მართლწინააღმდეგობა, ამორალურობა და ა. შ., შესრულება ფორმის

22 Wendtland, Beck'scher Online-Kommentar BGB, Bamberger/Roth, 39. Edition, Rn 16.

23 Ibid., Rn.17.

24 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 16.01.2019 წლის განჩინება, საქმე №ას-1242-2018.

25 Ibid., Rn 20.

26 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 569-ე მუხლი.

27 იქვე, 593-ე მუხლი.

28 Wendtland, Beck'scher Online-Kommentar BGB, Bamberger/Roth, 39. Edition, Rn 22.

ნაკლს ყოველთვის არ ასწორებს. საგულისხმოა, რომ შესრულება **კანონით გათვალისწინებულ ფორმის ნაკლს მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში ასწორებს**. ქართული კანონმდებლობა შესრულებით ფორმის ნაკლის გასწორების ერთ შემთხვევას იცნობს, კერძოდ, ვალის აღიარების შემთხვევაში კანონი ამბობს, რომ, თუ ვალის არსებობა აღიარებულია ანგარიშსწორების (გადახდის) საფუძველზე ან მორიგების გზით, მაშინ ფორმის დაცვა არ არის აუცილებელი.<sup>29</sup>

როგორც ზემოთ აღინიშნა, გარიგების ფორმადაუცველობა, ზოგადი წესის მიხედვით, გარიგების ბათილობას იწვევს, ხოლო ბათილი გარიგების სამართლებრივი შედეგი ბათილი გარიგების საფუძველზე განხორციელებული შესრულების უკუქცევაა, სხვაგვარად თუ ვიტყვით, **გარიგების ბათილობა პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას იწვევს, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის სამართლებრივი საფუძველი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლია**. როგორც ზემოთ აღინიშნა, ფორმის ნაკლის გამო გარიგების ბათილობის შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების წინაპირობები იშვიათ შემთხვევაშია სახეზე, რადგან გარიგების ფორმის ნაკლთან დაკავშირებულ სამართლებრივ შედეგებთან მიმართებით ორივე მხარეა პასუხისმგებელი. თუმცა შესრულების კონდიქციის დროს გადაცემულის უკან დაბრუნების მოთხოვნა ვრცელდება შეძენილზე, მიღებულ სარგებელზე, ასევე სხვა ყველაფერზე, რაც მიმღებმა მიღებული საგნის განადგურების, დაზიანების ან ჩამორთმევის სანაცვლო ანაზღაურების სახით შეიძინა (979.1). ამასთან, კონდიქციის დროს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა ყოველთვის ის უპირობო შედეგი არ არის, რასაც მხარეები ყველა შემთხვევაში მიიღებენ, რადგან, თუ მიმღებმა დაადასტურა, რომ იგი შესრულებით არ გამდიდრებულა, კერძოდ, მან გადაცემული ქონება (სიკეთე) მოიხმარა, სხვას უსასყიდლოდ გადასცა, გადაცემული ნივთი განადგურდა, გაუარესდა ან სხვა საფუძვლების გამო იგი არც საგნით და არც მისი ღირებულებით არ გამდიდრებულა, ასეთ შემთხვევაში, გადაცემული ქონება (სიკეთე) უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება. თუმცა აღსანიშნავია, რომ **ფორმის ნაკლით განპირობებული გარიგების ბათილობის დროს მხარემ უნდა იცოდეს** გარიგების ბათილობის თაობაზე და, თუ მან არ იცის ამის შესახებ, იშვიათი გამონაკლისების გარდა, ეს უცოდინარობა **უხეშ გაუფრთხილებლობად კვალიფიცირდება და მიმღებს გადაცემული საგნის დაღუპვის ან გაფუჭების შემთხვევაში ზიანის ანაზღაურება მაინც ეკისრება**. თუმცა საგულისხმოა, რომ გადაცემული საგნის გაფუჭება ან განადგურება მისი (მიმღების) ბრალით უნდა იყოს გამოწვეული (981.3). სასამართლო პრაქტიკაც ამგვარად ვითარდება, კერძოდ, საკასაციო პალატამ არაერთგზის განმარტა, რომ მხარეთა ზეპირი ნება უძრავი ქონების ნასყიდობის თაობაზე იყო ბათილი, რაც იმას ნიშნავს, რომ მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობა არ წარმოშობილა და სახეზეა შესრულების კონდიქციის შემადგენლობა (976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი). საკასაციო პალატის განმარტებით, შესრულების კონდიქცია გულისხმობს ვითომ **კრედიტორის ქონების შეგნებულ და მიზანმიმართულ გაზრდას**, რომელსაც არ გააჩნია სამართლებრივი (სახელშეკრულებო ან კანონისმიერი) საფუძველი, ან ამგვარი საფუძველი ნორმაში მითითებულ გარემოებათაგან ერთ-ერთის არსებობის გამო არ წარმოშობილა ან შეწყდა. შესრულების კონდიქციისას, ისევე, როგორც უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტისათვის მახასიათებელი მოთხოვნა უსაფუძვლოდ მიღებულის უკან დაბრუნებაა, ამ კანონისმიერი ვალდებულების მთავარი მიზანი იმ ქონებრივი ბალანსის აღდგენაა, რომელიც იარსებებდა, რომ არა ვითომ კრედიტორის გამდიდრება. კონდიქციური ვალდებულების მტკიცების საგანში შემავალი გარემოებებია: მოპასუხის გამდიდრება; ამის შესაბამისად, მოსარჩელის ქონებრივი დანაკლისი; მატერიალურ/არამატერიალურ სიკეთეთა ამ გადანაცვლების უსაფუძვლობა/ გაუმართლებლობა.<sup>30, 31</sup>

29 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

30 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 22.04.2016 გადაწყვეტილება, საქმე №ას-344-329-2016.

31 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 03.06.2016 გადაწყვეტილება, საქმე №ას-243-231-2016.

ფორმის ნაკლის მხედველობაში მიუღებლობა, გამონაკლის შემთხვევებში, შეიძლება დაშვებულ იქნეს მხოლოდ მაშინ, როდესაც გარიგების ბათილობით **გამოუსწორებელი შედეგები დგება. გამოუსწორებელ შედეგად არ მიიჩნევა მხოლოდ ფაქტი მასზე, რომ გარიგება შესრულებულია ან ბათილი გარიგებიდან გამომდინარე შესრულების მოთხოვნა დაუშვებელია.**<sup>32</sup> იმისათვის, რომ ამგვარი გამონაკლისი იქნეს დაშვებული, აუცილებელია, გარიგების შინაარსი ერთმნიშვნელოვნად და არაორაზროვნად ირკვეოდეს. ამასთან, მხარეს, რომელიც გარიგების ნამდვილად მიჩნევას ითხოვს, თავად უნდა სჯეროდეს ამ გარიგების ნამდვილობის. ეს ის შემთხვევაა, როდესაც მეორე მხარემ იგი თავისი გამოცდილებითა და უპირატესობით განზრახ შეცდომაში შეიყვანა.<sup>33</sup> ფორმის ნაკლის მხედველობაში მიუღებლობა დასაშვებია მაშინ, როდესაც სახეზეა გარიგების ერთ-ერთი მხარის მიერ კეთილსინდისიერების სტანდარტის უხელო და გარიგების ბათილობა გარიგების ერთ-ერთ მხარეს მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში აგდებს. ამასთან, **ფორმის ნაკლის მხედველობაში მიუღებლობა და გარიგების ნამდვილად მიჩნევა დაუშვებელია მაშინ**, როდესაც მხარეს გარიგების ბათილობის შედეგად შეუძლია უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე თავისი უფლებების აღდგენა, ანდა ზიანის ანაზღაურება. **ფორმის ნაკლის მხედველობაში მიუღებლობა და გარიგების ნამდვილად მიჩნევა დასაშვებია მხოლოდ მაშინ**, როდესაც გარიგების ერთი მხარე არაკეთილსინდისიერად იღებდა სარგებელს გარიგებიდან, ხოლო გარიგების ფორმის ნაკლზე მხოლოდ მაშინ მოახდინა აპელირება როდესაც მხარე უსაფუძვლო გამდიდრებითაც ვეღარ აღიდგენს თავს უფლებებში.<sup>34</sup> ფორმის ნაკლის საფუძვლით გარიგების ბათილობის მოთხოვნის შემთხვევაში, სასამართლო საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, **თავისი ინიციატივით**, ამონებებს, ხომ არ არსებობს გარიგების გაბათილებაზე უარის თქმის საფუძვლები, ვინაიდან გარიგების ბათილობა ეწინააღმდეგება კეთილსინდისიერების საყოველთაოდ აღიარებულ სტანდარტს და დაუშვებლად ხელყოფს მეორე მხარის უფლებებს.<sup>35</sup> მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია, რომ არც ქართული დოქტრინა და არც სასამართლო პრაქტიკა კანონით გათვალისწინებული ფორმის ნაკლის შესრულებით გასწორების შესაძლებლობას არ უშვებს, რადგან მიიჩნევა, რომ ეს დაშვება Contra Legem ნორმის განმარტებად განიხილება. თუმცა საგულისხმოა, რომ მართლწესრიგი უნდა იყოს სამართლიანი. როდესაც კანონის სიტყვასიტყვითი განმარტება იძლევა უსამართლო შედეგს, მაშინ ნორმა უნდა განვმარტოთ contra legem, ანუ ტექსტის სიტყვასიტყვითი მნიშვნელობის საწინააღმდეგოდ.<sup>36</sup> თუმცა ეს შესაძლებლობა გამოყენებულ უნდა იქნეს უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში, კერძოდ, მართლწესრიგმა მხარის მხრიდან უფლების ბოროტად სარგებლობის სამართლებრივი შედეგების სიმძიმე ვერ გაითვალისწინა და, თუ არა ნორმის სიტყვასიტყვითი მნიშვნელობის საწინააღმდეგო განმარტება, კეთილსინდისიერი მხარისათვის უკიდურესად უკანონო შედეგი დგება.

#### 4. საჯარო რეესტრის რეგისტრაციისა და გარიგების ფორმის ფუნქცია

გავრცელებული მცდარი შეხედულების მიხედვით, საჯარო რეესტრის ჩანაწერი გარიგების ფორმად მიიჩნეოდა. ამ შეხედულების საფუძვლად ხშირად სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლი სახელდება, რომელიც

32 Wendtland, Beck`scher Online-Kommentar BGB, Bamberger/Roth, 39. Edition, Rn 26.

33 იქვე, Rn 25.

34 იქვე.

35 იქვე, Rn 26.

36 ხუბუა, Contra Legem საქართველოს სახელით?, მიუნხენი, 2015.



რომლის მიხედვითაც, უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და შემდგომე ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. ამ შემთხვევაში ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს გარიგების დადება და გარიგებით გათვალისწინებული საკუთრების უფლების გადასვლა შემდგომე. ამ მიმართებით უნდა აღინიშნოს, რომ ქართული სამართალი თვისებრივად „ერთიანობის პრინციპის“ გზას დაადგა,<sup>37</sup> რომლის მიხედვითაც, ვალდებულებითსამართლებრივი და სანივთოსამართლებრივი ხელშეკრულებების დაყოფა არ ხდება და ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულება ერთიან აქტად განიხილება.<sup>38</sup> თუმცა არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, საქართველოში სხვა არაერთი კონტინენტური ევროპის სამართლებრივი წესრიგის (ავსტრია, ნიდერლანდი) მსგავსად, კაუზალური სისტემა მოქმედებს. შესაბამისად, იმიჯნება უფლების გადაცემის საფუძველი („კაუზა“) და ნივთის გადაცემა თუ სანივთო გარიგება. კაუზალური სისტემის პირობებში სანივთო გარიგების ნამდვილობა უშუალოდ არის დამოკიდებული მისი საფუძვლის ნამდვილობაზე.<sup>39</sup>

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ქონების (მოძრავი, უძრავი) გადაცემის თაობაზე ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულება იდება, მოძრავი ნივთის თაობაზე დადებული ხელშეკრულების ნამდვილად მიჩნევის მიზნებისათვის ხელშეკრულების ფორმის ვალდებულება არ არსებობს, ხოლო უძრავი ქონების შემთხვევაში, ხელშეკრულება, რომლითაც ერთი მხარე იღებს ვალდებულებას, უძრავ ნივთზე საკუთრება გადასცეს სხვას, ან შეიძინოს იგი, მოითხოვს წერილობით ფორმას (323). ამდენად, ფორმადაცული ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულება მხარეს წარმოუშობს საკუთრების გადაცემის მოთხოვნის უფლებას. შესაბამისად, საკუთრების გადაცემა არა ახალი გარიგება, ე.წ. „სანივთო გარიგება“, არამედ ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულების შესრულება, ანუ ე.წ. „რეალაქტია“. მაგალითად, თუ ნივთის (მოძრავი, უძრავი) თაობაზე ნასყიდობის ხელშეკრულება დაიდო, ეს ხელშეკრულება მყიდველს თანხის გადახდის, ხოლო გამყიდველს ნივთის გადაცემის ვალდებულებას წარმოუშობს (477). მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემა **თავად ნივთის გადაცემით ხორციელდება** (186), ხოლო უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემა **შემდგომე საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციით ხდება** (183). ამდენად, **საჯარო რეესტრში უფლების რეგისტრაცია არა გარიგების ფორმა, არამედ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაა**. იმ შემთხვევაში, თუ ფორმადაცული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე გამყიდველი ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებას არ ასრულებს, კერძოდ, მოძრავ ნივთს არ გადასცემს, ხოლო უძრავი ქონების შემთხვევაში, საჯარო რეესტრში არ მიდის და ქონების გადაცემის თაობაზე უფლებამოსილი პირის წინაშე ნებას არ აფიქსირებს, ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების მოვალეობას გამყიდველს სასამართლო აკისრებს, თუმცა, სასარჩელო მოთხოვნის აღსრულებადობის თვალსაზრისით, სასამართლო გამყიდველს მოძრავი ნივთის გადაცემის ვალდებულებას უწესებს, ხოლო უძრავი ქონების შემთხვევაში – მყიდველს ნაყიდი ქონების მესაკუთრედ ცნობს, რაც საჯარო რეესტრში შესაბამისი ჩანაწერის განხორციელების წინაპირობაა. ამდენად, მოძრავი ნივთის შემთხვევაში ნივთის გადაცემა, ხოლო უძრავი ქონების შემთხვევაში, მესაკუთრის სახელზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია **ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულების შესრულება ანუ რეალაქტია და არა სანივთოსამართლებრივი ხელშეკრულება**. გამიჯნვის პრინციპის მომხრეთა მოსაზრების მიხედვით, ე.წ. „სანივთო გარიგების“ უპირატესობაა ის, რომ მას განსაზღვრულობა ახასიათებს, კერძოდ, სანივთო გარიგებით ცალსახაა, თუ რომელ ნივთზე რა მახასიათებლებით

37 ზოიძე, ქართული სანივთო სამართალი, თბ., 2003, 41.

38 ჭანტურია, უძრავი ნივთების საკუთრება, თბ., 2001, 86.

39 კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბ., 2009, 218.

იდება გარიგება (Bestimmtheitsgrundsatz)<sup>40</sup>. თუმცა განსაზღვრულობის პრინციპი იმთავითვე ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულების არსებითი პირობაა, კერძოდ, ხელშეკრულება დადებულად მხოლოდ მაშინ ითვლება, თუ მხარეები **მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ** საამისოდ გათვალისწინებული ფორმით (327), ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების საგანი ინდივიდუალურად განსაზღვრული არ არის (გვაროვნული ნივთი) და არც შესრულების ხარისხია შეთანხმებული, ასეთ ვითარებაში ნებისმიერი გვაროვნული ნივთით განხორციელებული საშუალო ხარისხის შესრულება ჯეროვან შესრულებად ითვლება (380, 382).

## 5. საჯარო რეესტრის რეგისტრაციისა და ხელმოწერის სანოტარო წესით დადასტურების მნიშვნელობა

როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოში კერძო სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად, ე.წ. „ერთიანობის პრინციპი“ მოქმედებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ხელშეკრულების ნამდვილობის პირობებში ხელშეკრულებიდან გამომდინარე ქმედებათა განხორციელება ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულების შესრულებაა და არა სანივთო ხელშეკრულების დადება. ხელშეკრულება კი ნამდვილად იმ შემთხვევაში ითვლება, თუ მასში არსებითი პირობებია შეთანხმებული და კანონით (ან ხელშეკრულებით) გათვალისწინებული ფორმით არის დადებული. ზოგადი წესის მიხედვით, მოძრავი ქონების თაობაზე ხელშეკრულება ფორმასავალდებულო არ არის, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი ზეპირადაც შეიძლება დაიდოს, ხოლო რაც შეეხება უძრავ ქონებას, უძრავი ქონების თაობაზე ხელშეკრულება მარტივი წერილობითი ფორმით იდება (323). ხელმოწერების დადასტურების ვალდებულება (311<sup>1</sup>,1) უძრავი ქონების თაობაზე დადებული ხელშეკრულების ფორმას არ წარმოადგენს, რადგან მისი ფუნქცია მხოლოდ ის არის, რომ, თუ უძრავი ქონების თაობაზე დადებულ ხელშეკრულებას საჯარო რეესტრში ერთი მხარე მიიტანს, მარეგისტრირებელი ორგანო მეორე (გამოუცხადებელი) მხარის ხელმოწერის ნამდვილობაში დარწმუნდეს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მარეგისტრირებელ ორგანოში ქონების მყიდველიც გამოცხადდება და გამყიდველიც, ისინი ხელშეკრულებას იქვე დადებენ, რაც ხელმოწერების სანოტარო წესით დადასტურების გარეშე რეგისტრაციის საფუძველი გახდება (311<sup>1</sup>,1). ამ თეორიულ მსჯელობას იზიარებს სასამართლო პრაქტიკაც, კერძოდ, სასამართლო პრაქტიკით, უძრავი ნივთის ნასყიდობაზე შეთანხმების **ნამდვილობისთვის კანონმა იმპერატიულად დაადგინა კონკრეტული ფორმა**, კერძოდ, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების წარმოშობისთვის აუცილებელია **წერილობითი ფორმა (323)**. როგორც ყველა გარიგებისთვის, უძრავი ნივთის ნასყიდობისთვისაც გადამწყვეტია ნების გამოვლენის სამართლებრივი ვარგისიანობა. კანონით დადგენილი წესის თანახმად, **თუ ნება გამოვლენილია სამართლებრივი ფორმის დაუცველად, სამართლებრივი შედეგი არ მიიღწევა (59)**. ნასყიდობის ხელშეკრულება კონსენსუალურია და იგი დადებულად ითვლება მის ყველა არსებით პირობაზე საამისოდ **დადგენილი ფორმით მხარეთა შეთანხმების მომენტიდან**. შესაბამისად, **ხელშეკრულების ძალაში შესვლა ნივთის გადაცემაზე დამოკიდებული არ არის**. ამასთან, ხელშეკრულების მიზანი და ინტერესი, რასაკვირველია, საკუთრების უფლების გადაცემაშია და იგი, მისი შინაარსიდან გამომდინარე, სწორედ უფლების გადაცემას ემსახურება (477). **ამდენად, ნასყიდობის ხელშეკრულება, როგორც ერთიანი ხელშეკრულება, ერთობლივად უნდა იქნეს განხილული და იგი მისი შესრულების, კერძოდ, საჯარო რეესტრში რეგისტრაციის გზით საკუთრების უფლების გადაცემის ვალდებულებას წარმოშობს.**<sup>41</sup> რაც შეეხება საჯარო რეესტრის

40 ჭეჭელაშვილი, საკუთრების უფლების გადაცემა მოძრავ ნივთებზე, ქართული კერძო სამართლის კრებული, თბ., 2014, 192.

41 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 16.01.2019 განჩინება, საქმე №ას-1242-2018.

**რეგისტრაციის დანიშნულებას**, სამოქალაქო კოდექსის არცერთი ნორმა არ განიხილავს უძრავი ნივთის **საჯარო რეესტრში** რეგისტრაციას **გარიგების ფორმად**.<sup>42</sup> 183-ე მუხლის შესაბამისად, საჯარო რეესტრში რეგისტრაცია არ წარმოადგენს ფორმას, არამედ მხოლოდ იმას განსაზღვრავს, რომ უძრავი ქონების ნასყიდობის შესახებ ხელშეკრულების კანონით დადგენილი წესით წერილობით გაფორმების შემდეგ მოპოვებული საკუთრების უფლების აღრიცხვა პუბლიცირებულ უფლებათა ანუ **საჯარო რეესტრში** უნდა მოხდეს.<sup>43</sup> საჯარო რეესტრში უფლების რეგისტრაცია გარიგების ფორმად არ ითვლება, ვინაიდან გარიგების ფორმა შეიძლება იყოს მხოლოდ ბეპირი ან წერილობითი, ხოლო, თავის მხრივ, წერილობითი ფორმა შეიძლება მარტივ და რთულ წერილობით ფორმად დავაკვალიფიციროთ იმის მიხედვით, ხელშეკრულების ნამდვილობისათვის მხოლოდ ხელმოწერებია საკმარისი, თუ გარიგების შინაარსი სანოტარო წესით უნდა იქნეს დადასტურებული. სამოქალაქო კოდექსი უძრავი ქონების თაობაზე დადებული გარიგების ნამდვილობისათვის მარტოოდენ მარტივი წერილობითი ფორმის ვალდებულებას ადგენს (323).<sup>44</sup> იგივე წესი გაავრცელა სასამართლომ სსიპ – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გამოცხადებული ელექტრონული აუქციონის წესით უძრავი ქონების შეძენის მიმართ, კერძოდ განმარტა, რომ სსიპ – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო საშუალებას აძლევს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, ელექტრონული აუქციონის ვებგვერდზე სარეალიზაციოდ განათავსოს თავისი ქონება. ეს ხდება მომხმარებლის ხელშეწყობისთვის, გამოავლინოს პოტენციური მყიდველი, რომელიც ყველაზე მაღალ ფასად შეიძენს სარეალიზაციოდ გამოტანილ ქონებას, **ხოლო ქონების ნასყიდობის შესახებ შეთანხმება უნდა განხორციელდეს აუქციონში გამარჯვებულ პირსა და უძრავი/მოძრავი ქონების ფიზიკურ ან იურიდიულ პირს შორის ხელშეკრულების გაფორმებით**. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი კერძო სამართლის სუბიექტის მიერ ნებაყოფლობით აუქციონზე განკარგულ უძრავ ქონებაზე ნასყიდობის გაფორმებისა და საკუთრების წარმოშობის რაიმე განსხვავებულ წესს არ ადგენს. შესაბამისად, **გარიგების ფორმისადმი** შესაბამისობის საკითხი უნდა გადაწყდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით უძრავი ქონების გასხვისებისას დადგენილი ბოგადი წესების შესაბამისად, რაც იმას ნიშნავს, რომ სსიპ – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემული ცნობა იმის შესახებ, რომ მოსარჩელემ გაიმარჯვა აუქციონში, არ არის საკუთრების უფლების გადაცემის საფუძველი, ამის შემდეგ საჭიროა აუქციონში გამარჯვებულსა და ოფერენტს (ქონების გამყიდველს) შორის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 323-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით ნასყიდობის ხელშეკრულების დადება. აუქციონში მონაწილეობა და გამარჯვება არც წინარე ხელშეკრულებად განიხილება, რადგან წინარე ხელშეკრულების ნამდვილობისათვის ძირითადი ხელშეკრულების ნამდვილობის წესები გამოიყენება (327.3), შესაბამისად, ამ სამართალურთიერთობის მონაწილეებს ერთმანეთის მიმართ უფლება-მოვალეობები მარტოოდენ ხელშეკრულების მომზადებიდან წარმოეშობათ, რაც ზიანის ანაზღაურების საფუძველია და არა ძირითადი ხელშეკრულების დადების მავალდებულებელი გარემოება (317,3).<sup>45</sup>

42 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 09.12.2013 განჩინება, საქმე №ას-1529-1443-2012.

43 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 27.09.2017 განჩინება, საქმე №ას-202-191-2017.

44 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 18.05.2018 განჩინება, საქმე №ას-1216-1136-2017.

45 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 09.03.2016 განჩინება, საქმე №ას-898-848-2015.